„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

განათლების უფლებები

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2009 წ. დეკემბერი* №23 * ფასი 1 ლარი



 დოკსოვუდოებო, იქნებ მეორდე ერე ბყევთ დედე, ვე? — გვ.3

საკაშვილის ანტინაციონალური პოლიტიკა ქართული ენის წინააღმდეგ — გვ.5

ეჯლესიის ჯროვლემები — გვ.16-17

დედაქალაქის მერობა — მზადება საპრეზიდენტო ტრამპლინისათვის

ლეილა ცოქაია

რევანშისტული ოპოზიციის ბრძოლამ ხელისუფლებისათვის, პერმანენტული საპროტესტო მიტინგებიდან, დიდი ხანია სხვა ფაზაში გადაინაცვლა; 2010 წლიდან იგი სრულად საარჩევნო რეჟიმში ჩადგება. ასი ათასობით ადამიანი კი ელოდა, რომ „ეროვნულ მოძრაობად“ წოდებული ოპოზიცია (თვითმარქვია ეროვნულები) ოქტომბრიდან მაინც განაახლებდა საპროტესტო მიტინგებს სააკაშვილის რეჟიმის ხელისუფლებიდან ჩამოცილების მოთხოვნით. ხელისუფლება კი კვლავ მყარად ინარჩუნებს საკუთარ მდგომარეობას და ოპოზიციის დასაშოშმინებლად, ამჯერად მერის არჩევითობის სატყუარას სთავაზობს. ხელისუფლებამ უკვე დაასახელა არჩევნების ჩატარების ზუსტი დრო - 2010 წლის მაისი და ოპოზიციონერი ლიდერები ერთმანეთს ასწრებენ მერის კანდიდატურის წამოყენებას.

„კონსერვატორები“, ამერიკისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების წამხედურობით, მერის არჩევნებშიც „პრაიმერის“ ჩატარების რიხიანი წინადადებით

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი გვ. 1

გამოდიან. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ამგვარ ნოვაციას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, რის მიზეზედაც, ძირითადად ფინანსები სახელდება.

თავად „კონსერვატორებმა“, ზვიად ძიძიგური წამოაყენეს რა მერის კანდიდატად, ფინანსების შესაძლო წყაროც დაასახელეს: შემოწირულობები, პარტიის საწევროები და საბანკო ანგარიშების გახსნა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ სუსტი რესურსებით საკმარისი ფინანსების მოზიდვა შეძლონ. მათ პარტიულ სახელწოდებასთან სრულიად შეუსაბამოდ მიგვაჩნია ამერიკის პოლიტიკური კულტურის მიმბაძველობა (Praimer), რომ არაფერი ვთქვათ მასთან დაკავშირებულ, მართლაც სოლიდურ ზედმეტ ხარჯებზე. ანგარიშგასაწევი და გასათვალისწინებელია, აგრეთვე ქართული ხასიათი, რაც სათუოს ხდის ერთი და იგივე არჩევნებზე ორჯერ წასვლის ნებელობის გამოხატვას.

„კონსერვატორების“ კანდიდატს დედაქალაქის მერის საარჩევნო მარათონში აუცილებლად მოუწევს შეხლა აქაური ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილის „თბილის-ქალაქელობის“ მოქმედ მენტალიტეტთანაც. ამ ხისტი რეალობის გაუთვალისწინებლობა და სურვილის ამბიციით გადაფარვა საკუთარი თავის უპატივცემულობა იქნება.

ზოგადად კი, როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, ოპოზიციურ პოლიტიკურ ლიდერთა სპექტრში ერთნაირად არსებობს ავტორიტეტისა და ქარიზმის პრობლემა, და თუ მაინც შესაძლებელი გახდა ოპოზიციური კანდიდატის გამარჯვება, მაშინვე თავს იჩენს ახალი, - ნაციონალური ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციური მერიის ბიუჯეტის დაფინანსების პრობლემა. ფინანსური ბერკეტის მოიმედე ხელისუფლება (მას სხვა ბერკეტები აღარ გააჩნია) უკვე შურისძიების ქადილიანი მზერით გადმოგვყურებს, ოპოზიციონერ მერს (გამარჯვების შემთხვევაში) აუცილებლად მოუწევს კვლავ ქუჩაში გამოსვლა, თავის ამომრჩევლებთან ერთად, თითოეული ასეული ლარით, ბიუჯეტის შევსების მოთხოვნით.

ეს ის თავსატეხი დილემაა, რომელიც შვა ოპოზიციურ პოლიტიკურ ლიდერთა ყოვლად გაუმართლებელმა კომპრომისმა - სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნის ნაცვლად, - მათთან ერთად ყველა დონის არჩევნებში თანამონაწილეობაზე. „დაუმორჩილებელი“ ოპოზიციის მოთვინიერება და კომპრომისებზე წასვლა პირდაპირი შედეგია მათი საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის, რომლებიც არჩევნებში წასვლის რეკომენდაციებს მათში ინტენსიურად და მეთოდურად ნერგავდნენ.

ამგვარი ორიენტირები და ნიშან-თვისებები მნიშვნელოვნად აცილებს მათ ჭეშმარიტ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკური ბრძოლის გზებსა და მეთოდებს, მკვეთრად ასხვავებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან.

სააკაშვილის ახალგაზრდა ხელისუფლება, არჩევნების გზით კიდევ დიდხანს არ წავა ხელისუფლებიდან და რეანიმაციით ახალ-ახალ პოლიტტექნოლოგიურ ტრიუკებს შემოგვთავაზებს, რაშიც სააკაშვილი ისე გაიწაფა, რომ პოლიტიკური არენის ნამდვილ ვირტუოზად იქცა, როგორც საერთაშორისო (საგარეო), ისე საშინაო პოლიტიკაში.

ეს ჩვენი პოლიტიკური რეალობაა და მისი არდანახვა და გაუთვალისწინებლობა ჩვენვე დაგვაზარალებს მხოლოდ.

დღეს, რამდენიც უნდა უკიჟინო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ზომბირებულ ოპოზიციას - „უარი თქვით მერის არჩევნებში მონაწილეობაზე და ბოიკოტი გამოუცხადეთო“, არავინ დაგიჯერებს. მართალია, „ლეიბორისტები“ უარს აცხადებენ მერის არჩევნებზე (სააკაშვილის საარჩევნო სპექტაკლს უწოდებენ), მაგრამ დარწმუნებული ვართ, თუ ოპოზიცია ერთიან კანდიდატად ნათელაშვილს წამოაყენებს, იგი სიამოვნებით ჩაერთვება საარჩევნო მარათონში. თუმცა, ერთიანი კანდიდატის არსებობა მართლაც ბევრად უკეთესი იქნება. ეს ნათლად დაადასტურა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა, რაშიც ოპოზიციამ ერთიანი კანდიდატი წამოაყენა და გაიმარჯვა კიდეც, თუმცა, პრეზიდენტად კვლავ სააკაშვილი მოგვევლინა.

ჩვენ ნუ ვიქნებით ნურც ამერიკის, დასავლეთისა და ევროპის, ნურც რუსეთის მოიმედენი; სააკაშვილის პოლიტიკური პერსონა ყველასთვის მეტ-ნაკლებად მისაღებია, რუსეთი, საქართველოში, ვეღარასოდეს „დასვამს“ თავის რჩეულს პირდაპირი თამაშის წესით. რუსეთი „დრაკონის“ კუდს ვეღარასოდეს მოიქნევს საქართველოში და ვერც, თუნდაც ოთხთავიანი არწივით ჩაუნისკარტებს ისე, რომ სრულად დაშალოს და დაანაწევროს საქართველო უფრო მეტიც, - რუსეთს აუცილებად მოუწევს საქართველოსთვის ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის დაბრუნება.

მანამდე კი, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, სააკაშვილის კაპიტულანტური ხელისუფლების წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ ტრადიციუცლი დაუმორჩილებლობის, მიტინგების, მანიფესტაციებისა და საყოველთაო პოლიტიკური დესტაბილიზაციის მეთოდებით, რის წინაშე უძლურია მსოფლიო დიპლომატია, ხოლო ანგარიშგასაწევ ძალად იქცევა საპროტესტო მოძრაობა. ოღონდ, ამ მოძრაობის შიგნით, აღარ უნდა დავუშვათ მეხუთე კოლონის არსებობა იმ ავადხსენებული „წითელი დისიდენტებისა“ და „ეროვნული გვარდიელების“ მსგავსად, რომლებიც მრავლად გვყავს დასახელებული ჩვენს წერილში „უახლესი ისტორიის შავ-ბნელი ფურცლები“ (იხ. გვ. 18).

საქართველო გამთლიანდება!
ქართველი ერი გაიმარჯვებს!

ყვითელი ავტობუსების განერვიულებული მგზავრები

სააკაშვილ-დუგულავას მიერ რეკლამირებული ჰოლანდიური ყვითელი ავტობუსები, რომელთა დიდი უმრავლესობა, ტექნიკური გაუმართაობის გამო, ექსპლუატაციის ვადის გაუსვლელად უკვე ჩამოიწერა და უსაფრთხოების თვალსაზრისითაც (ხანძრის წარმოქმნის შემთხვევაში მომენტალურად აალებადია) საიმედი არ არის, სრულ დისკომფორტს უქმნის მგზავრებს და ნერვებსაც საკმაოდ უშლის; იმის გამო, რომ რკინიგზის მატარებლისა და სარაიონო ავტობუსების მსგავსად, საქალაქთაშორისო ყვითელ ავტობუსებსაც მოძრაობის განრიგი განუწესეს, მძღოლები ქროლვით მოძრაობენ და გაჩერებებზე კარებსაც იმდენად სწრაფად ხურავენ, რომ სალონში შეხტომა თუ არ მოასწარი, ან კარებში მოგაყოლებენ, ან გაჩერებაზევე დარჩები. უკვე დახურულ კარს კი, რომც უბრახუნო, არავინ გაგიღებს და კიდევ მინიმუმ 20 წუთი მოგიწევს ლოდინი. მძღოლს ეჩქარება, რომ მომდევნო გაჩერებაზე დანიშნულ დროზე მივიდეს. მგზავრის დროსა თუ სიჩქარეზე არავინ დარდობს. მგზავრს აბრკოლებს და ნერვებს უშლის ტრაფარეტის პრობლემაც, რამეთუ, ძირითადად, ტრაფარეტები, ავტობუსებს წინა ფასადებზე აქვს გამოკრული, უკანა და გვერდით ფასადებზე კი, ხშირ შემთხვევაში – ნომრებიც არა, რის გამოც გაჩერებაზე მირბენილ მგზავრს, თუ მოასწრო წინ უწევს გარბენა, რომ გაიგოს ავტობუსის ნომერი, ავტობუსი კი კვლავ გარბის თითქმის ცარიელი, რადგან „მოჭრილი ხელფასის“ გამო მძღოლი აღარ არის დაინტერესებული მგზავრთა რაოდენობით. მას შემდეგ, რაც ავტობუსების სალონებიდან გაქრა მგზავრთა კულტურული მომსახურების სამახსოვრო, მძღოლები აღარ ერიდებიან უხეშობას და მგზავრების შეურაცხყოფას.

ყოველივე ზემოჩამოთვლილს ემატება გაძვირებული საფასური, რაც კაბალურ მდგომარეობაში აყენებს მგზავრებს და უფრო მეტად ანერვიულებს. მგზავრებს შეურაცხყოფს და ელდას სცემს მაკონტროლებელთა მუშაობის ჩასაფრების მეთოდი და სტილიც.

ღმერთო, შენ უშველე ყველასაგან დაუცველ მგზავრებს!

ირმა
ფირცხალავა

დოკუმენტალური, იქნებ მერიდან ერის ბუნებრივ დედა, ჰე?

საქართველოს ცოცხალი ლეგენდა თამარია მხოლოდ. გადაავლეთ თვალი საქართველოს ისტორიას: ყველგან, საცა კი ინაკვთება სახსარი საქართველოს ისტორიის, რომელიმე ხაზტეხილი ეპოქათა მდინარეების, ყვავილობს ყველგან სურნელოვანი სახელი თამარის. მიზეზი? — დიდი თამარ სათუთი ნერვია, საქართველოს სულის.

გრიგოლ რობაქიძე

ქართველი ერის მოღალატეებს, ქართველი ერის მტრების ყურმოჭრილ ლაქიებს! ყველას, ვისაც ფეხზე ჰკიდია სამშობლო!

საქართველოს მაოხარად დანიშნულმა პატარა ცახესმა, სააკაშვილ მიხეილად წოდებულმა კვისლინგმა უკვე მერამდენედ ჩაგვაფურთხა სულსა და გულში. შეგვიბილწა ყველა სალოცავი და სათაყვანო.

და ამას თავზარდამცემი, გულისამრევი გულგრილობით, უზნეო დუმილით ისმენს ერი და ბერი. ეს ხდება აქ, ამ ჩვენს ცოდვილ მიწაზე. იქ, ზეციერ საქართველოში კი ბორგავს სული ფარნავაზისა, სული წმიდა მეფეთა — ვახტანგ გორგასალისა, დავით აღმაშენებლისა, თვით ქართველთა დიდი დედის წმიდა თამარისა. საქართველოსთვის შუბლგანგმირულნი ილია მართლისა და ზვიად განმათავისუფლებლისა, სული ვაჟასი და დიდოსტატ კონსტანტინესი, პავლე ინგოროყვასი და გრიგოლ რობაქიძისა.

არსაიდან განმკითხავი, არსაიდან ქომაგი! ისე წავმხდარვართ და დავცემულვართ, რომ აღარ ძალგვიძს ამ აშკარა მტერს საქართველოისას ვინმემ პასუხი გასცეს, პასუხი აგებინოს, საკადრისი მიუზღვას და დაადუმოს.

ადრე, მის ამგვარ, საქართველოს სახელმწიფოს მიმართ აშკარა მტრულ გამოხტომებს, რაიც სულს მიფორიაქებდა და გულს მიკლავდა, უვიცობისა და უწიგნურობის გამოვლინებად მივიჩნევდი. მაგრამ დღეს უკვე ნათელია, რომ ეს კაცი მიზანმიმართულად, შეურაცხადობის აგონიის ფონზე სთესავს ამ ნარ-ეკალს, რათა თუ გვეღირსა და დაგვიდგა დღეი ძლევაი საკვირველისა, პასუხი ვერვინ მოსთხოვოს.

ამგვარი ბოდვებით, უვიცობით სთესს იგი ჩვენს, მათი წყალობით ისედაც სასომიხდილ ერში არასრულფასოვნების სინდრომს.

და უბედურება ისაა, რომ ამ ოლიგოფრენულ ბოდვებს არ პასუხობს ჩვენი ისტორიკოსების არმია, მხოლოდ ერთხელ მოვკარი თვალი აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის კომენტარს.

იქნებ მიზეზიც ჰქონდეთ — უვიცსა და სულელს გაეპაექრონ?

მეორე მიზეზი კი ეს ცხოველური შიშია. ნუთუ მართლა ასე დაგვაბეჩავა?!

ჩვენ უჩინო და უტიტულო ქართველებს არარად გვაგდებენ, არც-რად მივაჩნივართ! თავში ისე აქვს ავარდნილი პირფერთა და ლიქნიათა ლათაიები, რომ ცას ხელებით იჭერს, ხოლო, თუ სადმე ბუზის ბზუილი გაიგონა მყისვე პირქვე ემხობა და მიწაში ჩაძრომას ლამობს, აკი ვნახეთ ერთხელ მთავარსარდალ მიშიკო მაგარიას გულადობა და ვაჟკაცობა.

ჟურნალისტ ჯაბა ხუბუას კვლავ შეუკრიბავს მიშა მაგარიასეული „მარგალიტები“, ამ საუკუნის სამარცხვინო ფრაზები და მასაც გულ-სული ასტკივებია და სცდილობს ხმა მიაწვდინოს მის პროფესორ დედას. შეისმენს კი? შეასმენს კი მის პირმშოს რასმეს?

ან კიდეც, ვინ იცის, იქნებ დედისეული სკოლა აქვს გავლილი, აკი იწუნებს ჩვენი თაობის სკოლასა და განათლებას - „ჩემმა თაობამ ვერ ისწავლა კარგად ისტორიაო“ ამბობს ლიქნიათა და მედროვეთაგან მოწონებული მაგარი პრეზიდენტი მიშა.

იქნებ ისტორიაში ჩვენი განუსწავლელობის ბრალია, რომ არ ვიცით, რომ თურმე, დავით აღმაშენებელიც ოცნებობდა ნატოში შესვლაზე, რომ თურმე, მეთორმეტე საუკუნეში დავით სოსლანიც „სამხრეთელი ოსი“ ყოფილა. თურმე, აგერ უკვე ოთხი საუკუნეა, რაც ფერეიდანში ქართველი გულამოსკვნილი მღერის „სულიკოს“; ისიც კი არ გვცოდნია, რომ „სულიკოს“ დამწერი აკაკი წერეთელი არა XIX საუკუნეში, არამედ მეთექვსმეტე საუკუნეში დაბადებულა და იქნებ საქართელოს ბულბული დიდი აკაკიც ოსი იყო, ჰა?

„ჩემმა თაობამ ვერ ისწავლა კარგად ისტორია“ — რაკი ეს მიშასაგან გავიგონე, მეც ვეცი წიგნებს, პაპირუსებს, ეტრატებს და დავიწყე ძებნა თამარის ბიოგრაფიებისა, მივჩხრიკ-მოვჩხრიკე, გადავიკითხე „ქართლის ცხოვრება“, გადავფურცლე ბასილი ეზოს მოძღვრის და მრავალთა მატიანენი, მაგრამ ვერა და ვერ მივაგენი. თითქოს ჩემს ჯინაზე ყველანი საგულდაგულოდ მალავს დიდი თამარის „ოსობას“!

მხოლოდ ერთგან მივაგენი ცნობას: „საქართველოს დიდ ხელმწიფეს გიორგი III (1156-1184) ჭაბუკობისას მამამ შერთო ოვსთა მეფის ასული, ბურდუხან (ძალიან ლამაზი ქალი, „მისებრი სძალი არა ეხილა ქართლის თემსა“). ამ შეუღლებისაგან იშვა ჯერ სახელოვანი თამარი და შემდეგ რუსუდანი“ (გუბაზ სანიკიძე, ლევან სანიკიძე, ისტორია, ქართული ბასილოიგრაფია (მეფეთა ნუსხა) გამომცემლობა სამშობლო, თბილისი - 1992 წელი, გვ. 45).

ინტერნეტ სივრცეშიც შემდეგი მონაცემებია თამარ მეფის შესახებ: „თამარი მეფე გიორგი III-ისა და მისი მეუღლის ბურდუხანის უფროსი ქალიშვილი იყო. ბურდუხანი თავის მხრივ ოვსთა მეფე ხუდანის ქალიშვილი გახლდათ“.

მაშასადამე თამარის დედა ოვსი ყოფილა, სახელად ბურდუხანი, მაგრამ როდის იყო ქართველურ მოდგმაში (გარდა წარმართული ეპოქებისა), ქართულ ქრისტიანულ ყოფასა და ცნობიერებაში ეროვნება დედის მხრიდან წამოსულიყო?

იქნებ, ამ აზრების მფრქვეველი, საკუთარი ქვენა ზრახვებით ზომავდეს თამარის წარმომავლობის საკითხს და ამით სცდილობს გაამართლოს მისი არაჩვენებური წარმომავლობა?

ჰქმნის რა ფონს, სცდილობს შენიღბულად განახორციელოს მავანთა ფარული პოლიტიკური გეგმები ქართული ეროვნული თვითშეგნების დასაკნინებლად, არასრულფასოვნების დასამკვიდრებლად.

საკითხავია, არის კი ამ ნაბოდვარის პატრონი ნამდვილი ქართული მოდგმისა და ჭეშმარიტი ქართული ცნობიერების მქონე?

ავი ენები კი მართლაც საწინააღმდეგოს ჩურჩულებენ.

რის პასუხადაც იგი სცდილობს საზოგადოებრივი აზრის შექმნას, რომ “ძალიან ბევრი ეროვნული მოღვაწე საქართველოსი, მაგალითად თამარ მეფე, აღარ ვლაპარაკობ დავით სოსლანზე, ოსი იყო“ და ჰგონია, რომ მის “დიდ ისტორიულ აღმოჩენას“ შოკში ჩავუგდივართ. არა ბატონო, შოკში არ ჩავვარდნილვართ, შოკში მაშინ ჩავვარდით, როდესაც ვიხილეთ მიწაზე გართხმული და შიშისაგან სულთმობრძავი, ჰალსტუხღეჭია მიშა მაგარია!

რაც შეეხება დავით სოსლანს, აი რას გვამცნობენ ჩვენს მიერვე ზემო მოხმობილი წიგნის ავტორები: “სრულიად საქართველოს მეფეს გიორგი I ჰყოლია კიდევ “მეორე ცოლი“, ოსვთა მეფის ასული სახელად ალდე, რომლისგანაც დაბადებულა დემეტრე (ამ დემეტრეს შტოსაგან, მეექვსე მუხლად, წარმოსდგება თამარ მეფის ქმარი დავით სოსლანი“ (გვ. 37).

ახლა ვნახოთ ინტერნეტის ვიკიპედია დავით სოსლანის წარმომავლობის შესახებ:

დავით სოსლანი († დაახლოებით 1203 ან 1204), თამარ მეფის მეორე ქმარი.

თამარმა იქორწინა მასზე 1187 წელს დიდუბის სასახლეში. წყაროს ცნობით, დავით სოსლანი იყო თამარის მამიდის, რუსუდანის “გაზრდილი“ და “თვისი“ (“თვისი“, უფრო გავრცელებული აზრით, აღნიშნავდა ნათესავს, სხვა მოსაზრებით — ქვეშევრდომს, ვასალს, ასევე “გაზრდილს“ ჰქონდა ორი მნიშვნელობა: გაზრდილის და ვასალის).

მემატიანე ახასიათებს, როგორც ზნეობრივი და რაინდული თვისებებით შემკულ, სასიამოვნო გარეგნობის კაცს. დავით სოსლანი სარდლობდა ქართველთა ლაშქარს თითქმის ყველა დიდ ბრძოლაში (ლაშქრობა XII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ბარდავის მხარეში, არზრუმში — კარნუ-ქალაქში, გელაქუნში, ბელაქანში, განძის მიდამოებში, შამქორის ბრძოლაში 1195, ბასიანის ბრძოლაში 1203). როგორც თანამეფე, სოსლანი სახელმწიფოს გამგებლობაშიც მონაწილეობდა.

მის წარმომავლობაზე არ არსებობს ერთიანი აზრი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებულია მოსაზრება, რომ დავით სოსლანი იყო ოსეთში დამკვიდრებულ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი. მკვლევართა აზრით, ეს შტო მომდინარეობს გიორგი I-ისა და ალანთა ტომის ასულის ალდე დედოფლის ვაჟის დემეტრესაგან (ხაზგასმა ჩვენია – ა.ს). ვახუშტის ცნობით, დემეტრეს დარჩა ძე, რომელიც თავის ბებია ალდესთან ერთად ოსეთში გაიქცა, იქ იქორწინა მეფის ასულზე და თვითონაც ოსთა მეფედ იწოდა. დავით სოსლანი მისი შთამომავალი იყო. დავით სოსლანს ბაგრატიონად მიიჩნევს “ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეც“. ზოგი მკვლევარის მოსაზრებით, დავით სოსლანი ცარაზონთა ოსურ საგვარეულოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი ცნობები საისტორიო წყაროებში არა ჩანს და ეს თვალსაზრისი ზეპირ ვარაუდად რჩება.

Происхождение

Согласно Вахушти Багратиони, Давид-Сослан по отцовской линии был потомком Деметре, сына Георгия I, то есть был из рода Багратионов. У Георгия I, царя Грузии (1014—1027), было два сына от разных жён — Баграт IV и Деметре (последний добивался престола, но безрезультатно). Впоследствии он перебрался в Константинополь. Эти факты подтверждаются данными “Летописи Грузии” (Матиане Картлиса). У Деметре остался малолетний сын Давид, которого бабушка увезла в Осетию — на родину. Там его усыновил осетинский царь из рода Царазонов, затем выдал за него замуж свою дочь. Их сын Атон стал царём Осетии. Давид-Сослан был внуком Атона.

ORIGINS

David Soslan was a member of the royal house which ruled Alania (Ovseti or Oseti of the Georgian sources; hence, the modern designation of Ossetia), an Orthodox Christian kingdom in North Caucasus, and frequently intermarried with the Bagrationi Dynasty of Georgia. A relatively later chronicler, writing during the reign of George IV Lasha (son of Tamar and David Soslan; 1212-1223), ascribes David Soslan, though vaguely, the Bagrationi ancestry. A version of David’s Bagratid origin found further development in the works of the 18th-century Georgian scholar Prince Vakhushti Bagrationi. He considered David Soslan a descendant of George I of Georgia (1014-1027) and his Alan wife Alde who were the parents of Demetrius (Demetre), an unfortunate pretender to the Georgian crown whose son, David, was forced by Bagrat IV of Georgia to flee to Alania. According to Vakhushti, David and his descendants - Aton and Jadaron - married into the Alan ruling family and became „kings of the Osi [i.e., Alans]“. This Jadaron is said to have been David Soslan's father.[1] While this account is considered credible by some scholars of Georgia, the issue of David’s dynastic origin still remains controversial.

An interesting passage from the 13th-century anonymous Georgian Histories and Eulogies of Sovereigns relates that David was under the patronage of Tamar’s paternal aunt Rusudan and came of „the descendants [ძენი; literally, „sons“] of Ephraim, which are Osi, handsome and strong in battle.“ The Georgian scholar Korneli Kekelidze suggested that David Soslan’s family – the „Ephraimids“ – might have claimed descent from the biblical Ephraim, and compared this family legend to that of the Bagratids who considered themselves descendants of David, the second king of the Israelites.[2]

In 1946, the North Ossetian archaeologist Evgeniya Pchelina announced that, during the digs at the Nuzal chapel in the Ardon Gorge, North Ossetian ASSR, she discovered the tomb allegedly belonging to David Soslan whom she identified with the certain Soslan mentioned in the Georgian asomtavruli inscription in the chapel, and suggested that David Soslan might have been a member of the Tsarazon family, a heroic clan from Nuzal known to the Ossetic folklore tradition.[3] However, the hypothesis has not been accepted by most Georgian scholars who regard Pchelina’s conclusions doubtful.



აი, ასეთ ცნობებს ვაწყდებით ინტერნეტ სივრცეში დავით სოსლანზე.

სხვა რამ იმ დროინდელი წერილობითი ძეგლი დავით სოსლანის წარმომავლობის შესახებ დღემდე არ არსებობს.

„ბაგრატიონთა დინასტიის ოსეთის შტოს ისტორია შედგენილია სანდო საისტორიო წყაროების მიხედვით. ამას ადასტურებს ნუზალის (ჩრდ. ოსეთი, კასარის ხეობა) ფრესკული მხატვრობაც (დ. ლოლაშვილი, დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება, გვ. 81-82).

... დღემდე ჯერჯერობით არავის მოუტანია დოკუმენტი, რომელიც წინ აღუდგებოდა ქართველ

გაგრძელება მე-4 გვ.

დასაწყისი გვ. 4

მემატიანეთა მტკიცებას დავით სოსლანის ბაგრატიონობის შესახებ. რაც შეეხება ვარაუდს, რომ დავით სოსლანი ცარაზონთა გვარს ეკუთვნის (ე. პჩელინა), იგი არაა საბუთებით გამაგრებული, მხოლოდ ზოგადადაა მინიშნებული ოსურ გადმოცემებზე, რაც, რა თქმა უნდა, მტკიცებისათვის საკმარისი არ არის. ზოგი მიიჩნევს, რომ „ცარაზონოვი„ არის დავით სოსლანის გვარი და ოსურად ნიშნავს „ბატონიშვილს„ (ი. მეგრელიძე)„. (როინ მეტრეველი „მეფე თამარი„ — თბილისი, 1991, გვ. 162).

და ერთიც, დავით სოსლანის ვიკიპედიის ინგლისური ვარიანტიდან ვგებულობთ შემდეგს:

1946 წელს ჩრდილოეთოსელი არქეოლოგი ევგენია პხელინა გვამცნობს, რომ არდონის ხეობაში, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ, ნუზალის კაპელას გათხრებისას მან აღმოაჩინა საფლავი, რომელიც, თითქოსდა დავით სოსლანს ეკუთვნოდა, რომელიც გაშიფრა კაპელის ქართული ასოთმთავრული წარწერით და შემოგვთავაზა, რომ დავით სოსლანი შესაძლებელი ცარაზონთა საგვარეულოს, ოსური ფოლკლორის ტადიციებიდან ცნობილი ნუზალის გმირული კლანი, წევრი იყო. ეს ჰიპოტეზა ქართველი მეცნიერების უმრავლესობის მიერ არ იქნა მიღებული, რომლებიც პჩელინას დასკვნებს საეჭვოდ მიიჩნევენ.

და თუ დავით სოსლანი „სამხრეთ ოსეთელი„ იყო, მაშინ, რატომ დაუსაფლავებიათ ის კავკასიის ქედს გადაღმა? განა თამარ მეფის თანამეცხედრისათვის (ოსების და რუსების თქმით, თურმე დავით სოსლანი საქართველოს მეფეც ყოფილა) კავკასიის ქედს გადმოღმა, ე.წ. სამხრეთ ოსეთში, თუნდაც მის ე. წ. დედაქალაქში — ცხინვალში საფლავის ადგილი არ აღმოჩნდა?

მით უმეტეს, როგორც საისტორიო წყაროები გვამცნობენ, ის თამარზე ადრე აღსრულებულა (წყაროებში სამი თარიღია მითითებული 1203, 1204, 1207) და დაუჯერებელია, თამარს მისი თანამეცხედრის ნეშტი მთებს იქით დაესაფლავებინა.

„...დღემდე ჯერჯერობით არავის მოუტანია დოკუმენტი, რომელიც წინ აღუდგებოდა ქართველ მემატიანეთა მტკიცებას დავით სოსლანის ბაგრატიონობის შესახებ.“ — გვამცნობს ქართველი მეცნიერი. მაგრამ აი, 18 წლის შემდეგ გამოჩნდა კაცი, ევგენია პჩელინას „საისტორიო სკოლის სწავლების“ მიმდევარი, რომელმაც „სწორად ისწავლა ისტორია“ და გვიმტკიცებს არა მარტო დავით სოსლანის ოსობას, არამედ, პჩელინას დიდმა „შეგირდმა“ დავით სოსლანს უმოწყალოდ ზედ მიაყოლა მისი ღვთივმოსილი თანამეცხედრე მეფეთ-მეფე წმიდა თამარი.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ შევსთხოვოთ მოწყალე სააკაშვილს დაგვიდოს დღემდის ჩვენთვის უცნობი დოკუმენტები და „განგვანათლოს“.

როგორც სჩანს, მიშა სააკაშვილს ოსი სეპარატისტი და რუსი იმპერიალისტი „ისტორიკოსების“ ბილწი გონების ნაჟური გადაუბულბულებია და ამიტომ ჰგონია, რომ მის თაობას არ უსწავლია ნამდვილი ისტორია.

ჩვენ არც ნამდვილი ქართული გეოგრაფია გვისწავლია, თორემ ჩავჯდებოდით ახლა იმ მატარებელში, რომელითაც ილორის მაგიერ სულორში შევგრიალდებოდით.

ჩვენთვის რომ ნამდვილი ქართული პოეზიაც ესწავლებიათ, მაშინ ორბელიანის ტაეპებს დიდ შოთას მივაწერდით და ქართული პოეზიის დედოფლის ლექსებზე რომ ავღზრდილიყავით, მაშინ ასე შევაჯერებდით დიდი ქალბატონი ანა კალანდაძის ლექსებს „ატმის რტოო, ატმის რტოო, ლამის სახლში შემომეჭრას თუთა“!(?!) მაგარია, არა?!

ეჰ, რამდენი რამე გვკლებია, როდის ავაღწევთ მიშა მაგარიას „ცოდნის“ სიმაღლემდე?! რამხელა ოჩოფეხები დაგვჭირდება, მას რომ მხარი გავუსწოროთ!

ხუმრობა იქით იყოს, სერიოზულად განვსაჯოთ ჩვენი უბედურება, რომელსაც მიშა მაგარია ჰქვია და ნათელი მოვფინოთ იმ უკუნსა და ბნელს, რომელიც მის მოვლინებას მოჰყვა საქართველოში.

დავუშვათ, რომ ქართველთა დიდი დედა ოსი იყო, რა მოხდა მერე ამით?! იქნებ დამისახელოთ ევროპის მონარქიული სახელმწიფოს რომელიმე მონარქი, რომლის ფესვი იმავე ქვეყნის წიაღიდან მომდინარეობდეს?

დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს უინძორების დინასტია, რომელიც სათავეს 1901 წლიდან იღებს, წარმოსდგება საქსენ-კობურგ გოთას საგვარეულოდან და ეს შენ დღეს დიდ ბრიტანელს რომ შეახსენო, ცხვირპირი წითლად შეგეღებება! არადა აი, რას ვგებულობთ იგივე ვიკიპედიიდან:

Das Haus Windsor [„wɪnz“] (ab 1917) ist das britische Königshaus. Wegen des innenpolitischen Drucks während des Ersten Weltkrieges aufgrund der deutschen Abstammung und Verwandtschaft der königlichen Familie mit dem Deutschen Kaiserreich, änderte König Georg V. am 17. Juli 1917 den deutschen Namen Sachsen-Coburg-Gotha (vom Haus Sachsen-Coburg und Gotha herrührend), den die Familie in Großbritannien seit 1840 trug, in den jetzigen Namen Windsor. Dieser steht für die kleine englische Stadt Windsor in der Grafschaft Berkshire, wo sich Schloss Windsor, die Residenz der königlichen Familie, befindet.

ე.ი. „უინძორთა სახლი“ (უინძორები 1917 წლიდან) არის ბრიტანეთის სამეფო სახლი. მეფე გეორგ V 1917 წლის 17 ივლისიდან პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას შიდა პოლიტიკური ზეწოლით გერმანული წარმოშობის და გერმანიის იმპერატორების სამეფო სახლთან ნათესაობის მიზეზის გამო შეცვალა გერმანული სახელი საქსენ-კობურგ-გოტა (საქსენ — კობურგის და გოტას სახლი), რომელსაც ოჯახი 1840 წლიდან ატარებდა, უინ-

ძორთა სახელით. ეს წარმოდგება ბერკშირის საგრაფოს პატარა ქალაქ უინძორისგან, სადაც სამეფო რეზიდენცია, უინზორის ციხე-დარბაზი იმყოფება.

თუნდაც თამარი (შემინდე დიდო დედაო!) ოსური წარმომავლობის იყოს, ვერ გამიგია, რა მიზანს ემსახურება ქვეყნის პირველი პირისგან წარამარა ამის ყრანტალი??

გაბედეთ და დიდ ბრიტანელებს შეჰკადრეთ დღეს უინძორები ბრიტანელები არ არიანო და რა დღეც თქვენს სიფათს დაადგება, უკეთესის ნახვას ვერც ვინატრებთ. ან კიდევ, რუსებს უთხარი, ეკატერინა II პრუსიელი იყოო და ზარბაზნების ქუხილი მერე ნახეთ.

არადა ჩვენი სახელოვანი მეცნიერები, პოეტები, მწერლები საზოგადო მოღვაწენი, როგორი სითათუთით, კრძალვით, მოწიწებითა და სიყვარულით მოიხსენიებენ მას. გავიხსენოთ გრიგოლ ორბელიანი:

თამარ მეფის სახე გეთანიის ეკლესიაში

შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!
მიხარის — გიმზერ,
ვჰსწუხვარ — და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..

და დღესაც ამათი წყალობით დავრდომილი სამშობლოს ტკივილებს მეფეთ-მეფე თამარის ცქერით ვიამებთ.

ანდა რად ღირს ვაჟასეული ტაეპების გულში წაჩურჩულება

დიდი თამარი

ქალო, ქართველთა სულისდგმავ,
ქალო, ქართველთა დედაო!
ტყუილად ვამბობთ შენს სიკვდილს,
თამარს ცოცხალსა ვხედაო
შენა ხარ ერის სიცოცხლე,
თავი არ მომიკვდებაო!
მოწყალედ გვექმენ ქართველთა,
ჩემო ლამაზო დედაო!

რა ვქნა, როგორ ვერწმუნო მიშა სხვააკაშვილს? რამეთუ ვერსად ვერ ვკითხულობ მიშა მაგარიასეულ „შენ, ჩემო ოსო დედაო„-ს!

მიშა მაგარიას ჭავჭავაძის უნივერსიტეტში დაუკვეხნია: „ის თემები, რომელზეც მე ვსაუბრობ პირდაპირ არის კავშირში იმასთან, რის დანერგვასაც ცდილობდა ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნეში„.

ღმერთო დიდებულო, რას არ გაიგონებ?! დიდება შენს მოთმინებას, უფალო!

საერთოდ სმენია კი ამ „მრავლისმცოდნე“ პრეზიდენტს ილიას „თემების“ შესახებ რამე? გაუგია კი წმიდა ილია მართლის „ქვათა ღაღადის“ არსებობაზე რაიმე?

და თუ ერთხელ მაინც გადაუკითხავს წმიდა ილია მართალის რომელიმე თხზულება, მაშინ რად გვაყრის თვალში ნაცარსა და რად გვინამლავს გათანგულ სულებს?

მიშამაგარიას უპირველესი მიზანი ხომ დღესავით ნათელია — ახლებურად „ასწავლოს„ ქართველ სტუდენტობას ისტორია, ესე იგი — დაავიწყოს, ამოშანთოს ჩვენი გონებიდან ისტორიული მახსოვრობა და ჟამთაღრიცხვა, მხოლოდ 2004 წლიდან დავიწყოთ.

საჭიროდ ვთვლით შთავაგონოთ მას ილიას ეს სიტყვები:

„...ყოვლის სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარი მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს.

ამ სახით რომ გვართმევენ ყოველს ჩვენს ეროვნულ ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას... გვიბათილებენ ისტორიასაც... რისთვის არის ატეხილი ეს მტვერ-ბუქი, ეს ფუქსავატი ჭექა-ქუხილი?.. ვისი უნარია ყოველივე ეს? რა შავი ყორანია, რომ თავს დაგვტრიალებს, ზედ დაგვყეფს და დაგვჩხავის?.. ღმერთმა გვაშოროს, იგი ცოდვა მთელს ერს შევწამოთ... ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველი პატიოსანისა და ჭკუათმყოფელი ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად-ხსენება — დიდად სათაკილო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი წადილები. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილ ადამიანს არ ეპატიება“.

და საქართველოს დღევანდელ მანქურთ საჭეთმპყობელებს მინდა შევახსენო ისევ და ისევ ილიასეული სიტყვები:

„... ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მასს ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან - მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული - მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო - მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერის ბრძენისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი“.

და ვაი მას, ვინც ამ კანონის წინააღმდეგ წავა, მკაცრი თემიდა ქალბატონი ისტორია სამუდამო გაქრობას მიუსჯის სასჯელად! დასასრულ, ისევ მივმართავ მიშა მაგარიას ამფსონებს, ქალბატონებსა და ბატონებს, რომლებიც ისმენენ რა ასეთ მტრულ ბოდვებს მათი კუმირისაგან და თვით თევზებივით პირში წყალი ჩაუგუბებიათ:

— მოგწონთ კი ბატონებო და ქალბატონებო ამ კვისლინგის ასეთი სიმაგრე?

— თქვენთვის მიშას სიმაგრე და გამაგრება უმთავრესია თუ მამული ჩვენი?

მივმართავთ ოთარ კობერიძეს, რომელმაც მიშა მაგარიას საამებლად კახეთში საარჩევნო ვაქხანალიისას ასეთი უტიფრობა და მკრეხელობა წამოროშა — „მიშამ დამპალი საქართველო ჩაიბარაო“, მოგიწონებდა კი ასეთ თქმას ბატონო ოთარ თქვენი თამარივით ლამაზი, სულნათელი მეუღლე ქალბატონი ლია ელიავა?

გვინდოდა მიგვემართა მიშას ამქარში ქანცგაწყვეტილი ეკა ხერხეულიძისათვის, ნუგზარ წიკლაურისათვის, ცრუ დისიდენტ ირაკლი კენჭოშვილისათვის, შოთა მალაშხიასათვის და გამინისტრებულ პროფესორ იულონ გაგოშიძისათვის ორიოდე სიტყვით, მაგრამ საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ, რადგან ჩვენი ღაღადისი კედელზე ცერცვის ჰყრა იქნებოდა მხოლოდ.

ჩვენს წერილს პროლოგად გრიგოლ რობაქიძის სიტყვები წარვუმძღვარეთ და ეპილოგადაც მისსავე სიტყვებს დავურთავთ:

„...ვინ იცის, ჩვენს უმსგავსო ცხოვრებაში, საცა შურისა და შუღლის მეტი არა ისმის რა, მრავალი ქართველისათვის მხოლოდ თამარია ერთადერთი ნავთსაყუდარი. ვინ იცის, ჩვენს უგვანო ცხოვრებაში, საცა აღფრთოვანებას ფრთები ეჭრება „მეშჩანური“ მორალისაგან, მრავალი ქართველისათვის მხოლოდ თამარია ერთადერთი ამაფრთოვანებელი მესაიდუმლე. და რამდენია ისეთი, რომლისთვის ამ საშინელ ქვეყანაში საკუთარი სულიც ციხედ გარდაქმნილა!

ასეთია დიდი თამარ, და ამ სიყვარულის ღალატი იქნებოდა, თუ შვიდასი წლისთავზე არ ითქვა უკანასკნელი სიმართლე... თამარ პლასტიური ლეგენდაა საქართველოს ისტორიისა, თვალის მომჭრელი და სმენამათრობელი“ (გაზეთი „საქართველო“, 1918, N90-91, 13-15 მაისი).

ალექსანდრე სანდუხაძე

სააკაშვილის ანტინაციონალური პოლიტიკა ქართული ენის წინააღმდეგ

საქართველოს უახლესი ისტორიიდან ვიცით, თუ როგორ აღსდგა ერი და ბერი, სტუდენტობა ქართული ენის დასაცავად 1978 წლის 14 აპრილს, როდესაც სსრკ-ს პოლიტბიურომ, ლეონიდ ბრეჟნევის თავმჯდომარეობით, მოინდომა კონსტიტუციიდან ამოეღო 75-ე მუხლი, რომელშიც დეკლარირებული იყო, რომ „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“. თუმცა, ზემომოხმობილი მუხლი, ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში და საქართველოშიც (როგორც თავად კონსტიტუცია) ფიქცია იყო, მაგრამ შორსმჭვრეტელი ქართველი ერი აღარ შეეგუა საკუთარი ენის დეიურედ ამოძირკვასაც.

როდესაც სსრკ დაინგრა და დაიშალა, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უზენაესმა საბჭომ „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში“ უცვლელად დატოვა ზემოხსენებული მუხლი და რეალურად უზრუნველყო სახელმწიფო ენის დაცვა.

სახელმწიფო ენის სტატუსი შენარჩუნებულ იქნა 1995 წლის 25 აგვისტოს მიღებულ „საქართველოს კონსტიტუციაშიც“ შემდეგი ცვლილებითა და დამატებით: „მუხლი 8. საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში, აგრეთვე - აფხაზური“. უფრო უადრეს, 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში, ქართული ენის სტატუსი განსაზღვრული იყო მუხლ 3-ში, რომელშიც ეწერა: „საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა“ (იხ. ხსენებული კონსტიტუცია).

ვინაიდან ხელმეორედ არ არის გამოცემული 1995 წლის 25 აგვისტოს კონსტიტუცია, ჩვენ არ ვიცით რა ცვლილება და დამატება განიცადა ქართული ენის შესახებ მე-8 მუხლმა; სააკაშვილის ანტინაციონალურმა ხელისუფლებამ 2004 წლიდან მოყოლებული დღემდე იმდენი ცვლილებები და დამატებები შეიტანა კონსტიტუციაში, რომ ინტერნეტითაც კი ვერ მოვიპოვეთ ცნობა კონსტიტუციის მე-8 მუხლის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, საერთოდ ამოიღეს იგი კონსტიტუციიდან, თუ რა სახის ცვლილება განიცადა მან. ფაქტია, რომ ოფიციალური პოლიტიკით სახელმწიფოში ქართული ენა არ არის დომინინატი, - არაქართულ მოსახლეობას არ ავალდებულებს (არც სამსახურებში, არც სკოლებში და არც უმაღლეს სასწავლებლებში) ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის აუცილებელი ცოდნით, ხოლო სასტუმროების, მაღაზიებისა და სხვა დაწესებულებების შენობებიდან სრულად გამქრალია ქართული, მის ნაცვლად მხოლოდ ინგლისურენოვანი წარწერები კაშკაშებენ.

ასე ელვარებს მხოლოდ ინგლისურენოვანი წარწერა ახლახან საზეიმო ვითარებაში გახსნილ სასტუმრო „Radisson“-ზე, ყოფილი სასტუმრო „ევერიის“ შენობის თავზე. მართალია პოლიტიკური ორგანიზაციის „კონსერვატორების“ ლიდერებმა, გახსნისთანავე გააპროტესტეს აღნიშნული ფაქტი, მაგრამ მათ ერთჯერად პროტესტს, როგორც მოსალოდნელი იყო, არც ხელისუფლებისა და არც სასტუმროს უცხოელი მესვეურების მხრიდან გულისხმიერი რეაქცია არ მოჰყოლია.

თუ მე-20 საუკუნეში იმპერიალისტური რუსეთი ყველა მეთოდებით დევნიდა ქართულ ენას საქართველოში, დღეს, 21-ე საუკუნეში, ამერიკისა და დასავლეთის კაპიტალით იდევნება და იძირკვება ქართული ენა; სახელმწიფო დაწესებულებები თუ კერძო ფირმები სამსახურში არავის იღებენ ინგლისური ენის ცოდნის გარეშე, მსგავსად საბჭოთა კომუნისტური სისტემის დროს - რუსული ენისა.

დიახ, ჩვენ მივისწრაფვით ნატოსა და ევროპისაკენ, მაგრამ იმისათვის, – რომ შევინარჩუნოთ ჩვენი უძველესი სახელმწიფოებრიობა, ენა, კულტურა და ტრადიციები.

ამავდროულად უნდა ახსოვდეს მსოფლიოს, რომ ჩვენში უკვდავია ერთიანი, ძლიერი კავკასიის იდეა.

სააკაშვილის ანტინაციონალური ხელისუფლების ლიბერალური პოლიტიკით სამცხე-ჯავახეთში უკვე მიმდინარეობს (საკუთარი ენისა და ორმაგი მოქალაქეობის უფლებით) ამ რეგიონის საქართველოდან გამოყოფის ჩუმი პროცესი; აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მსგავსად იქ უკვე არიგებენ სომხურ პასპორტებს, ქართული ენა განდევნილია სახელმწიფო ინსტიტუტებიდან და მკვიდრობს სომხური, ქართული მოსახლეობა, განცდილი დისკრიმინაციის გამო, თანდათან ტოვებს რეგიონს.

ამგვარ სახიფათო პროცესს დანაშაულებრივად უყურებს და აჩუმათებს, როგორც ხელისუფლება და მის მიერ მონოპოლიზირებული მასმედია, ასევე ოპოზიციაც, რაც ცხადჰყოფს, რომ ისინი არავითარ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას არ წარმოადგენენ, არამედ „იბრძვიან“ ხელისუფლებისათვის.

ქეთევან ჭანტურია

„ხალხს შია, მიშა მაძღარია!“

დედაქალაქ თბილისის ყველა უბანში, შენობებზე, მიწისქვეშა გასასვლელებში და რუსთაველის გამზირის ასფალტებზე პარლამენტის შენობასთან გაჩნდა სოციალური პროტესტის წარწერები: „ხალხს შია, მიშა მაძღარია!“ მაგრამ ქვეყნის მაძღარი პრეზიდენტი სააკაშვილი და მისივე მაძღარი მთავრობაც, ისევე როგორც პოლიტიკური პროტესტის ხმას, სოციალურ პროტესტსაც უყრუებს. მას (მათ) ამ დანგრეულ-დამშეულ-გაღატაკებული ქვეყნის მისეული ვირტუოზული ხედვა აქვს (აქვთ) და მხოლოდ საკუთარ მომავალს იშენებენ. ხალხი კი სულაც არ ანაღვლებთ, რამეთუ სულაც არ სჭირდებათ ხალხი, არამედ - მხოლოდ თვითონ!

ხელისუფლების ვერაგულ ჩანაფიქრს უკვე ცხადად ხვდება ხალხი და როდის იმძლავრებს თვითგადარჩენის ინსტიქტი და სოციალური აფეთქება არავინ იცის.

მაძღარი და თვითკმაყოფილი სააკაშვილი კი კვლავ სიამით იფშვნეტს ხელებს: „აი, პოლიციის ახალი შენობა გავხსენი!“ „აი, ავტორალი გავხსენი!“, „აი, სასტუმროები... ჰი, ჰი, ჰი!..“

რედ.

რა ელის ცოტნე გამსახურდიას სააკაშვილის კატომოძულე რეჟიმის ხელში?

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილის ცოტნე გამსახურდიას არსებობა, როგორც ჩანს მოსვენებას უკარგავს სააკაშვილს, ვინძლო, მის პერსონაში შეურიგებელ და პოტენციურ მეტოქეს ხედავს.

მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს, სააკაშვილის რეჟიმმა, კვლავ დააპატიმრა ცოტნე გამსახურდია და იმისათვის, რომ სამართლიანად წარმოედგინა მისი დაპატიმრება, ტელეკომპანია «რუსთავი-2»-ით უჩვენა მთელი ქრონოლოგია ცოტნე გამსახურდიას «დანაშაულებათა სერიალებისა».

სააკაშვილის რეჟიმის მიერ შეთითხნილი ბრალდებების საპირწონედ ჩვენ ჩვენის მხრივ წარმოვაჩენთ ცოტნე გამსახურდიას პერსონის წინააღმდეგ ბრძოლის ქრონოლოგიას:

2003 წელს, ცოტნეს სახლში არყოფნის დროს, დღემდე დაუდგენელი პირები შეიპარნენ კოლხურ კოშკში და მოიპარეს ცოტნეს ხელნაწერები, მეცნიერული შრომები.

2006 წელს მისი შევიწროვებისა და გაუსაძლისი ცხოვრების პირობების შექმნით მოხდა ცოტნეს თვითმკვლელობის გადაწყვეტილებამდე მიყვანა, მან დანით დაიჭრა თავი და გამოჯანმრთელებისთანავე იძულებით დატოვა სამშობლო.

2007 წლის ნოემბერში „სააკაშვილის რეჟიმმა“ წამოიწყო ცოტნე გამსახურდიას „ჯაშუშობაში მხილების“ კამპანია, რაც ელექტრონული მედიით, თითქმის მთელი თვე გრძელდებოდა.

2008 წლის სექტემბერში, საქართველოში დაბრუნებული ცოტნე გამსახურდია თბილისის აეროპორტში დააკავეს, ამყოფეს ორკვირიან პატიმრობაში და ოცი ათასი გირაოს იძულებით გადახდის შემდგომ გაათავისუფლეს (გირაო სხვამ გადაიხადა).

2009 წლის 28 ოქტომბერი, სააკაშვილის ანტინაციონალურმა რეჟიმმა, ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას ცოტნე გამსახურდიას დაჭერით «მიულოცა»; მეზობელ დავით ბაჯელიძის ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრის ბრალდებით დაპატიმრებული ცოტნე გამსახურდია დღესაც ციხეში ზის და პროტესტის ნიშნად შიმშილობას აცხადებს. მისი ადვოკატი ქეთევან ბექაური განმარტავს, რომ არ არსებობს არანაირი მტკიცებულება ცოტნე გამსახურდიას დანაშაულის შესახებ, არ არსებობს მოწმე და თვით პირდაპირი მომჩივანიც.

დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, სააკაშვილის რეჟიმი შეიძლება იძულებული გახდეს, ცოტნე გამსახურდია პატიმრობიდან ამჯერადაც გაათავისუფლოს, მაგრამ საქართველოში დარჩენის შემთხვევაში ექნება თუ არა მას ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების გარანტია, არავინ იცის. არ არის გამორიცხული პერმანენტული ფსიქოლოგიური ტერორით მოახდინონ ცოტნე გამსახურდიას დანაშაულის პროვოცირება.

ქეთევან ჭანტურია

პანკისი - ნაცადი ფანტომი

რუსულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ კვლავ წამოსწია მის მიერ 1999-2003 წწ. კულტივირებული პანკისის თემა. რუსეთის კონტრტერორიზმის კომიტეტის სხდომაზე ფედერალური უშიშროების სამსახურის უფროსმა ალექსანდრე ბორტნიკოვმა განაცხადა: „საქართველოს სპეცსამსახურები „ალქაიდას“ ემისრებს ჩეჩნეთსა და დაღესტანში იარაღის გადატანაში ეხმარებიან“ და „პანკისის ხეობაში ტერორისტთა სამხედრო ბაზებიაო“.

ნათელია, კრემლი კარგად აცნობიერებს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომით მან ვერ გადაწყვიტა მისი დესპოტური რეჟიმის სტრატეგიული ამოცანა - საქართველოს დესუვერენიზება და ცდილობს ამ ამოცანის შესასრულებლად დღეს სხვა გზები მოიძიოს. ერთ-ერთი მათგანია პანკისის თემის წამოწევა., თუმცა, მან კარგად იცის, რომ პანკისში, არც არანაირი ბაზები არ არსებობს და არც საქართველო თანამშრომლობს „ალ-ქაიდასთან“, მაგრამ მან ისიც კარგად იცის, რომ რუსეთის მიერ სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიების ოკუპირების თემის გადასაფარად საჭიროა ახალი თემა და ყველაზე კარგი ამ მხრივ რუსული დესპოტიისათვის არის საქართველოს ყოფნა პერმანენტული ეჭვმიტანილის როლში, თითქოს იგი საერთაშორისო ტერორიზმის ხელშემწყობი იყოს. მერე რა, რომ რუსეთის ხელისუფლებას არა აქვს, არც ირიბი და არც პირდაპირი სამხილი? მთავარი მისთვის დაბრალებაა, რათა თბილისი თავის მართლების რეჟიმში ამყოფოს. მით უფრო, რომ საქართველოში უკვე იმყოფებიან აშშ-ს საზღვაო ქვეითი კორპუსის ინსტრუქტორები, რომლებიც ქართულ კონტიგენტს ამზადებენ ავღანური მისიისათვის. ეს კრემლისთვის კიდევ უფრო დიდი სტიმულია, რათა იმპერიული ეჭვიანობა და კაპრიზი კიდევ ერთხელ გამოავლინოს.

კრემლმა და პირადად ვ. პუტინმა 1999-2003 წწ. პანკისის თემით საქართველოს ტერორისტთა თავშესაფრის იმიჯი მოარგეს და რამდენჯერმე დაბომბეს საქართველოს ტერიტორია. დასავლურ მედიასაშუალებებში ამ იმიჯის ნალექები დარჩა და დღეს რუსული პროპაგანდისტული მანქანა ყოველმხრივ ეცდება ამ ნარჩენების კულტივირებას.

რა შეიძლება ეპასუხოს რუსული დესპოტიის მხრიდან მომდინარე ამ საფრთხეს?

საპარლამენტო უმცირესობის ინიციატივით ნდობის ჯგუფის საქართველოს პარლამენტში სასაზღვრო პოლიციის, კონტრტერორისტული ცენტრისა და საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელებთან შეხვედრას მხოლოდ ზერელე შეღავათი შეიძლება ეწოდოს. გამოსავალი, არც პარლამენტარებისა და დიპლომატების პანკისში ერთობლივ გასეირნებაშია. აუცილებელია საქართველოს პირდაპირი ინიციატივით პანკისის ხეობაში და ინგუშეთის, ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვართან ევროკავშირის დამკვირვებლების მობილური და სტაციონალური პოსტების განლაგება, უნდა აღდგეს ეუთოს სადამკვირვებლო მისია.

პანკისი დღეს კრემლისთვის ფანტომური ტკივილია და დაე, ეს ასეც დარჩეს, მთავარია იგი საქართველოს რეალურ ტკივილად არ იქცეს.

სეპარატისტული თამაშობანი

რუსეთის არმიის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალში სეპარატისტები თამაშით არიან დაკავებულნი, ერთი „არჩევნებს“ მართავს, მეორე - „სასამართლოს“.

აფხაზეთის პრეზიდენტობის პოსტზე რამდენიმე კანდიდატი ოცნებობს: სერგეი ბაღაფში - მოქმედი პრეზიდენტი, უპარტიო - ვიტალი ღამბა, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი - რაულ ხაჯინბა, ბიზნესმენი - ბესლან ბუთბა და სამეურნეო მუშაკი - ზაურ არძინბა, ე.წ. პრეზიდენტი კი ის გახდება, ვინც კრემლს მეტად მოაწონებს თავს; ეს პრობლემის მედლის ერთი მხარეა, მაგრამ არსებობს მეორე მხარეც, თუ ს. ბაღაფშის გარშემო კომუნისტურ-კომკავშირული წარსულის მქონენი ირაზმებიან, არც დანარჩენნი არიან ჯაბანნი. რ. ხაჯინბა მათ ინტერესებს იცავს, ვინც მყარად იდგა საბჭოთა სუკ-ის სამსახურში და საკავშირო მნიშვნელობის კურორტ აფხაზეთში მათი რიცხვი მრავალგზის აღემატებოდა, თუნდაც, ინდუსტრიული ცენტრების სუკელთა ქსელს. ბესლან ბუთბა, სისხლითა და სიბინძურით უხვად მოსვრილი ველური ბურჟუების ეტალონია, ეს ის ფენაა, რომელმაც უხვად იხეირა 1992-1993 წწ. აფხაზეთის ძარცვით, ვინც ხარკს კრეფდა გალის რაიონში, ვინც ყიდდა აფხაზეთში დარჩენილ საბჭოთა ინდუსტრიის მატერიულ ნარჩენებს.

ვიტალი ღამბა - ესაა აფხაზური „სამოქალაქო საზოგადოების“, რეალურად კი ტრანსნაციური კაპიტალის გრანტებით ნასაზრდოები „სასარგებლო იდიოტების“ ტიპი. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან 10-12 წლის განმავლობაში სხვისი ფულით მათ მოიარეს დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სხვადასხვა არასამთავრობო თუ ნახევრად ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სხვადასხვა არასამთავრობო თუ ნახევრად სამთავრობო ცენტრები, სადაც ზოგან მეტი და ზოგან ნაკლები წარმატებით „დაბოლეს“ დასავლელი ინტელექტურები „ჩაგრული და თავისუფლებისათვის მებრძოლი მცირე ხალხის“ ზღაპრით. ზაურ არძინბას „პლიუსი“ კი არძინბების წყეული კლანის წევრობაა.

ა.წ. 12 დეკემბრამდე არაერთი „დემოკრატიული“ სპექტაკლი დაიდგმება ფსოუსა და ენგურს შორის, მაგრამ უმთავრესი შედეგი ამ ფარსისა, იქნება აფხაზი ხალხის სრული და საბოლოო იზოლირება აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისაგან, კრემლის პროპაგანდისტული მანქანა „ქართული საფრთხის“ ქვეშ. ამჯერად უკანასკნელად დასვამს აფხაზეთის პრეზიდენტის პოსტზე ეთნიკურ აფხაზს და ეს, რა თქმა უნდა, ყოფილი რაიკომის მდივანი სერგეი ბაღაფში იქნება, რომელიც ტროას ცხენის ფუნქციით გამოიწვევს შიდა ეთნიკურ, ანტაგონისტურ დაპირისპირებას ბებერ და ახალგაზრდა „მგლებს“ შორის, გამშველებელი და ჩამხშობი კი კრემლი იქნება, რომელიც რუსული შოვინიზმის საუკეთესო ტრადიციის შესაბამისად, კიდევ ერთხელ, ამჯერად კი უკანასკნელად ჩაუტარებს XIX საუკუნის მუჰაჯირობის გაკვეთილს თვითდაღუპვის გზაზე მდგარ აფხაზ ხალხს.

ჯაყოს სამართალი, როგორც ჭრის, ისე კერავს. კოკოითის დიქტატურამ საკუთარი რეჟიმის „ლეგიტიმურობისა“ და ცოტათი „ფულის შოვნის“ გზას მიაგნო. კოკოითი ტყეში შეშის მოსაჭრელად წასულ ქართველ გლეხს იჭერს, ასამართლებს და ფულს სძალავს, თითქოსდა 1000 რუბლი (50 ლარი) ისეთი რა ფულია, მაგრამ მთავარი აქ თავად ეს სასამართლო პროცესებია, სადაც კოკოითი თავისი მოკლე ჭკუით სამართლებრივ პრეცედენტს ქმნის. „დამოუკიდებელი რესპუბლიკის“ საზღვრების დამრღვევთ „კანონის“ წინაშე პასუხს აგებინებს. მერე რა, რომ რუსებმა უკვე დაშალეს ყველა ბრძოლისუნარიანი ოსური რაზმი? გათამამებული კოკოითი უკვე ბავშვების გატაცებაზეც გადავიდა. მოსკოვის მფარველობით ულტიმატუმებსაც აყენებს. კოკოითი ზეობს?! დამშლელიც არავინ უჩანს? „ღრმად შეშფოთებული“ ევროპელების გარდა?!

თამაშობენ სეპარატისტები... სახელმწიფობანას თამაშობენ...

ისევ ავღანეთი

მსოფლიო პოლიტიკაში ავღანეთი კვლავ იკავებს ცენტრალურ ადგილს.

ნატოს ჯარებმა ამჟამად 90 000 გადააჭარბა და მას 30 000 კიდევ უნდა დაემატოს. ჰამიდ ყარზაიმ არჩევნების მეორე ტური გააუქმა და მიუხედავად ხმათა 50%-ის მოუგროვებლობისა, თავი ავღანეთის პრეზიდენტად გამოაცხადა, ეს ფაქტი კი ნათლად მიუთითებს, რომ თუ არ იქნება ფართო საერთაშორისო ძალისხმევა, ავღანეთი ისლამური ფუნდამენტალიზმის ექსპორტის წყარო გახდება. ამ სტრატეგიული საფრთხის გაუთვალისწინებლად რუსეთუმეების მსგავსად ქართული სამხედრო კონტიგენტის ავღანეთში მივლინების თაობაზე სპეკულირება მხოლოდ პოლიტიკური სიბეცის გამოვლინება იქნება. ისლამური რევოლუციის ტალღა ხომ, არც თუ ისე შორსაა ჩვენი ქვეყნიდან.

გაიდენის გაფრთხილება

პოლონეთს, რუმინეთსა და ჩეხეთში ვიზიტისას აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა განაცხადა: „რუსეთი მომდევნო ათწლეულებში გააცნობიერებს, რომ მის ინტერესებში შედის დიდი ინტეგრირება და არა რაღაც „განსაკუთრებული“ კურსი, რომელზეც ზოგიერთები ფიქრობენ“ და დასძინა, რომ იგი რუსეთს „რეალისტურად უყურებს“ „ამერიკას სურს კვლავ დატვირთვის ღილაკს ხელი დააჭიროს, მაგრამ, ჩვენ მეხსიერების წაშლის ღილაკისთვის ხელის დაჭერას არ ვაპირებთ“.

ეს განცხადება თვალნათლივ ადასტურებს, რომ ისტორიულ პერსპექტივაში, კრემლს არანაირი შანსი არა აქვს შექმნას და შეინარჩუნოს გავლენის სფეროები და მეორეც, რაც მეტად შეუშლის ხელს ნატო-ს გაფართოების პროცესს, მით უფრო წამგებიანი იქნება მისი ინტერესებისათვის ეს გაფართოება. შავი ზღვის ნაპირებზე: ბულგარეთში და რუმინეთში მალე გაიხსნება ნატო-ს ახალი ბაზები, აშშ-ს პრეზიდენტი ბ. ობამა ხელს აწერს 680 მილიარდიან სამხედრო ბიუჯეტს, რუსეთი კი ეკვადორსაც ველარ ითანხმებს, ცნოს მის მიერ შექმნილი „ახალი რეალობა“ და ეტაპობრივად კარგავს ზესახელმწიფოს ბოლო ბერკეტს - ბირთვულ მუქარას.

ამ ფონზე კი ძალზე შთამბეჭდავია ელიტური საფინანსო კლუბის მონაცემები: საერთაშორისო რეზერვების მიხედვით ადგილები სხვადასხვა ფულადმა ერთეულებმა ასე გადაინაწილეს: დოლარი - 64%, ევრო - 27%, ფუნტი - 5%, იენა - 3%, შვეიცარული ფრანკი - 1%, როგორც ვხედავთ აქ რუბლის ადგილიც კი არაა... რუსეთში კი საერთო სოციალურ-ეკონომიკური სურათი ასეთია: მთლიანი შიდა პროდუქტი - 10,4%-ით დაეცა, სამრეწველო წარმოების ინდექსი 10,8%-ით დაეცა, საგარეო ვაჭრობის ზრუნვა - 42,3%-ით შემცირდა, საქონლის ექსპორტი - 44%-ით შემცირდა, სამომხმარებლო ფასების ინდექსი - 12%-ით გაიზარდა, მოსახლეობის რეალური ფულადი შემოსავლები 5,4%-ით შემცირდა, ხელფასი 5,8%-ით შემცირდა, ხოლო 10 მილიონი ადამიანი უმუშევარია.

რუსეთი სწრაფი ნაბიჯებით უახლოვდება სოციალურ კრიზისს, რაც შესაძლოა პოლიტიკური რევოლუციის წინაპირობად იქცეს.

დავით არაბიძე

იაპონიამ საბოლოოდ აღიარა კუნაშირები ოკუპირებულ ტერიტორიად

იაპონიაში საბოლოოდ დამტკიცდა დოკუმენტი, რომელიც აცხადებს სამხრეთ კურილებს „რუსეთის ფედერაციის მიერ უკანონოდ ოკუპირებულს“. ამასთანავე, მთავრობამ დაუსვა წერტილი გაუგებრობას ამ ტექსტთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, დოკუმენტი ხელში ჩაუვარდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ტოკიოში საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული და პუბლიკაცია „შეცდომით“ მოხდა.

დოკუმენტი შედგენილ იქნა პარლამენტის ქვედა პალატის საგარეო საქმეების კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით, რომელმაც მხარი დაუჭირა იაპონიის აქტიურ მონაწილეობას ეკონომიკურ პროექტებში სამხრეთ კურილებზე, თუნდაც ამისათვის საჭირო იქნება „დროებითად დასთანმხდნენ“ რუსეთის უფლებით ამ კუნძულების მართვაზე. მთავრობამ, ამ სახით, მთლიანად უარყო ეს შესაძლებლობა.

„რუსეთის ფედერაციას უკანონოდ აქვს ოკუპირებული ჩრდილოური ოთხი კუნძული, — ნათქვამია ტექსტში, რომელიც მოვიდა იტარ - ტასსში იაპონიის საგარეო უწყებიდან. - ამ სიტუაციაში იქ ჩვენი მაცხოვრებლების მგზავრობა ან მონაწილეობა კუნძულების ათვისების ფორმებში, დაფუძნებული რუსეთის უფლებების წინაპირობებით მათ მართვაზე, არ ეთანხმება ჩვენი ქვეყნის პოზიციას ჩრდილოეთის ტერიტორიების პრობლემებზე. ამ მიდგომით ცვლილებები არ არის.“

საპასუხოდ მინიშნებულია, რომ ტოკიო იაპონლებს ნებას რთავს სამხრეთ კურილებზე მოგზაურობას მხოლოდ „უვიზო გაცვლების“ ახლანდელი ფორმით, კერძოდ, საფლავების მონახულებითა და ადამიანებს შორის კონტაქტით.

„ჩვენ ვთხოვთ ხალხს გაგებისათვის და იმაში თანამშრომლობისათვის, რომ არ განახორციელონ სხვაგვარი მოგზაურობები ჩრდილოური კუნძულების პრობლემის გადაწყვეტამდის“ - ნათქვამია დოკუმენტში.

შვედეთმა უარი თქვა ნეიტრალიტეტზე და დაიცავს ბალტიის ქვეყნებს რუსული აგრესიისაგან

ბალტიის პრესა იუწყება, რომ შვედეთმა უარი თქვა ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე და მზად არის ბალტიის ქვეყნებს გაუწიოს სამხედრო დახმარება სისხლიანი იმპერიალისტური რუსეთის მათზე თავდასხმის შემთხვევაში.

შვედეთის საგარეო სტრატეგიის შეცვლის მიზეზი გახდა რუსი მტაცებლის თავდასხმა პატარა, მშვიდობიან, თავისუფლებისმოყვარე საქართველოზე.

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იაკ აავიკსოომ გამოთქვა კმაკოფილება შვედეთის პოზიციაზე.

ესტონური გაზეთ „Постимеэс“ მონაცემებით, ჯერ კიდევ ამა წლის 16 ივნისს შვედეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქვეყანა უნდა იყოს მზად მიიღოს და მიეცეს სამხედრო დახმარება.

გადაწყდა, რომ რუსეთის თავდასხმის ან მოსკოვის მიერ ზეწოლის განხორციელების შემთხვევაში აღმოსავლეთ ევროპის ან ევროკავშირის ქვეყნებზე შვედეთი იქნება არა გვერდითი დამკვირვებელი, არამედ გაუწევს სამხედრო დახმარებას რუსეთის აგრეიის მოგერიებაში.

შვეცია არ შედის ნატოში, მაგრამ იურიდიული საფუძველი ამგვარი დახმარების გაწევისათვის შეიძლება გახდეს ახლო დროში ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს სტატიას, ამგვარი სახის დახმარების გაწევის დაწესების შესახებ.

„მთავარია, რომ შვედეთი უარს ამბობს ნეიტრალიტეტის უწინდელ პოლიტიკაზე“ — გამოაქვს დასკვნა გაზეთს და მოჰყავს დამამტკიცებლად შვედეთის თავდაცვის მინისტრის სტენ ტოლგფორსის სიტყვები იმის შესახებ, რომ „შვეცია ჩაერევა ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაზე რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში.“

შვედურ მონაცემებზე დაყრდნობით გაზეთი წერს, რომ რუსეთის მიერ საქართველოზე თავდასხმის შემდგომ შვედეთმა უკვე დაიწყო თავისი სამხედრო პლანირების შეცვლა. თუ მანამდე ის ძირითად ყურადღებას უთმობდა საკუთარი ტერიტორიის დაცვას და ქვეყნის გარეთ სამშვიდობო ოპერაციებს, ახლა კი ემზადება ომისათვის რუსეთთან ბალტიის ზღვაზე, „რათა საჭიროებისას სამხედრო საშუალებებით დაიცვას ბალტიის სახელმწიფოები“.

ასე რომ, ამა წლის შემოდგომით შვედებმა ორჯერ ჩაატარეს სწავლებები, რომლის მსვლელობისას სამხედრო მომსახურეთა ნაწილები გადასმულ იქნენ კუნძულ გოტლანდზე.

სავარაუდოა, რომ მათი მიზანი იყო სახმელეთო ჯარების ბალტიის ქვეყნებში გადასროლის და იქ მათი მოქმედების გამომუშავება.

თავდაცვის მინისტრის სიტყვებით, ესტონეთსა და შვედეთს შორის ამჟამად მიმდინარეობს აქტიური სამხედრო თანამშრომლობა. ავიკსოო არ გამორიცხავს, რომ ესტონეთში შეიძლება განხორციელდეს ფართო მასშტაბიანი სწავლებები შვედეთის მონაწილეობით, მაგრამ მას ამ შესაძლებლობის უფრო დაწვრილებითი კომენტარი არ გაუკეთებია.

აღვნიშნავთ, რომ ესტონეთის ადრინდელმა პრემიერ-მინისტრმა მარტ ლაარმა, რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ ევროკავშირის მოხსენების კომენტარისას ტაიმსის ფურცლებიდან ევროპას მოუწოდა გაუწიონ წინააღმდეგობა მარადიულ რუს აგრესორებს.

რუსულიდან თარგმნა
ალ. სანდუხაძემ

„მე დიდი მეკვდა წინამორბედი, წინამორბედი მაცხოვარს ჰგავდა“

დიდი ერისკაცები, ღმერთს მიმსგავსებული ადამიანები არასდროს აკლდა საქართველოს. მოციქულებრივი ღვაწლის სულის რაინდები ყოველ დროში ტანჯვით მიიკვლევდნენ გზას და იმასაც გრძნობდნენ, რომ ასეთი ცხოვრება სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარსთან მუდმივი ყოფნა იყო. მათი სიბრძნე კი ნებისმიერი დრო-ჟამის სათქმელ-სატკივარს იტევს. ცხოვრება ამ გმირთა იყო მუდმივი ომი და უკომპრომისობა. სიმართლე როცა მოგვენატრება, ისევ ისინი გვიუწყებენ, გონებას და სულაც აპურებენ, გამოცდილებასაც გვმატებენ და გვაჯანსაღებენ. ერთ-ერთი ასეთი სულკურთხეული მოაზროვნეა აკაკი წერეთელი, რომლის პუბლიცისტიკა, გარდა იმისა, რომ განსაკუთრებულ ფენომენს ავლენს ავტორისა, ღდევანდელობასთან მჭიდრო კავშირშიცაა. ბევრი რამ სარკაზმით, იუმორითაც აქვს შეზავებული, მაგრამ ყველაზე ცხადად ამ სტრიქონთა შორის ქართული ტკივილი იკითხება. გგონია, როცა ამ წერილებს ეცნობი, ყოველთვის უსამართლო და შეუსაბამოა დრო, რომელიც თავის წიაღიდან აძევებს რჩეული, უდროო გმირებს, მათ, ვინც ითავსეს ღვთაებრივი. სული არა ერთს გაუმწარდა ყოფისგან, არა ერთს ერგო განცალკევება და ეს იყო ამაყი და მდიდარი მარტოობა. გულსატკენია, რომ მაშინაც იყო ეს საერთო ჭირი, რომელიც დღესაც ამოუძირკვავია - „ძალიან კუჭის ამყოლი კაცნი ვართ! საზოგადო საქმეს ერთ თავის დაკვრას შევწირავთ და ერთ ძეხვად გავყიდით“. აკაკის მახვილ თვალს არაფერი გამოპარვია და გაოცდებით, როცა „პარტიობაზე“ თქმულ მის აზრს ამოიკითხავთ, რა ნაცნობი ტკივილია - „ადრე სზაოგადო ფერი ჰქონდა საპირადო საქმესაც და დღეს კი საზოგადოსაც საპირადო სარჩულს უდებენ... ყველაფერი კუჭზე ტრიალებს... ვარდის დრო წავიდა და დღეს მარტო ეკლის დროა“. როგორც ახლა, მაშინაც მოექცნენ ვაიკაცობით სათავეში არა ერთ საქმესა თუ წამოწყებას. მომრავლდა „მრუდე გზით“ მავალი უხეიროდ გამდიდრებული, ფულის „არტისტოკრატია“, რაზეც აკაკიმ ირონიულად მიუთითა - „დღეს ჭკუა ჯიებე ჰგონიათ“. გულისწყვეტით წერს ერთგან - „სადაც ერთი გმირია, იქ ათასი ნაცარქექიაა“...

მრავალმა კეთილმა საქმემ იცვალა ფერი ძელადაც და ახლაც, ამიტომ ღირს გახსენებად აკაკის თქმული - „ქველმოქმედება“ გველმოქმედებად გადაიქცა“.... სევდიანია ეს დარდით ნათქვამი ტკივილიანი განდობა - „ეს დრო ჩვენში დიდი მარტოხელობის დრო იყო“; ანდა როგორ არ იქნებოდა, როცა პრობლემა ზოგს ყელში უჭერდა და უკან სწევდა, ზოგიერთისთვის კი ასპარეზი მაშინვე გაჩნდა, ესენი კი ქვეყნის უგონო სნეული შვილები იყვნენ, - „ეკონომიკური მტერი კარზეა... დღეს ქართველებში ურევიან აქა-იქ გუნდებათ ბულვარ და დუქან-მეისტრები... ის ინტელიგენცია, აბა, რომელსაც გონება ჯიბეში უდევს და გრძნობა კუჭში? ჩვენი დედები მართლა დედები და ცოლები იყვნენ, მარტომაც დაურქმევიათ „ცოლი“ ე. ი. ცვალი, რომ ქმრის გამონაცვლება შესძლებოდა. დღევანდელი ქალები „ჟენები“ არიან, რადგან სიტყვა „ჟენა“ სანკრისტულად მშობელს ანუ მომგებს ნიშნავს და ამათაც ხომ მეტი არა შეუძლიათ რა“. ქართველი ქალის დამახინჯებით იწყებოდა ერის გადაგვარება. დროულად შენიშნა ეს საფრთხეც, რომელიც დღესაც გვიტევს.

საქართველოს ბევრისთვის გადაუხსნია გული, ბევრი მიუღია ალალად, რადგან ფიქრად არასოდეს მოგვსვლია ვინმე გვეძარცვა, შეგვეზღუდა. ასეთი გულუბრყვილობით სხვები ფეხს იმაგრებდნენ. მათ თავისიანისგან რაც მწარედ მოეკითხებოდათ, ჩვენ საფიქრალადაც არ მიგვაჩნდა - „განა შეიძლება იქ ეკონომიკური ბრძოლა, საცა იარაღი და ხერხი სხვადასხვანაირია? სომეხმა რომ ქართველის მაღაზიაში ივაჭროს, მათი კომიტეტი ჯარიმას ახდევინებს, ქართველს კი ამგვარი რამ აზარდაც არ მოუვა“. დღესაც რამდენი ასეთი ეკონომიკური მონავარდეა, აკრძალვების გარეშე, რომელიც გვაღარიბებს და თავად მდიდრდება.

პირდაპირ ესადაგება აკაკის აზრი არჩევნებზე დღევანდელ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებასა და საარჩევნო ორომტრიალს - „უხეირო არჩევნებმა დიდი ვნება მოუტანეს ქვეყანას - გაუღვიძეს საკუჭო სურვილები, გაუხსნეს მადა ზოგიერთებს და ის ჩაიდინეს, რაც საკადრისი არ არის“. ერთგან შენიშნავს - „ქვეყანასაც სამშობლოს ხსენებით აოხრებენო“... საზოგადო საქმეზე არც სიძუნწე და უკანდახევა გამორჩა მხედვდელობიდან, როცა აკაკის ერთმა ნაცნობმა მოუბოდიშა - გაზეთზე ვერ დაგეხმარეთო, იმავე წუთს მან, ლხინში, პირადი სიამოვნებისთვის, უბრალო მეთარეს (დამკვრელს) ოქრო გადაუხადა.

ყოველი სიტყვა სადღეისოდ საჭირბოროტოა, ზუსტი, მახვილივით გამკვეთი. იგი ამხელს საზოგადო საქმის დამაბრკოლებელ „მოჩხირკედელე მოღვაწეებს“, „უკუღმართი დროის“ შვილებს და გულმტკივნეულად დასძენს, რომ „სადავე ხელში ჩაუგდიათ და რიგიანები დაუჩრდილავთ, ამას ხელს უწყობს „ჩემიან-შენიანობაზე“ მოქარგული არჩევნები“. ცრუმოღვაწენი მართლისმოქმედებს ჩაენაცვლნენ, უნიჭოები ნიჭიერებს და - „დღემდე ვინც კი გაკეთებულა და გაბედნიერებულა, ყოველთვის თავის ქვეყნის მტერი ყოფილა და ყოფილა იმიტომ, რომ ძლიერების სურვილი უსრულებია. გარეშე მტრების პოლიტიკაში ძველად იყო ხალხის დაჩაგვრა, ამისთვის ისინი აძლიერებდნენ იმისთანებს, რომელნიც უსათუოდ თავის ხალხს მისდგებოდნენ დასაჩაგრავად. ხალხიც ცდილობს, რა შენიშნა ეს, არავინ ამაღლდეს მისდა საჭირ-დღეოდ“. რამდენჯერ გამოუყენებიათ საკეთილდღეო შანსი ბოროტად! აკაკი ნახევრად ხუმრობითა და მწარე სიმართლით სინჯავს სიტყვა „წინამძღოლს“, რომ ის - „ორი სიტყვისგან არის გადაბმულათ შემდგარი - „წინა“ და „მძღოლი“ ე. ი. ვინც წინ და წინ გაძლებს“ და იქვე მიუთითებს, რომ „ამორჩევის დროს“, „ამორჩევლებსო“ ისინი „გვაძლელებენ და მიტომ ვაძლევთ წინა-მძღომელობას“; თანაც დასძენს - „წინამძღობელებს და დეპუტატენტებს ჩვენი ჩინოსნები ირჩევენ და არა ხალხი“. ძნელია არ დაეთანხმო, მით უმეტეს, ჩვენი დამახინჯებული თანამედროვეობის ხრიკებიც იკითხება აქ! აგრეთვე, საყურადღებოა ერთი ჩანაწერიც - „ძველად მამულის ურგებ-შვილობა ისეთი საარაკო შემთხვევა იყო, რომ თურმე ამნაირებს თითით აჩვენებდნენ ხოლმე. მადლობა ღმერთს, რომ დღეს ეს ჩვეულება აღარ არის, თორემ, თქვენი მტერი, ჩვენ თითი გაგვიშეშდებოდა“; ძნელია მწარედ არ ჩაგეღიმოს, გულისტკივილით. ცხადია, ასეთი სინამდვილე დასაძრახი და მიუღებელია მოაზროვნეთათვის. აკაკიც ვერ ურიგდება ამას.

სულიერი საწყისის გამარჯვება მატერიალურ საწყისზე ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, ძნელად მისაღწევიც, რადგან ქვეყანა რომელიც მტრის სამიზნეა გამუდმებით, ზნეობრივადაც სუსტდება და იცვლება. ამადაც წერს - „პირუტყვებრივი დაკმაყოფილება ბედნიერება არ არის. მართალია, ჩვენი ძველები სიღარიბესა და მოუსვენრობაში იყვნენ, მაგრამ მათი სიცოცხლე და ცხოვრება ადამიანური იყო“.

კვლავ „არჩევნების“ თემას მივუბრუნდები. ეს ნათქვამი კი ბოლოდროინდელ მაისის არჩევნებს გვაგონებს და ამ დროში გასაღერებლადაც ღირს - „ძველად მაისის თვეს ვარდის თვე ერქვა და ახლა კი, მუშტი-კრივის თვე უნდა დავარქვათ, რადგანაც ამ დროსაა ხოლმე ამორჩევანი... იწყეს მოძრაობა, დიპლომატიური მიმოსვლა... განა გველი მაისში გაბულბულდება? მაგრამ ვინ რას დაგვიჯერებს იქ, სადაც გაზეთი და მწიგნობრობა გაშლილი სუფრაა, მჭერმეტყველება - ზუთხ-ორაგული, ჭკუა სხვადასხვა მოხარშულ -შემწვრები და სინდისი - ოცდახუთიანი“. როგორ მიესადაგება ასევე დღევანდელობას ბანკზე თქმულიც „ხალხისთვის იგივე დასაკლავი დანა არის ბანკიც“! „ამ ბანკს ბანგად გვაპარებენ, რომ დაგვაძინონ და მერე გაგვცარცვონ“. მაშინ თუ ცდებოდა დიდი აკაკი, დღეს ეს აზრი უტყუარია.

სხვა სიბრძენესთან ერთად ეს მოსაზრებაც დამაფიქრებელი და გასათვალისწინებელია - „მოუკუღმართე იქაა, საცა ძალა და სარგებელია. წახდენა-გაფუჭებას ძალა არ უნდა. ერთი გიჟი მოკლავს და ათასი ჭკვიანი ვეღარ გააცოცხლებს. ერთი სუსტი აამღვრევს წყალს და ასი ძლიერიც ვეღარ დაწმენდს. მაგრამ ეს არ ნიშნავს პირველების ძალას და მეორეების სისუსტეს. ყოველივე საუკუღმართო უფრო ადვილია, ვიდრე საწაღმართო.“ ეს სიბრძნე მტკივნეულია, როცა ხედავ ესოდენ მომრავლებულ უღირსთა და სულმოკლეთა რიცხვს; ამ საერთო სამარცხვინო ფერხულში კი შენი მამულიშვილები ჩაბმულან უნებურად, დაუფიქრებლად, უმეტესობა კი შეგნებულად და სიხარულით თანამონაწილეობს ქვეყნის დაქცევაში. ქართველი კი, აკაკის თქმისა არ იყოს, „მხოლოდ მაშინაა საყვარელი, როდესაც ქართველობა არ დაკარგვია“. ერთი უცნაური ტერმინიც შევნიშნეთ - „საარჩევნო სნეული“... დიდია ამ წერილებში გაზიარებული ტკივილი... ზნეობრივ არჩევანშია ადამიანის შინაგანი ძალა და მორალურობა, ამიტომაც საყურადღებოა მისეული მოსაზრება ორ გზასთან დაკავშირებულით და ესაა - საპირადო და საზოგადო! პირველი მიაჩნია დიდების და ხორციელი წარმატების გზად და „მეორე - ტანჯვის, სიღარიბის, შიმშილ-წყურვილის, უმეტესობის, და მერე როგორი უმეტესობის, თვალში დამცირების, სხვებისგან დევნის, თავისიანებისგან გაწირვის და ა. შ.“... „ათას ბოროტს რომ სძულდეს და ერთ კეთილს უყვარდეს კაცი, ესეც საკმარისია. ესაა ადამიანობის ნიშანი“ - წერს იგი და საუკეთესო გადაწყვეტაა - რა სჯობს!

აკაკისთვის ქვეყანაზე ბრუნვაა მთავარი. გულმოკლულიც ბევრჯერ ყოფილა. სააუგო საქმე თავიდანვე შეიძულა და აღარ გვიკვირს, როცა ასეთი ყოფით სულშეძრული გულახდილად ამბობს - გამარჯობას აღარავის ვეუბნებიო უბრალო მიზეზით, „ადრე ყოველი კაცი საწაღმართო საქმეზე მიდიოდა და ახლა კი საუკუღმართოზე დადიან. ახლანდელი ვინ იცის, სად მიდის და რას ფიქრობს! ეგებ ქვეყნის საორგულოც რამ ედოს გულში, და მიდი და უთხარი „გამარჯობა“.“

მამულიშვილური ნაღველითაა წარმოთქმული - „ცბიერი მოყვრები საზოგადო მუშები გვგონია. თაღლითი მარგალიტობას ვერ შეძლებს“. აკაკის გულს უმღვრევენ „ისინი, რომელთაც „სული“, „გული“ და „ფული“ ერთმანეთზე გადაუბამთ“.

უზნეობამოძალებულ გარემოში ერთი და იგივე ნიშნები იკითხება! იგი წერს, რომ გამრავლდა „პურ-მარილის კაცობა და ამისთანები“, რომ „მართალი ახლანდელ დაცემულ დროში პირდაპირ კარებამდეც ვეღარ მიდის...“

გაგრძელება მე-8 გვ.

დასაწყისი გვ. 7

თვითონაც კარგად იცის, რა გზაზედაც დგას, რადგან სოლომონ მდივნის სიტყვებს იშვიელიებს - „ქვეყნის მოსამსახურედ სარბიელზე გამოსვლა და თავის თავის ევქსორიად მიცემა ერთი და იგივეაო“. მართლაცდა, ჩვენში საზოგადო სამსახური თავის გაწირვაა“, - დასძენს თავადაც. სხვანაირად ვერ იცხოვრებს, რადგან კარგად უწყის, რომ ერისშვილობა და ღვთისშვილობა ასეთია. აკი დიდებულადაც წერს ამაზე - „პატარა კაცები ანუ კაცუნები კუჭითა გრძნობენ და მთელი ქვეყანა მსხვერპლადაც რომ შეინირონ, არ ენაღვლებათ. ნამდვილი ჭკვიანების გრძნობა უფრო მაღალი სულის მოთხოვნილებაა. თუ სხვებს მშიერსა ხედავენ, მაშინ ყოველი ლუკმა მათ პირში შხამად ჩადის. ისინი სხვებზე უფრო მეტსა ფიქრობენ, ვიდრე თავის თავზე“.

ვაი, რომ დღესაც საძებნია ის ერისკაცები, რომელთაც ქვეყნისა და ღვთის მუშაკად ყოფნა ურჩევნიათ უღმერთო ცხოვრებას, ადამიანურ სიმდაბლეს. დღესაც მრავლადაა „მოძმის ხელის შემშლელი“. სამწუხარო სიმართლეა, რომ „კეთილი საზოგადოდ ყველგან მიჩოჩავს ნელ-ნელა და ბოროტი კი მიკუნტრუშებს“. ასე იყო მაშინაც და ასეა ახლაც! მის გულისყურს ადამიანის სულის არც ერთი მოძრობა არ გამორჩენია. იქნებ სიკეთეს, მართლაც, ყოველთვის ცოტა მუშტარი ჰყავს, უკეთური დრო კი თავისთავად ემტერება! ეს მოვლენაც ხშირია - „მედიდური გაუკითხაობა მისი, ვისაც ჩვენ ვეჭირვებით. ვეჭირვებით და მონური სულმდაბლობა და მლიქვნელობა იმის წინ, ვინც ჩვენ გვეჭირვება - ცხოვრების კანონია მოქალაქობისა“.

ზნეობრივი გზა ყოველთვის პიროვნულ ტანჯვაზე გადის, თუმცა მისი სიბრძნისა არ იყოს - „ვის უნახავს ცრუ წმინდანთა თანა - შესარაცხი?“

გარემოება ხომ მაინც გენიოსებისაა! „დეე, სხვების მცნება ჯერ ფული იყოს და მერე გული. მე კი ამ ცნებას ვერ ვუღალატებ - ჯერ გული და მერე ფული“ - ამით ყველაფერია ნათქვამი, ბედკრულობაც აღარ გვიკვირს მისი, მაგრამ ამ გულმოკლულობაშივეა გადარჩენის ძალა! „ნიჭი მარტივად გამოდის ასპარეზზე, თავისთავად, გარეშე დაუხმარებლად და უნიჭობა კი ფერუმარილთა და ძღვენით“. ყოველი დრო მაინც ნიჭსა სცნობს და არა უნიჭობას, სულ რომ წყალამღვრეულიც იყოს ეპოქა!

ბევრია აკაკისთანა უღალატო მარტოკაცები! მისი რჩევით ღირს იცხოვრო, აწონ-დაწონო, არც ესაა ყურადღებას მოკლებული - „ქართველებმა კომერცია არ იციან - მოცალეობა არასოდეს არა ჰქონიათ, რომ ფარ-ხმალი გაეგდოთ და სასწორ-საზომი აეღოთ. ეს ხელობა მინდობილი ჰქონდათ იმათ, ვინც ომში არ გამოდგებოდნენ - სომხებსა და ურიებს“. რა თქმა უნდა, ეს საქმე მას სულისთვის სასარგებლოდ არ მიაჩნია. იცის, რომ „ბედ-უკუღმართ ვარსკვლავზეა ქართველი დაბადებული. ერთ ჭირს რომ თავიდან მოიშორებს, მეორე გამოუხტება... რაც ერთგან შეიძლება სასარგებლო იყოს, მეორეგან არ გამოდგეს და უსარგებლო შეიქმნას“. წამხედურობით ცხოვრებას მართლაცდა არაფერი კარგი მოუტანია ჯერაც.

სულ ბოლო ციტატა კი აკაკის წერილიდან გვსურს პირდაპირრ მოწოდებად მივიჩნიოთ - „ვორონცოვის დროს, დირექტორმა კოცებუმ შენიშნა, რომ ქართველ ყმაწვილებში ზოგი დიდ - ნიჭს იჩენდა და ზოგი სულ უნიჭობას. საშუალოს ვერსად ხედავდა. აი, რა გამოდგა. ის, ვინც დედა-ენით იწყებდა, ქართულით გაეტეხა თვალი და გაეხსნა გულისყური, გაუჭირვებლად ფლობდა უცხო ენებსაც. ვინც პირდაპირ იწყებდა უცხო ენას, გულისყურსაც კარგავდა... აღარც ენა ემარჯვებათ და არც გამოთქმა უვარგათ. უცხო ენას იმხელა ყურადღებას აქცევენ, თითქოს ჭკუა ენაში იყოს და არა თავში“. ინგლისურის მოძალებისას, ლამის რომ წალეკოს ქართული, იქნებ უფროსებმა მაინც გაითვალისწინონ ეს მოსაზრება, რომ არ დამახინჯდეს აზროვნება.

ცხადია, ამ წერილების კითხვას ნაღველი უფრო მოაქვს, ვიდრე სიტკბო-სიამოვნება, მაგრამ ეს სევდა მამულიშვილური, გულწრფელი, ამაღლებული. ღვთივგანბრძნობელობა იმიტომაცაა კარგი, რომ ყოველ დროს მკურნალობს, ყველა სატკივარს დროულად შველის! ერთ-ერთი საიმედო ფრაზა დასასრულისთვის შემოვინახეთ - „დღევანდელ მამულიშვილებს, მართალია ტანზე არ აჩნიათ ჭრილობა, მაგრამ მათ გულში თუ ჩაიხედავთ, ბევრს ნახავთ!“ ღმერთმა ამრავლოს ასეთი ღვთაებრივი მისიის შემცნობი სუფთა გულები, მტვირთველი ადამიანობისა!

ცხოვრებაში კვლავაც ბევრია გადასატან-გადატანილი და სჯობს წინაპართა გამოცდილებით გავუყვეთ გზას, რომელიც არც ჩვენით დაწყებულა და არც ჩვენით დამთავრდება, ის მოგვცა უფალმა და უფალთან უნდა მივიდეს! სიბრძნის კაცებს ვერასდროს გადაწონიან ცოდვის კაცები. ჩვენ კი მრავლაგზის გულმხურველედ ვეტყვით დიდ აკაკის - გამარჯობა! გულმოკლულობით გადარჩენილო წინამორბედო!

ცბური დრო, ანგარებისა და ეგოიზმის სული დღესაც მძვინვარებს და ღმერთმა ნუ ქნას, რომ სულ დაგვავიწყდეს ადამიანის ზეციური ბუნება და მართალ წინაპართა სამძიმო გზა. უკეთურთაგან განმარტოებულთ კი აკაკის დიდ ზნეობრივ მაგალითს შევახსენებ და კიდევ ერთ სიბრძნეს - „მატერიალური სამყაროს ჭიანჭველას შეუძლია იქცეს ბუმბერაზად მორალურ სამყაროში“ (ჰიუგო). ნუ გვეშინია არ ქონების, ცუდად ქონების გვეშინოდეს, უსამართლობით მოხვეჭისა!

აკაკის მსგავსად კრიტიკულნი ვიყოთ უზნეო დროისა და დაველოდოთ უკეთეს მერმისს!

ლალი გარძიმაშვილი
ფილოლოგ-მკვლევარი

„სამშენებლო ბიზნესი საქართველოში მონოპოლიურია“

(ინტერვიუ ახალგაზრდა ბიზნესმენ *ავთანდილ ჩხეიძესთან*)

- ბატონო ავთანდილ, თქვენ ეწევით სამშენებლო ბიზნესს, პირველად როდის დაიწყეთ ბიზნესსაქმიანობა საქართველოში და რითი იყო იგი მოტივირებული?

საქართველოში ბიზნესში მე თექვსმეტი წლის ასაკიდან ვარ ჩართული, თუმცა თავდაპირველად ეს არ იყო საამშენებლო ბიზნესი, 1998 წლის თებერვალში მე წავედი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც დღემდე ვცხოვრობ., დავამთავრე უნივერსიტეტი და 2004 წლიდან ვეწევი საამშენებლო ბიზნესს და დაკავშირებული ვარ კერძო საკუთრებასთან. პარალელურად თბილისში სამშენებლო ბიზნესი დავიწყე და ჯერ პროექტირების სტადიაზე ვიმყოფები. სპეციალობით ბანკირი ვარ და სამი წელი ვმუშაობდი კიდეც საბანკო სისტემაში, მაგრამ შემდგომ გავაფართოვე ჩემი საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით და ასე ვმოღვაწეობ ამერიკაშიც და საქართველოშიც.

- თუ არიან თქვენს კომპანიაში ქართველები დასაქმებული, მოგეხსენებათ, ქართველებს ამერიკაში ძალზე უჭირთ სამსახურის შოვნა.

დიახ ჩემს კომპანიაში ქართველებიც მყავს დასაქმებული. ჩემი სამშენებლო კომპანია, რომლის სახელწოდებაა „პრაიმ დეველოპმენტი“, ნიუ-იორკში დავაფუძნე 2004 წელს, რომელიც საქართველოში გადმოვიტანე 2007 წელს. ამჟამად ვახდენთ დიდი სავაჭრო ცენტრის პროექტირებას, რომლის აშენებას ვაპირებთ გლდანში.

- თქვენ უკვე მიღებული გაქვთ ორმაგი მოქალაქეობა? საქართველოს კანონმდებლობასთან რამდენად შეთავსებადია თქვენი საქმიანობა, რაიმე დაბრკოლება ხომ არ გექმნებათ ამ მხრივ?

- მე ამერიკის მოქალაქე ვარ 2008 წლიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტომატურად კარგავ იმ ქვეყნის მოქალაქეობას, რომლის წარმომადგენელიც იყავი, მაგრამ ამავე დროს შეგიძლია შეიტანო განცხადება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში და მოითხოვო ორმაგი მოქალაქეობა. მეც სწორედ ასე მოვიქეცი. იმედი მაქვს, რომ მივიღებ.

- თქვენ როგორ ფიქრობთ, საქართველოში ბიზნესი და განსაკუთრებით საამშენებლო ბიზნესი კონკურენტულია, თუ მონოპოლიური და რამდენად პერსპექტიულია იგი ამ მხრივ?

ჯერჯერობით ამ მხრივ მთლად სახარბიელო ვითარება არ არის, ანუ ჯერჯერობით სამშენებლო ბიზნესი საქართველოში მონოპოლიურია, მაგრამ ჩნდება საფუძვლები, რომ იგი კონკურენტული და თავისუფალი გახდეს, რაც დაინტერესების მოტივაციას ზრდის. ამ პრობლემის მოგვარებას კანონმდებლობამაც უნდა შეუწყოს ხელი და ბაზარზე მომუშავე კომპანიებმაც, რო-

გორც ადგილობრივმა, ასევე უცხოურმაც.

- რამდენად აზარალებს გლობალური ეკონომიკური კრიზისი საქართველოში ბიზნესის განვითარებას, რამდენად შეგეხოთ იგი თქვენც?

- იცით, ვერ ვიტყვი, რომ იგი ძლიერ დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცა საქართველოში, თუმცა მისი რყევები ჩვენც ვიგრძენით, მაგალითად, საცხოვრებელი ბინების რეალიზაცია ძალზე შეფერხებულია ამ მიზეზით, რის გამოც ამ პროექტის წარმოება ჩვენ შევაჩერეთ. ახლა ვმუშაობთ პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავს, როგორც ხალხის პირობების, ასევე ინფრასტრუქტურის განვითარებასაც. ეს არის გლდანში, მეტრო ახმეტელთან დიდი სავაჭრო ცენტრის მშენებლობა, რაზეც დასაქმდება ასობით ადამიანი, როგორც მშენებლობის პროცესში, ასევე აშენებულშიც.

- ინფრასტრუქტურის განვითარებაში რას გულისხმობთ, რაიმე ნოვაცია გაქვთ?

- დიახ, შეიძლება ასე ითქვას. ეს სავაჭრო ცენტრი იქნება ინვალიდებისათვის ყველაზე ადვილად გადასაადგილებელი. კერძოდ, სავაჭრო ცენტრის პირველ სართულზე განლაგებული იქნება ელექტროსავარძლები, რითაც ინვალიდს შეეძლება ყველა სართულზე დამოუკიდებლად გადაადგილება და ტუალეტითაც სარგებლობა. ყველა დონეზე სრულფასოვანი და დაცული იქნება მათი მიმოსვლა.

- კეთილშობილური ნოვაციაა...

- საქართველოში ეს მართლაც ნოვაციაა, თუმცა, სხვა განვითარებულ ქვეყნებში ამგვარი მომსახურება უცხო არ არის. მე ოცი წლის ასაკისა ამერიკაში გავხდი, იქ ბევრი სიკეთე ვნახე ადამიანების მომსახურების მხრივ, რაც მძიმე დისონანსს ქმნიდა ჩემს ქვეყანასთან და მიჩნდებოდა სურვილი ჩემს ქვეყანაშიც განვითარებულიყო ტექნიკური პროგრესი, რითაც მეტად დავეხმარებოდი ჩემს ხალხს. მაქვს ასეთი გეგმაც, რომ თუ რომელიმე ინვალიდს არა აქვს საკუთარი ეტლი, უფასოდ მოვიყვანოთ იგი სავაჭრო ცენტრში და მივცეთ თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა. როგორც საზოგადოების სრულუფლებიან წევრს. უნდა დავეხმაროთ მათ, მოვუხსნათ არასრულფასოვნების კომპლექსი. ეტლით სარგებლობა ყველა ინვალიდისათვის, ნებისმიერ დონეზე ჩვენთან უფასო იქნება. ეს, რა თქმა უნდა, გაზრდის ჩვენს ხარჯებს, მაგრამ ეს იქნება ჩემი ნებაყოფლობითი საქველმოქმედო პროექტი. თუ ჩვენ ევროპასთან გვინდა დაახლოება, ყველა დონითაც უნდა გავუთანაბრდეთ მას და ამაში თითოეულმა ადამიანმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა, განსაკუთრებით ბიზნესით დაკავებულმა ადამიანებმა, რომლებსაც ამის ყველაზე მეტი ფინანსური შესაძლებლობა აქვთ. ეს არის პატრიოტიზმი - შენი ქვეყნისა და ერის სიყვარული., მიმაჩნია, რომ ამ თვითშეგნებით უნდა ცხოვრობდე და მოღვაწეობდე.

ვიმედოვნებ, რომ სხვა დეველოპერების მხრიდანაც წამოვა სურვილი ანალოგიური პროექტების განხორციელებისა. ასეთი პროექტები თბილისში ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში არსებობს, მაგრამ უნდა არსებობდეს კომერციული დანიშნულებისა თუ საოფისე შენობებშიც.

- ბატონო ავთანდილ, თქვენ, ძირითადად რამდენსართულიან მშენებლობებს გეგმავთ საქართველოში. აშშ-ი და იგივე ევროპაში ცათამბრჯენი შენობებია, რომელთაც ჩვენ ვერ გავეჯიბრებით მრავალი მოსაზრებებისა და თუნდაც სპეციფიური გეოგრაფიული მდებარეობისა გამო...

- ჩვენ, ამ ეტაპზე, როგორც მოგახ-

გაგრძელება მე-9 გვ.

დასაწყისი გვ. 8

სენეთ ბინათმშენებლობა შევაჩერეთ ფინანსური კრიზისის დაძლევამდე. ჩვენ სავაჭრო ცენტრის აშენება დაგეგმილი გვაქვს 7 დონის, 2 - მიწის ქვემოთ და 5 - მიწის ზევით, რაც სტანდარტულია ასეთი დანიშნულების შენობისათვის. ხოლო როცა ვმუშაობდით საცხოვრებელ სახლებზე, ზომიერება დაცული იყო, როგორც ისტორიულ ასევე ჩვეულებრივ ზონებში, ასევე გათვალისწინებული გვქონდა გამწვანების ტიპიც.

- რა ტიპის სავაჭრო ცენტრი იქნება გლდანში, ავტომანქანების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, თუ შერეული?

- შერეული, სადაც განლაგებული იქნება ბანკები, აფთიაქები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, და სხვა. იქნება კვების ობიექტები, ევროპაში, როგორც ეძახიან „ფუტ-გორთი“, რომელნიც თავისი კაფე-რესტორნებით ერთ სართულზე იქნება თავმოყრილი. ადამიანებს ექნებათ ფართო არჩევანისა და მცირედი დასვენების საშუალება. უზრუნველყოფილი იქნებიან სამი ტიპის მიმოქცევებით: კიბეებით, ესკალატორებითა და ლიფტებით.

- ახლა მოდაშია შემინული შენობები, რაც, მართალი გითხრათ, პირადად მე დიდად არ აღმაფრთოვანებს. თქვენი სავაჭრო ცენტრიც შემინული იქნება, თუ რაიმე განსაკუთრებული პროექტი გაქვთ?

- პირველი მოთხოვნა, რასაც მე მშენებლებს ვუყენებ ის არის, რომ პროექტი არქიტექტურულად იყოს შეხამებული და გამართლებული გარემოსთან, ანუ კარგად ჯდებოდეს საერთო ანსამბლში. შეიძლება იმ კონკრეტულ ადგილს არ მოუხდეს შემინვა და შიგ განთავსებულ პროდუქციაზეც უარყოფითად იმოქმედოს მინიდან შემომავალმა მზემ. ამერიკაში სავაჭრო ცენტრები, ამ საზიანო ფაქტორების გათვალისწინებით, თითქმის არ შენდება შემინული, არამედ, ძირითადად ყრუ კედლებით, სადაც რეკლამებია განთავსებული, რაც ასევე ეხმარება კლიენტებს სასურველი პროდუქციის მარტივად მიგნებაში.

- ახლა, მთავარ პრობლემაზე ვისაუბროთ... უკანასკნელ წლებში საქართველოს დიდ ქალაქებში და თბილისშიც შენდება რთული კონსტრუქციის მრავალსართულიანი შემინული შენობები, რამაც სრულიად შთანთქა არქიტექტურა, ჩუქრთმა, რაც ხელოვნებისა და კულტურის უნატიფეს და უმშვენიერეს ნიმუშებს წარმოადგენდა და რითაც ასე ვიწონებდით თავს. უფრო მეტიც. აი, მე ძველ თბილისში ვცხოვრობ და იმდენად მიყვარს ძველი თბილისის უბნები და თვით ქოხმახის ტიპის შენობაც, რადგან იგი მამა-პაპური აგურითა და ქვითაა ნაგები, რომ სიამოვნებით მოვკვდები ამ ძველ აგურზე ლოყამიდებული. ვერასოდეს ვიცხოვრებ ბეტონის კედლებში. შეხედეთ ჩემს საცხოვრისს, აქ ერთი ოთახია, მაგრამ იმდენი დამატებითი ფართი სივრცეა, რომ სრულ თავისუფლებას მანიჭებს. მიმაჩნია, რომ დღევანდელი მშენებლების მხრიდან ისტორიული და კულტურული არქიტექტურის, ჩუქურთმის სრული უარყოფა და უარის თქმა, რბილად რომ ვთქვა მართებული არ არის.

- სრულიად გეთანხმებით, აუცილებლად უნდა იყოს დაცული ეს მიდგომები ისტორიულ ზონებში მაინც. და ეს აუცილებლად უნდა კონტროლდებოდეს მთავრობის მიერ, ყოველი ახალი პროექტი ჩასმული უნდა იყოს ვალდებულების ჩარჩოებში.

PRIME WORLD WIDE DEVELOPERS LLC

მესმის, რომ არის რამდენიმე შენობა, რომელიც არ ჯდება ისტორიულ კონტექსტში, მაგრამ კოეფიციენტები უნდა იყოს განსხვავებული და მკაცრად დაცულიც, რათა შევინარჩუნოთ ისტორიული იერ-სახე და კოლორიტი. გპირდებით, რომ თუ მე, ოდესმე, ძველი თბილისის ახალ მშენებლობაში მივიღებ მონაწილეობას, მისი ისტორიული კულტურისა და იერ-სახის საკითხი ჩემთვის იქნება პრიორიტეტული.

- ასეთივე არანაკლები მნიშვნელობის პრობლემაა ძველი თბილისის, ასე ვთქვათ, ქუჩაბანდები. მე ძველ თბილისზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ესაა ისტორიულ-კულტურული სახე საქართველოსი. გარდა შენობებისა, ამავე კომპლექსში უნდა განვიხილოთ ქუჩების მოასფალტებისა თუ ფილაქნებით მოპირკეთების პრობლემა, რაც ასევე ტრადიციულია და დამახასიათებელია თბილისისათვის? ასფალტი და ქვაფენილი ისევე ცოცხალი სიმბოლოა ძველი თბილისისა, როგორც საცხოვრებელი სახლები, რამეთუ ამ უძველესმა ასფალტმა და განსაკუთრებით ქვაფენილებმა შემოინახეს ჩვენი დიდი წინაპრების აურა და როცა მას ულმობლად ყრიან და ცვლიან, ასე მგონია მათ ნაკვალევს შლიან. მესმის, რომ ყველაფერი დრო-ჟამის ხანგრძლივ მსვლელობაში ძველდება, ინგრევა, კვდება და მას განახლება სჭირდება, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ისტორიული სახის შენარჩუნება ასფალტსა და ქვაფენილსაც სჭირდება, ძველი სრულად არ უნდა გადაიყაროს, არამედ გარკვეულ მონაკვეთებში უნდა შემორჩეს - ჩაშენდეს. ნატიფი ჩუქურთმით მიქარგულ-მოქარგული შენობების ნაცვლად შემინულ შენობებს ვერავინ შემაყვარებს. შენობებიც და ქვაფენილებიც ისეთივე კუთვნილებაა ერის როგორც ყველაფერი და მისი დანგრევა და წართმევა მტკივნეულ ემოციებს იწვევს ადამიანში...

- გეთანხმებით, ამაშიც გეთანხმებით, აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს, თუმცა ჩემი ბიზნეს-ანალიზით ქვაფენილების დაგებას მეტი ფინანსები სჭირდება, ვიდრე ასფალტს, მაგრამ ეს ის პრიორიტეტული საკითხია, რომლისთვისაც ფინანსები არ უნდა დავზოგოთ. ხოლო ასფალტი, რაც შეიძლება მაღალი ტექნოლოგიისა და რაც შეიძლება მყარი უნდა დავაგოთ, რომ ძალიან დიდხანს გაძლოს და საჭირო არ გახდეს მისი ხშირი განახლება.

- რას უსურვებდით საქართველოს, თქვენ საქმიანად მოძრაობთ საქართველოდან ამერიკაში და ამერიკიდან საქართველოში. თვალშისაცემია დიდი კონტრასტი სოციალურ-ეკონომიკური დონის...

- მე, პირველ რიგში, ქართველი ვარ და დღეს აქ არ ვიქნებოდი, რომ საქართველოსთვის გული არ შემტკიოდეს. მე ჯერ 32 წლისა ვარ და ვფიქრობ ბევრი სიკეთის გაკეთებას მოვასწრებ საქართველოსთვის. საქართველოს დახმარების სურვილით ვსუნთქავ ყოველდღე. ქართველ ერს ვუსურვებდი გამძლეობას და უფრო მეტ შრომას, ცოდნისადმი მეტ ლტოლვას, რათა თვითარსებობა შეძლონ.

გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის.

ესაუბრა
ირმა ფირცხალავა

დამზადებულია კგბ-ში ანუ რუსი „ექსპერტის“ მორიგი სიცრუე

ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დღესაც არიან რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის სიმბოლოები. ამას ადასტურებს ბევრი ფაქტი, რომელთაგან ერთ-ერთის გამოყოფა ფრიად საინტერესოა.

რუსი ფსევდო-ექსპერტების ლეგიონში საყურადღებო სუბიექტია სერგეი მარკედონოვი - პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის ეროვნებათაშორის ურთიერთობების განყოფილების გამგე. იგი ერთი ჩვეულებრივი პროფანია, რომელმაც „ქერის ორმო“ მონახა კრემლის კაბინეტებთან დაახლოებულ ერზაც-ინსტიტუტში და ცდილობს რუსული დესპოტიის XXI საუკუნისეულ მონსტრს - სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ალიანსს საკუთარი სამსახური დაანახოს. აგვისტოს ომის ტალღაზე არა ერთმა მისნაირმა ფილისტერმა სცადა კარიერული წინსვლა, მაგრამ, ამ სუბიექტმა, თავის სიმდაბლეში და ქვემძრომობაში ნამდვილად ყველა რუს „ექსპერტს“ აჯობა. 2008 წლის 29.VIII-4.IX. ჟურნალ „Эхо планеты“-ში ამ ვაჟბატონმა ეს უკვე მერამდენედ გაიმეორა ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ტყუილი, კერძოდ, მან აღნიშნა: „Я тут сравнивал ситуации 1968 и 2008 годов, оценивая диссидентские движения в Чехословакии и Грузии и выяснил, что там лозунг „Грузия - для грузин“ был еще в 70-е годы! И когда я узнаю, что в конце 70-ых группа американских конгрессменов хотела номинировать на Нобелевскую премию Звиада Гамсахурдия и Мераба Коставу, мне становится просто смешно! Это ведь те самые люди, которые еще тогда предлагали совершенно расистские методы“.

ამ მოკლე ნაწყვეტში ყოველი წინადადება სიცრუეა. ყველა, ვინც კი იცნობს 70-იან წლებში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას არალეგალურ გამოცემებს: „საქართველოს მოამბეს“, „ოქროს საწმისს“ და სხვა მასალებს, რა თქმა უნდა, ვერსად ნახავს 1823 წელს ჩრდილო ამერიკელი პოლიტიკოსის მონროს დოქტრინის – „ამერიკა - ამერიკელთათვის“ – ქართულ პერეფრაზირებას. მაგრამ ფრიად საინტერესოა, თუ არალეგალურ გამოცემებში არ წაუკითხავს, მაშინ რომელი „წყაროდან“ მიიღო ამ ძალზე არასაპატივცემულო „გვამმა“ ცნობა და „მტკიცებულება“ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას „რასისტობაზე“. საბჭოთა КГБ-დან, თუ მისი სამართალმემკვიდრე რუსული ФСБ-დან. ის რომ დღესაც, არა მხოლოდ რუსი, შარახვეტია ცდილობს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დისკრედიტაციის გზით გაიკეთოს კარიერა, აუცილებელს ხდის დავაზუსტოთ თუ საიდან წამოვიდა ცილისწამების ეს ნაკადი და ვინ არის „პირველწყარო“. საკითხის შესწავლამ დაადასტურა, რომ 70-იან წლებში არსად არ მოიპოვება რაიმე, პირდაპირი ან ირიბი ფაქტი იმისა, რომ ქართველი დისიდენტები რასისტულ პროპაგანდას ეწეოდნენ. მაგრამ ამგვარი სიყალბის შეთითხვნის გადაუდებელი აუცილებლობა კრემლისათვის დღის წესრიგში დადგა 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ. ავტორი ამ სიცრუისა არის იგორ როდიონოვი, დიახ, ზუსტად ის ავადსახსენებელი როდიონოვი. გენერალ-პოლკოვნიკი, წითელდროშოვანი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, ვინც სამუდამოდ შეირცხვინა სახელი და ღირსება 1989 წლის 9 აპრილს. ეს ვაჟბატონი თავის ავკაცობის ჩადენის შემდეგ, როგორც უკანასკნელი ლაჩარი ყოველმხრივ ცდილობდა თავი აერიდებინა სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. როდესაც სულგანათლებულმა, დიდმა ქართველმა ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ ირაკლი გოცირიძემ დაიწყო 9 აპრილს ჩადენილი დანაშაულის ჟურნალისტური გამოძიება. გენერალ-ლაჩარმა თავი დისკომფორტში იგრძნო. მას განსაკუთრებით არ მოეწონა ბატონ ირაკლი გოცირიძის ინტერვიუ გაზეთ „Молодежь Грузии“-სადმი, სადაც მან დაიწყო როდიონოვის ბოროტმოქმედების მხილება. დამფრთხალმა სარდალმა სასწრაფოდ გამოაცხო თავისსამართლებელი წერილი და მოსთხოვა გაზეთ „Молодежь Грузии“-ს რედაქციას მისი დაბეჭდვა. ეს ვითომცდა პასუხი, არათუ პასუხი არაა, ესაა პირდაპირი სიყალბე და გაღმა შედავება, რომ გამოღმა შერჩეს. საინტერესო ისაა, რომ ლოზუნგი „საქართველო მხოლოდ ქართველებისათვის“, პირველად როდიონოვის წერილშია მოხმობილი. აი, რას წერს 9 აპრილის დანაშაულის ერთ-ერთი შემსრულებელი თავის ოპერაში: „Так, на митинге у дома кино в столице Грузии 10 июля „лидеры нации“ Церетели, Гамсахурдия, Костава и другие призывали: „Долой гнилую Российскую империю!“ „Отправить памятник Ленину вслед за памятником Орджоникидзе!“ „Грузия для грузин!“ „Грузинам должны быть предоставлены все привилегии!“ „Создать свою национальную армию, без которой невозможна независимость“.

Там же на агглийском и грузинском языках „красовалис“ лозунги: „Долой Советскую власть в Грузии!“ „Свободу политзаключенным!“ „Оккупанты, убирайтесь из Грузии!“.

როდესაც დღეს სერგეი მარკედონოვის მსგავსი კაცუნები ცდილობენ ჩირქი მოსცხონ იმ ადამიანებს ვისმა ღვაწლმაც ლომის წილი შეიტანა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპების გავრცელებაში არა მხოლოდ საქართველოში, არ შეიძლება ამ დანაშაულს სათანადო პასუხი არ გაეცეს. КГБ-სა და ФСБ-ში ნათითხნი სიცრუე მხილებული და გაცამტვერებული უნდა იქნეს, ეს აუცილებელია.

9 აპრილს მომხდარი ბოროტმოქმედება ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ ძალადობის გაბატონებას. როდესაც ამ დანაშაულის შემსრულებლებს მოეჩვენათ, რომ ჩადენილ ქმედებებზე შეიძლება პასუხი ეგოთ, მათ ყველაფერი გააკეთეს სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავის დასაძვრენად. ამ მიზნით ლაჩარმა გენერალმა თავის ოპუსში ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე „წერეთელს, გამსახურდიას, კოსტავასა და სხვებს“ დააბრალა მისი მოკლე ჭკუით ფრიად დიდი „დანაშაული“-მოწოდება „საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის“. ეს ვაი-სარდალი წერს: „И у кое кого поварачивается язык утверждать, что митинги носят мирный характер! Ведь призыв к свержению советской власти не что иное, как призыв к оружию, Иначе власть невозможно захватить“. აი, რა ნესტარით იყო ნაკბენი ეს სამარცხვინო „ოფიცერი“, 9 აპრილი და მშვიდობიანი მიტინგის დარბევა, აი. ეს „ჭია“ უღრღნიდა მას გულსა და ტვინს, თუმც სად ჰქონდა ამ ბეჩავს ტვინი, როდესაც ამბობდა რომ უიარაღოდ, აჯანყების გარეშე ხელისუფლებაში მოსვლა, როგორ იქნებაო? თუ როგორ შეიძლებოდა ეს ნათლად აჩვენა ზვიად გამსახურდიამ 1990 წლის 28 ოქტომბერს. დღეს ვისთვისაც ძვირფასია ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დიდი ეროვნული ღვაწლი, არ უნდა გავჩუმდეთ, არამედ უნდა დავიცვათ მათი სახელები და მამულიშვილური მემკვიდრეობა.

დავით არაბიძე

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ზამთრის არდადეგები

ლეილა ქეცაშვილი

ჩემი მარშრუტი ასეთია: ოთხკედელშუა ერთი ფანჯრიდან მეორემდე, ჩრდილოეთიდან, (რომელიც არ ჩანს, რადგან კორპუსი ეფარება), სამხრეთისაკენ, არც აქეთა ჩანს არაფერი, დომინოსავით ერთმანეთს მიყუდებული კორპუსები აწოწილან და გაწოლილან; აღმოსავლეთი - ნაწილობრივ; დასავლეთი - შედარებით უკეთ, ოღონდ გვერდულად - კორპუსებს შორის დარჩენილი დერეფნიდან, ქარიც ამიტომ კარგად უბერავს; იქით მთებია, ხან - ღრუბლიანი, ხან - მოწმენდილი; ღრუბლიანი მომწონს საღამოს ხანად, როცა მზე ჩადის, რადგან ჩასვლისას მრუმე ღრუბელსაც უწითლებს ლოყებს. იქ, დასავლეთით მოჩანს დიღმიც, მუხათგვერდიც, ხანდახან - კვამლი, ვისი სული გაფრინდა ზეცას, ვის უფრო უჭირს, ჩვენ, თუ იქ მყოფებს?

ეს ზამთარი კი ასეთი იყო: ყინვა, ქარები, უსინათლობა, რაღა თქმა უნდა, უფულობა... და მაინც, როცა მზე ჩადიოდა, არ ვიზარებდი, ავეკვრებოდი ფანჯრის მინას და გავცქეროდი, ალანძული ღრუბლები როგორ იცვლიდნენ ფერსა და ფორმას.

ცა მაინცა ჩანს ჩემი ფანჯრიდან, საწოლიც ისე დავდგი, როცა ვწევარ, ცას გავყურებ, გაკვირდები, ცხვრის ფარასავით როგორ მისდევს ღრუბელი ღრუბელს, ხან ერთდებიან, ხან იშლებიან; მთვარის დაცხრომის შემდეგ ისე გაფერმკრთალდება ხოლმე, ვარსკვლავიც არ ჩანს, ახალმთვარეობაზე კი ცაც უფრო ჩამუდება და ვარსკვლავებიც ისე ჟიკჟიკებენ, თვალს ვერ მოსწყვეტ; მერე ერთი ვარსკვლავი მონდომებით იწყებს ციმციმს, თითქოს ყურადღების მიქცევა სურს, თვალს გიკრავს, „ციმციმებს, ქრება, ციმციმებს“... უყურებ, უყურებ, ერთი თვალის დახამხამება და ფანჯრის ჩარჩოს არ მიფარებია?!

ეს ღამით, მაგრამ დღისითაც ხომ დათარეშობს ჩემს სახლში ქარი, ამიტომ თბილად ვიცვამ, რამდენიმე წყვილს, ცხვირამდე ქუდი, ცხვირზე სათვალე, ხელებზე ხელთათმანები, სუნთქვისას ორთქლი სახიერად ადასტურებს ოთახის მდგრად ყინვას, საბანსაც ვიფარებ და მერე ხელთათმანიანი ხელით ვცდილობ წიგნის გადაფურცვლას, ხანდახან ნიკაპსაც ვიშველიებ და მერე ერთად ვმოგზაურობთ ცხენშეუბმელი მარხილით მე და გალაკტიონი, მე და ანა, მე და გოგლა და ვიზეპირებ, ვიზეპირებ, ვსწავლობ და ვსწავლობ, მაინც მავიწყდება, ხელახლა ვფურცლავ, „აჰ, ეს რამ დამავიწყა!“ - ვუწყრები თავს და ვზეპირობ, ვზეპირობ. ღამითაც, როცა არ მეძინება, ძილი მიკრთება, ვიმეორებ და ვიმეორებ.

ხანდახან აღარაფრის გაკეთება აღარ მსურს, აღარც კითხვა, ერთი თეფშიც კი შეიძლება რამდენიმე დღე იდოს გაურეცხავი. პროტესტი სისუფთავეს, წესრიგს, თუმცა როდემდე! მერე არეულობა და უწესრიგობა მიშლის ნერვებს, ვალაგებ, ვიღლები და არაქათგამოცლილი უაზროდ ვიყურები ფანჯარაში.

სინათლე მოდის და მიდის, წარამარა ჩართვა-გამორთვა ისე მოქმედებს, აღარც ვიცი, რას ვგრძნობ; ამ დროს თავში რაღაც მაწვება ქვევიდან ზევით, გული მისივდება თუ მეკუმშება, ესეც არ ვიცი, ტკივილს კი ვგრძნობ.

აი, თითქოს აღარ გამოირთვება, ტელევიზორს ვრთავ, იქნებ ცოტა გული გადავაყოლო, სერიალია,

მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი

გიორგი მირზაშვილს

გაუგებრობას წერტილი ესმის.

სინათლე ისევე მოულოდნელად ჩაქრა, როგორც მოვიდა; ვზივარ ბუსავით, არც სანთელი მაქვს, ნავთიც უკვე გამოილია. ამ დროს კაკუნი. სიბნელეში კარზე კაკუნმა ელდა იცის, არ ვიცი, რატომ. შიშისაგან? მაგრამ რისი შემეშინდა, ცუდი ამბის თუ ვინმე მომხდურის?

მომხდურის?

ამასწინათაც, როცა ასე მარტო და ძილგამკრთალი ვებრძოდი ღამეს (ზამთარში ხომ ადრე ღამდება), ვიფიქრე, ნეტავ, ვინ დამიფარავს მე მარტოხელას, მიუსაფარს? ღამით ავსულები დაძრწიან და მათთვის დაკეტილი კარი არაფერს ნიშნავს. თვალი მივლულე, რაღაც ნათელი ჩამეღვარა და ამ ნათელს ნელ-ნელა მოჰყვა ხარების ხატი ქაშუეთის ეკლესიიდან, შროშანით ხელში გაბრიელი რომ ეცხადება მუხლმოყრილ მარიამს.

დიდება უფალს?!

ხელის ცეცებით მივდივარ კართან, ფრთხილად ვკითხულობ: „ვინ არის?“ „სახლმმართველობიდან ვართ!“ კარს ვაღებ, ფანარს მანათებენ და მეუბნებიან: „ბებია, წყლისა და ნაგვის ფულს თუ გადაიხდით!?“ ბებიაო, ელდა მეცა. ვიგრძენი, თვალები ჩემი სათვალის მინებისხელა გამიხდა, უნებურად ზედ დავიხედე, აჰა, აბა, რა იქნებოდა, დედაბერივით ქუდი ცხვირამდე, სათვალეები, ახალგაზრდობისდროინდელი გაქუცული მოკლე ქურქი, წელზე შემოხვეული ბებიას ნაქონი ფოჩებიანი შალი. „უკაცრავად, თქვენი სახელი?“ გაკვირვებული, „თამაზი“, „ჩემო თამაზ, ბებია ნამდვილად არ ვარ (გუნებაში კი ვფიქრობ, წესით კი უნდა ვყოფილიყავი), უბრალოდ მცივა, „ბოდიში“, „და არც ფული მაქვს, მოგეხსენებათ, ხელფასს დროულად არ იძლევიან“, „კარგით, კარგით“. ისევ ხელის ცეცებით ვკეტავ კარს და ხელის ცეცებით შევდივარ ოთახში.

მეც ხომ მინახავს ჩემს ბავშვობაში მეზობლის ხანშიშესული მარტოხელა ქალები ზამთარში ოთახში თავწაკრულები და ჩაცმულები როგორ ისხდნენ, თუმცა ნავთქურა მაინც ენთოთ, ადრე უფრო მკაცრი ზამთარი იცოდა თბილისში! და როგორ მიკვირდა!

არა, რას ვერჩი, რა უმადური ვარ, მე მგონი, ესენი ჩემზე ზრუნავენ, მე კი ვერ ვხვდები, რადგან, როცა მართლა ძალიან მოვხუცდები, თვალსჩინესაც დავკარგავ და ჯოხს დავეყრდნობი, ხომ აღარ გამიჭირდება, ხელის ფათურში ხომ კარგად გავიწაფე!

ჰო, ხელის ცეცებით შევედი ოთახში. მიუხედავად უკუნი სიბნელისა, თვალი რომ შეეჩვევა, აღმოაჩენ, რომ ფანჯარაში რაღაც სხივი მაინც იჭრება, მკაფიოდ ჩანს ყველაფერი.

მაინც რამდენხანს ვიჯდები უკუნეთში და სიცივეში, უნდა დავწვე, ვწვები და არ მეძინება, ათასნაირი ფიქრი მიტრიალებს თავში, ნასწავლი ლექსებიც გავიმეორე, მაინც არ მეძინება.

აღარ მინდა ეს გულისგამაწვრილებელი ფიქრები და პატარა რადიოს არსებობა მახსენდება, ბალიშქვეშ რომ მიდევს. სიცივისაგან ხელი რომ არ გამეყინოს, რადიოს ყურის ძირში მხარზე ჩამოვიდებ ხოლმე და ვუსმენ მუსიკას, ხან - სარახუნოს, ხან - ჩემი ახალგაზრდობისდროინდელს, ზოგს - გარემიქსებულს, როგორც ამბობენ, ზოგჯერ - იმ ძველებს „ატრიალებენ“, ტკბილ მოგონებებს რომ აღძრავს, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ყველაფერი სხვაგვარად მეჩვენებოდა.

თუ ორშაბათია - პრეზიდენტი გისმენთ, ოთხშაბათობით - თეატრალური გადაცემა, ხანდახან - საოპერო მუსიკა, ძალიან მიყვარს ღამის სიბნელეში ჯაზი, განსაკუთრებით, როცა საყვირზე ან საქსოფონზე უკრავენ, პარასკევს - ნაშუაღამევს, ასე დილისკენ - ღამურების გადაფრენა, იყო ასეთიც.

ამ დროს - „ყველაფერი კარგად იქნება, რადიო 2“. ღმერთმა გისმინოს!

რომ მეგონა, გაზაფხული ადრე მოგვიკაკუნებდა კარზე, მარტის თვეში უფრო აცივდა, გადაუღებლად თოვდა. ისეთი ფანტელები ცვიოდა, ბებია რომ იტყოდა ხოლმე ფარო-ფაროაო. ფანტელები ფანჯრის მინებს აწყდებიან, თითქოს ისინიც თავშესაფარსა და სითბოს ეძებენ, ისინიც ისე არიან გათოშილები, ნიავსაც კი ვერ უწევენ წინააღმდეგობას და მას აყოლილნი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს იბრუნებენ პირს.

„ყველაფერი კარგად იქნება, რადიო 2“.

ერთი ამბავი გამახსენდა, ამბავი თუ ზღაპარი. პაპაჩემი მეცხვარე იყო, მისგან თუ მახსოვს. ზამთარში, როცა დიდი თოვლი დაფარავდა თურმე საძოვრებს, ცხვარი ბინებში ჰყავდათ, თუ თივაც საკმარისი არ იყო, მშიერი ცხვარი ეცემოდა, დაწვებოდა და ვეღარ დგებოდა, მთელი ფარა შეიძლება ამოწყვეტილიყო. ამიტომ მწყემსები კატას სვამდნენ გუდაში და კედელზე ჰკიდებდნენ. შეშინებული კატა გუდას ფხოჭნიდა და გამწარებული ჩხაოდა. არანაკლებ შეშინებული და დამფხთხალი ცხვარიც აქეთ-იქით აწყდებოდა და ასე ებრძოდნენ შიმშილს, სიცივეს.

რამდენხანს გასტანს ეს ზამთარი? გაზაფხული აღარ დადგება?

გათოშილი ფიფქები ფანჯრის მინას ეხეთქებიან, შინ შემოღწევას ლამობენ თითქოს.

„ყველაფერი კარგად იქნება, რადიო 2“.

გავაკებულ მდინარეში ნასროლი ქვები

ადამიანის ცხოვრება მდინარეს ჰგავს. სადღაც მთაში იღებს სათავეს. იბადება.

მერე ნელ-ნელა ძალებს იკრებს. ჯერ პატარაა, მაგრამ ჩქარი, დაუდეგარი.

კლდეებს გამოხრავს, ლოდებს მოაგორებს, თუ ავდარია, მოჰქუხს და აზანზარებს არემარეს.

ასეთ მდინარეში ქვებს თუ ჩაყრი, დგაფუნს გაიგონებ, ტალღები კი მათ თავქვე გააქანებენ.

ადამიანიც ადვილად ერევა და გადააგორებს ხოლმე წყენას, სიხარულს, ღალატს, გაწბილებულ სიყვარულს და ათასნაირ საზრუნავს, რომლებიც თავის კვალს მაინც ტოვებენ, მდინარეც ხომ ვერ ახერხებს ყველა ლოდისა თუ ხის მორების მორევას და ჩახერგავენ ხოლმე კალაპოტს.

მერე მდინარე გაივაკებს, მდორედ მიედინება.

გავაკებულ მდინარეს ზამთრის სუსხი ადვილად ერევა, იყინება, ზედ სრიალებენ კიდეც, გზასაც იმოკლებენ, ერთი ნაპირიდან მეორეზე გადადიან.

თუ ვეღარც იმ ადამიანს ამჩნევენ, ვინც აღარ შფოთავს, ჩუმად არის, გაუვაკებია და მდინარესავით იმასღა ელის, სად იქნება დასასრული, რომელ მდინარეს ან ოკეანეს, ზღვას თუ წყალსაცავს შეერთვის და რომელ მათგანში განივთდება.

მაგრამ ვიდრე იქამდე, შესართავამდე მივიდოდეს, მდორედ მდინარი სურვილს იწვევს, მასში ქვები ისროლონ, ზოგი ბრტყელ ქვას ისვრის და წყლის ზედაპირზე გაასრიალებს, რაც უფრო ბევრჯერ ასხლტება წყალზე, მით უფრო მეტად წარმოჩინდება მსროლელის ოსტატობა, მდინარე კი ფონია მხოლოდ, ზოგი კი - უბრალოდ ისვრის, იმიტომ, რომ მოსწონს, როცა ნასროლ ადგილზე რკალი რკალს მისდევს და თანდათან იშლებიან და წრეებს ხაზავენ. რაც უფრო დიდია ქვა, წრეებიც მეტია და დიდ სივრცეს მოიცავს, ხოლო თუ რამდენიმე ქვა ერთიმეორეს მიყოლებით ისროლეს, წრეები ერთმანეთს კვეთენ და მშვენიერი სანახავია.

თუმცა ამ რკალებს ხანდახან ისეთი ნასროლი ქვა ჩაენარცხება, არსაიდან რომ არ ელი, ცელივით ჩაჭრის და ჩასხიპავს. ის ხომ არავის ეკითხება, ის, ცელი რომ უჭირავს, აი, მაშინ არის, რომ ჩაგწყდება გულში სიმები.

სხვაფრივ კი, ისროლეთ ქვები გავაკებულ მდინარეში, ოღონდ არა ქილიკის, არა გულისტკენის, ავისმომასწავლებლად რომ არ შეტორტმანდეს, არამედ ამოძრავდეს, მიტოკ-შეტოკდეს, გახალისდეს და სხვაც ახალისოს.

მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა

ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის შესახებ

2008 წლის 31 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს ლონდონში, ხელოვნების სამეფო აკადემიაში ჩატარდა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა კუნძულ კრეტაზე დოქტორ ლუიჯი პერნიეს მიერ ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავს. ამის შესახებ იუწყებოდა `ნიუ-იორკი ტაიმსი~ (30.07.2008, 7.08.2008).

ხელოვნების სამეფო აკადემიის შენობა მდებარეობს პიკადილიზე, ბერლინგტონის სახლის დიდ შენობაში (მინდა აქვე ვახსენო, რომ ამავე შენობაში გახსნილი იყო დიდი გამოფენა `ბიზანტია 330-1453~, აგრეთვე XX საუკუნის დასაწყისის მხატვრების მიროს, კალდერის, ჯაკომეტისა და ბრაკის გამოფენა).

ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო კონფერენციის მონაწილენი: ნიკოლას რიდი, ედმუნდ მერიჯი, გია კვაშილავა, მარკ მერონი, ჯერომ აიზენბერგი და სხვები. ლონდონის სიძველეების შემსწავლელთა საზოგადოება და დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემია. ფოტო ჯ. საგონის (ძველი ხელოვნებისა და არქეოლოგიის საერთაშორისო ჟურნალი „მინერვა“. www.minervamagazine.com).

კონფერენცია ჩატარდა ძველი ხელოვნებისა და არქეოლოგიის საერთაშორისო ჟურნალ `მინერვა~-ს თაოსნობით. უმაღლესი პოლიგრაფიული დონის ეს ჟურნალი მკითხველს აწვდის ძველი ხელოვნებისა და არქეოლოგიის საკითხების მიმოხილვას. მისი სათავო ოფისებია: დიდ ბრიტანეთში, ლონდონში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ იორკში; ამას გარდა, იგი ვრცელდება მთელს ევროპაში, კანადაში და სხვა ქვეყნებში.

კონფერენციის ჩატარების ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ: ჯერომ აიზენბერგი, ფილოსოფიის დოქტორი, ჟურნალ `მინერვა~-ს დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, ფესტოსის დისკოსადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის თავმჯდომარე; მარკ მერონი, ფილოსოფიის დოქტორი, ჟურნალ `მინერვა~-ს რედაქტორი, კონფერენციის კოორდინატორი; დოქტ. პიტერ კლეიტონი, ხელოვნებათმცოდნე, ჟურნალის კონსულტანტი და რედაქტორი, კონფერენციის კოორდინატორი; ნიკლას რიდი, ხელოვნების მაგისტრი და ფილოსოფიის მაგისტრი. უნდა ითქვას რომ კონფერენცია შესანიშნავად იყო ორგანიზებული: ეს შუა ხნის ადამიანები დაუღალავად მოქმედებდნენ და იღწვოდნენ იმისათვის, რომ კონფერენციის მიმდინარეობა სანიმუშო ყოფილიყო.

კონფერენციაზე მოხსენების წასაკითხად წარმოდგენილი ყოფილა 100-მდე თეზისი, საიდანაც სამოხსენებოდ საორგანიზაციო კომიტეტმა აარჩია სულ 12. მათ შორის ბ-ნ გია კვაშილავას მიერ წარმოდგენილი მოხსენება `ფესტოსის დისკო - კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშის — გაშიფვრა~; ამ მოხსენებით მან სპეციალისტების წრეს გააცნო თავისი 17 წლის მუშაობის შედეგი - მე-20 საუკუნის მეცნიერთათვის ენიგმატური ტექსტის ამოკითხვა პროტო-ქართველურ (კოლხურ) ენაზე.

თავიდანვე ცხადი გახდა, რომ მოხსენება დიდ ინტერესს გამოიწვევდა, რადგან წინასწარი გამოძახილები ძალიან დადებითი და იმედის მომცემი იყო: `მივიღეთ თქვენი ბრწყინვალე თეზისი...~

დოქტ. იოხენ ციგენფუსმა (ავსტრია) მოსწერა გ. კვაშილავას: `დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი კვლევა და აღმოჩენები დრამატულად შეცვლის მრავალ ადრინდელ შეხედულებას ისტორიაზე~;

დოქტ. ჯერომ აიზენბერგი (აშშ): `მოუთმენლად ველოდები თქვენთან და თქვენს კოლეგასთან შეხვედრას კონფერენციაზე; ვგრძნობ რომ მოხსენება ძალიან საინტერესო იქნება~. ჟურნალ `მინერვა~-ში (2008, XIX, #4, 9, 22) ჯ. აიზენბერგის სტატიაში ფესტოსის დისკოს დეშიფრირების მცდელობების არასრულ ჩამონათვალში დასახელებულია გ. კვაშილავას დეშიფრირებაც.

დოქტ. პიტერ კლეიტონი (დიდი ბრტანეთი)-:ღ`თქვენი მოხსენება გამორჩეულად საინტერესო ჩანს, ვფიქრობ, მას დიდი კამათი მოყვება... დოქტ. აიზენბერგი, დოქტ. მერონი და მე მივესალმებით თქვენ მიერ ამ მნიშვნელოვანი კონფერენციის მსვლელობაში შეტანილ წვლილს~.

კონფერენციას ესწრებოდა 60-ზე მეტი მსმენელი, რომელიც უდიდესი ყურადღებით უგდებდა ყურს გამომსვლელებს. ყოველი მოხსენების მერე გამოდიოდნენ მონაწილეები და თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ, მშვიდად და არგუმენტირებულად იცავდნენ თავიანთ პოზიციას.

მომხსენებლები ჩამოსულნი იყვნენ გაერთიანებული სამეფოდან, გერმანიიდან, შეერთებული შტატებიდან, საბერძნეთიდან (კრეტიდან) და საქართველოდან (ბ-ნი გია კვაშილავა და ამ სტრიქონების ავტორი). სამწუხაროდ იტალიიდან, რომიდან ავადმყოფობის გამო კონფერენციაზე ვერ ჩამოვიდა ფილოლოგიის დოქტორი ლუი გოდარი, რომელიც დღეს გერეთ ოუენსთან და ივ დიუოსთან ერთად ითვლება ფესტოსის დისკოს ერთერთYყველაზე ავტორიტეტულ მკვლევარად მსოფლიოში. სწორედ ლუი გოდარის იუბილეს მიეძღვნა ორგანიზატორების მიერ გამართული საზეიმო სადილი. ლუი გოდარის მოხსენება `ფესტოსის დისკო და ეგეოსური ცივილიზაცია~ კონფერენციის გახსნის დროს წაიკითხა მარკ მერონიმ.

კონფერენცია გახსნა და მოხსენება წაიკითხა ჯერომ აიზენბერგმა (ნიუ იორკი, აშშ). უნდა ითქვას, რომ მომხსენებლები მართლაც მკაცრად იყვნენ შერჩეულები. ლუი გოდარის გარდა აქ მოწვეული იყვნენ და ჩამოვიდნენFფესტოსის დისკოს ყველაზე ცნობილი და სახელიანი მკვლევარები: გერეთ ოუენსი (ჰერაკლიონი, კრეტა, საბერძნეთი), ტომ პალაიმა (ოსტინი, ტეხასი, აშშ), დიტერ რუმფელი (დიუსელდორფი, გერმანია), ჯონ კოლმანი (ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი), რიჩარდ სპროუტი (ურბანა, ილინოისი, აშშ), ნიკლას რიდი (ფოკსტოუნი, კენტი, დიდი ბრიტანეთი), აგრეთვე მოხსენებით გამოვიდა პიტერ კლეიტონი (ჰემელ ჰემპსტედი, დიდი ბრიტანეთი).

ამ მეცნიერებმა მრავალი წელი მიუძღვნეს Fფესტოსის დისკოს შესწავლას, მისი შესრულების ტექნიკის ანალიზს, ტექსტის წაკითხვის მიმართულების დადგენას, დათარიღებას, მისი ავთენტურობის გარკვევის საკითხს, მისი პალეოგრაფიული პარალელების ძიებას; ისინი გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს ტექსტის სავარაუდო ენის თაობაზე და სხვა. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები სწორედ ამ საკითხებს ეძღვნებოდა, უაღრესად ზუსტად, ნათლად იყო ჩამოყალიბებული და ამიტომაც უაღრესად საინტერესო იყო. როდესაც ორგანიზატორებს ვუთხარი, რომ კონფერენცია ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა, მიპასუხეს, რომ ეს განაპირობა მოხსენებათა მკაცრმა არჩევამ და შედარებით მცირე რაოდენობამ.

როგორც კონფერენციაზე ისე არაოფიციალურ შეხვედრებზე არაერთგზის იმეორებდნენ ფესტოსის დისკოს პირველი და უაღრესად ნაყოფიერი მკვლევარის სერ ართურ ევანსის, ასევე B ხაზოვანი წარწერების ამომკითხავი მაიკლ ვენტრისისა და ჯონ ჩედვიკის სიტყვებს იმის თაობაზე, რომ დისკოს ენა მათთვის უცნობია და რომ A ხაზოვანი წარწერისა და ფესტოსის დისკოს ტექსტის ენა ერთიდაიგივეა, განსხვავებულია მხოლოდ შრიფტი.

ზოგი მათგანი ამბობდა, რომ შეუძლებელია დისკოს ტექსტის წაკითხვა იმის გამო, რომ ასეთი წარწერის მხოლოდ ეს ერთი ნიმუშია აღმოჩენილი — ვლადიკავკაზში ნაპოვნი ნატეხი, რომელიც დისკოს ნიშნებს იმეორებს, როგორც ჩანს, ყალბად ითვლება.

სერ არტურ ევანსის, ლუიჯი პერნიესა და სხვათა მიერ თავის დროზე გამოთქმული აზრი იმის თაობაზე, რომ დისკოს ტექსტი ჰიმნია, გაზიარებულია ყველა მკვლევარის მიერ. როგორც კონფერენციაზე ითქვა, დისკოს ტექსტი, როგორც ჩანს, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო მისი შემქმნელებისათვის, რადგანაც მათ დიდი ყურადღება დაუთმეს ტექსტის სიზუსტეს ან იქნებ კანონიკურ ხასიათსაც და მისი დამზადების საგანგებო ტექნოლოგიას, რომელიც დისკოს დროის გამანადგურებელი მოქმედებისაგან დაიცავდა (დ. რუმფელი). (`რა არის ისეთი ამ ტექსტში, რაც მის მბეჭდავს სურდა უსათუოდ გადარჩენილიყო ჟამთა სიავეს?~ კითხულობდნენ მკვლევარები).

ცხადია, ბ-ნი გია და მეც ცოტას ვნერვიულობდით, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, თუ რა სახით ჩატარდებოდა მოხსენება, როგორი აღსაქმელი იქნებოდა რთული და გადატვირთული მასალა მსმენელისათვის. რეგლამენტი შეზღუდული იყო და ძალიან მკაცრიც - დიდი თხოვნის შემდეგ სულ სამი-ოთხი წუთი მოგვიმატეს, რაც ოდნავი შეღავათი იყო მხოლოდ. ამიტომ იქაც, ლონდონში ყოფნისას დიდი დრო მოვანდომეთ მოხსენების ტექსტის შემცირებას, ისეთნაირ გამარტივებას, რომ არ დაკარგულიყო მნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც წარმოადგინა გია კვაშილავამ.

სამწუხაროდ ამ შემოკლების გამო ვერ მოხერხდა სრულად ყოფილიყო ნახსენები ის ქართველი მეცნიერები (მრავალი მათგანი აწ გარდაცვლილია), რომლებიც ამდენს იღწვოდნენ და იკვლევდნენ საქართველოს უძველეს ისტორიას (ესენი პირველ რიგში იყვნენ: ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, პავლე ინგოროყვა, სიმონ ყაუხჩიშვილი და თინათინ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ჩიტაია, ვარლამ თოფურია, სიმონ ჯანაშია, აკაკი ურუშაძე, პანტელეიმონ ბერაძე, ოთარ ლორთქიფანიძე, გივი მაჭავარიანი, თამაზ გამყრელიძე); მათი ნაშრომები ადასტურებს და მხარს უჭერს გ. კვაშილავას კვლევის დასკვნებს.

უნდა ითქვას, რომ მოხსენებათა განრიგი საკმარისად ჭკვიანურად იყო შედგენილი. 12 მოხსენებიდან ჩვენი მე-11 იყო, ტომ პალაიმას, გერეთ ოუენსისა და ნიკლას რიდის შემდეგ, რაც ძალიან სასიამოვნო იყო, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ჩვენ `გამორჩეულ საზოგადოებაში~ მოვხვდით, მეორეც იმიტომ, რომ წინა დღეს მოვასწარით შევჩვეოდით კონფერენციის საერთო ტონს, შევაფასეთ აუდიტორია (პროფესიონალური!) და ა.შ.

მოხსენების დროს წარმოდგენილი იყო მტკიცებულებებისათვის ძლიერ მნიშვნელოვანი მდიდარი კომპიუტერული მასალა - ეს მასალა საგანგებოდ მოიწონეს მოხსენების შემდეგ მსმენელებმა და ორგანიზატორებმა.

მოკლედ ვიტყვი, რომ მოხსენება-

გაგრძელება მე-12 გვ.

მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა

დასაწყისი გვ. 11

ში წარმოდგენილი იყო გ. კვაშილავას არგუმენტები დისკოს ტექსტის წაკითხვის მიმართულების შესახებ დისკოს ცენტრიდან პერიფერიისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციაზე ტექსტის წაკითხვის მიმართულებად უმრავლესობის მიერ არაერთგზის დასახელდა პერიფერიიდან ცენტრისაკენ წაკითხვა, ტიპოლოგიური კომპიუტერული მასალით გამაგრებული გ. კვაშილავას ექვსი არგუმენტი არავისათვის არ გამხდარა საკამათო...

წარმოდგენილი იყო ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშანთა წაკითხვისათვის გ. კვაშილავას მიერ შექმნილი ალგორითმი, რომელიც ბუნებრივად ეყრდნობა თვით მასალის გრაფიკულ მონაცემებს და მარტივად, ცალსახად მოიცავს არა მარტო დისკოს ტექსტს, არამედ ვრცელდება, აგრეთვე, იმ სამ წარწერაზეც, სადაც გამოყენებულია ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშნები. ესენია: წარწერა არქალოხორის ცულზე, მალიის ქვის ბლოკზე და ფესტოსის ლარნაკზე.

მოხსენებაში წარმოდგენილი იყო, აგრეთვე, უმნიშვნელოვანესი ლინგვისტური მასალა, რომელიც მიღებულია თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიერ შედარებითი მეთოდებით პროტო-ქართველური (კოლხური) ენის აღდგენისას. მთელი ეს მასალა ადეკვატურად ასახულა ფესტოსის დისკოს წარწერაში, რაც მტკიცედ უჭერს მხარს გ. კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოს კოლხურ (პროტო-ქართველურ) ენაზე წაკითხვას. ტექსტი თარიღდება იმ პერიოდით, როდესაც ჯერ არ არის მომხდარი საერთო-ქართველურის დაშლა ერთი მხრივ მეგრულ-ჭანურ, ხოლო მეორე მხრივ ქართულ განშტოებებად (ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეული).

წარმოდგენილი იყო, აგრეთვე, დისკოს ტექსტის როგორც ზოგადი ინგლისური თარგმანი, ისე, ზოგჯერ, ცალცალკე ნახატ-ნიშნების მორფოლოგიური ღირებულების მარცვლოვანი წაკითხვაც. შეჯამებული იყო, აგრეთვე, დისკოს ორივე მხარის შინაარსი.

აქვე უნდა დავამატო, რომ მოხსენებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, მან თითქოს წერტილი დაუსვა იმ კამათსა და მსჯელობას, რომელიც ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ლონდონში, სიძველეების შემსწავლელთა საზოგადოების დარბაზში (რომელშიც, სხვათა შორის კარგა ხანს იყო მოთავსებული როზეტის ქვა, სანამ მას ბრიტანეთის მუზეუმში გადაიტანდნენ; აქვე წაიკითხა მაიკლ ვენტრისმა თავისი მოხსენება B ხაზოვანი წარწერების ამოკითხვის შესახებ).

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ჩანს, მოხსენებამ გერეთ ოუენსზე, რომელიც მანამდე ყოველი მოხსენების შემდეგ კამათში გამოდიოდა და თავის აზრს გამოთქვამდა, ამჯერად მან სახის გაოგნებული გამომეტყველებით მოისმინა მოხსენება, არაფერი უთქვამს, თავისი ადგილიდან ყველას წარმატება უსურვა და დარბაზი დატოვა. გ. კვაშილავას ულოცავდნენ და ეუბნებოდნენ ძალიან საინტერესოა, ძალიან კარგია, თუმცა ძნელია ერთბაშად ასეთი მასალის ათვისება, მოითმინეთ სამიოდე წელიწადი და თქვენს აღმოჩენას მთელი მსოფლიო აღიარებსო.

შემდეგში თბილისში ელექტრო ფოსტით მოსული წერილებში იწერებიან: `თქვენი მოხსენება კარგად იყო წარმოდგენილი და სრულიად განსაცვიფრებელი იყო. მასში, რა თქმა უნდა წარმოდგენილია დისკოს გამოცანის გადაჭრისადმი საინტერესო მიდგომა. გისურვებთ წარმატებას თქვენს შემდგომ კვლევაში~ (ჯ. აიზენბერგი, აშშ).

დოქტ. დიტერ რუმფელმა (გერმანია) მოიწერა: `ძალიან ვაფასებთ თქვენს სამეცნიერო თვალსაზრისს, ცოდნასა და ძალისხმევას, რამდენადაც ვიცი, თქვენ დისკოს ერთადერთი მკვლევარი ხართ, რომელმაც გაბედა და თავის დაბეჭდილ გამოკვლევაში ჩართო მითოლოგიის პერსონაჟები...~

აგრეთვე: `თქვენ, ცხადია, გმართებთ მოთმინება და სიმტკიცე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სწორ გზას ადგეხართ და საბოლოოდ გაღიარებენ~ (ი. ციგენფუსი, ავსტრია).

`თუ გახსოვთ, მე კონფერენციაზე გითხარით, რომ განსაკუთრებით საინტერესოდ მომეჩვენა თქვენი ანალიზი ნიშანთა როტაციაზე, რომელსაც განმასხვავებელი ფუნქცია აქვს... არც ერთ `ორგანულ~ სისტემას არ ვიცნობ, რომელსაც ეს თვისება ახასიათებდეს. ამითაც - თუ ეს დისკოს სისტემის დამახასიათებელი ნიშანია, დისკოს წარწერა კიდევ უფრო უჩვეულო აღმოჩნდა ვიდრე ეს აქამდე გვეგონა~ (რ. სპროუტი, აშშ).

მოხსენებას გამოეხმაურა, აგრეთვე, ბერძნული გაზეთი `ვიმა საიენსი~ (18.01.2009), სადაც პროფ. ტ. კაფანტარისი, თავისი სტატიის ერთერთ ქვეთავში წერს მისი ადრინდელი ვარაუდის შესახებ იმის თაობაზე, რომ ფესტოსის დისკოს წარწერა ეკუთვნოდა მოსახლეობას, რომელიც დომინირებდა ეგეოსის რეგიონში მინოსურზე უფრო ადრე. სავარაუდო იყო, რომ რომელიღაც უძველესმა ენამ იქონია ძლიერი გავლენა ამ რეგიონის ენობრივ გადანაწილებაზე. ტ. კაფანტარისი წერს, რომ ეს მისი ვარაუდი განმტკიცდა მას შემდეგ, რაც იგი გაეცნო ქართველი გია კვაშილავას მოხსენებას ლონდონის კონფერენციაზე. კვაშილავას გამოკვლევამ, რომელსაც ბიძგი მისცა ჰერბერტ ძებიშის გამოკვლევებმა, არა მხოლოდ აჩვენა, რომ დისკოს ენა იმდროინდელი ქართული — კოლხურია, არამედ მან კრეტას დაუკავშირა კორიბანტები და მათი კირბები, ერთმანეთთან დააკავშირა კრეტელი, ლემნოსელი და სამოთრაკიელი კორიბანტები; ენაზე, რომელზეც ისინი ლაპარაკობდნენ, აგრეთვე საუბრობდნენ მინოსის კოლხი მეუღლე პასიფაე, კოლხეთის მეფე აიეტი, მისი ქალიშვილი მედეა და ოდისევსის მომაჯადოებელი კირკე...ღკრეტელებს შეუძლიათ იოცნებონ იმ დროზე, როდესაც ისინი მსოფლიოს ლიდერები იყვნენო, დაასკვნის ტ. კაფანტარისი.

ეჭვგარეშეა, რომ გ. კვაშილავას მიერ თითქმის ოთხი ათასწლეულის სიძველის უნიკალური ტექსტის ამოკითხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც საქართველოს კულტურისა და რელიგიის, მისი ისტორიისათვის, ისე იმ გავლენის შესწავლისათვისაც, რომელიც პროტო-ქართველურ კულტურას ჰქონდა ევროპულ კულტურაზე.

ისღა დამრჩენია საგანგებოდ ვახსენო დოქტ. ჰერბერტ ძებიში, ავსტრიელი მკვლევარი, ვინც პირველმა გამოთქვა ფესტოსის დისკოს კოლხურ-იბერიულ ენაზე წაკითხვის ვარაუდი. იბერიულ-კოლხურ ენას მან რამდენიმე წიგნი უძღვნა, თავისი მოსაზრება ფესტოსის დისკოს პროტო-ქართველურ ენაზე წაკითხვის თაობაზე მან ბუდაპეშტის `ეირენე~-ს საერთაშორისო კონგრესს მოახსენა 1988 წელს; აგრეთვე მოხსენებით გამოვიდა კრეტოლოგთა კონგრესზე 1991 წელს კრეტაზე; მიკენოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე რომში 1991 წელს, ჩამოსული იყო საქართველოშიც, ვანში.

ჰერბერტ ძებიშმა შექმნა კომპიუტერული პროგრამა, რომელშიც შეეძლო ნებისმიერი ენის ჩასმა და ამ ენების მასალის შედარება დისკოს ნიშანთა განაწილებისათვის. მან სცადა ბიბლიის ებრაული, ძველი სლავური, აღმოსავლური და სხვა ენებიც, მაგრამ არცერთმა არ `უპასუხა~ პროგრამას. მოგვიანოდ მან ამ პროგრამაში ჩასვა პროტო-ქართველური და მისი პროგრამა ამოქმედდა! თავისი სიცოცხლის ბოლო წლები მან მოანდომა ძველი ქართულის შესწავლას. ჰერბერტ ძებიში გარდაიცვალა 1993 წელს.

ჰ. ძებიშის ვარაუდმა, ცხადია, დიდი გავლენა მოახდინა მაშინ 16 წლის გ. კვაშილავაზე.

დღეს ჩვენ მდლობას ვუხდით ჰერბერტ ძებიშის ვაჟს, დოქტორ ჰერმან ძებიშსა (ავსტრია) და დოქტორ იოხენ ციგენფუსს (ავსტრია) — ისინი დაგვეხმარნენ რეალობად ქცეულიყო ჩვენი მონაწილეობა ფესტოსის დისკოსადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში.

ასევე მადლობას ვუხდით ბ-ნ ლუკა ჩაჩიბაიას (დიდი ბრიტანეთი), ბ-ნ ნოდარ გაგუას (რუსეთი); აქვე მადლიერებით მოვიხსენიებთ ქ-ნ ნინო დარასელს, რომელმაც ყურადღება მიგვაქცევინა კონფერენციის ჩატარების სავარაუდო გეგმაზე. მადლობას მოვახსენებთ, აგრეთვე დოქტ. ნანი ჭანიშვილს მრავალმხრივი მხარდაჭერისათვის.

და ბოლოს, შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ გია კვაშილავას, რომელმაც კიდევ დიდი შრომა უნდა გასწიოს იმისათვის, რომღწარმატებულ დასასრულამდე მიიყვანოს A ხაზოვანისა და კრეტული იეროგლიფების შესწავლა.

ნანა შენგელაია
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, ენათმეცნიერი

საპატაჟვილის „ისტორიული“ მოვლენები

საქართველოში, 2003 წლის ნოემბრის შემდეგ მომხდარი მოვლენები რომ „ისტორიულია“, ეჭვი აღარავის გვეპარება. მანამდე რომ, არც სახელმწიფო გვქონდა და ბოგანოებს რომ არაფერი შეგვიქმნია, ესეც დავიჯერეთ და იმაშიც ღრმად გახლავართ დარწმუნებულები, რომ რაც დღეს „კეთდება და ხდება, ყველაფერი უნიკალურია და ისტორიული“. ამიტომაც გვსურს მკითხველს, არცთუ დიდი ხნის წინათ მომხდარი რამდენიმე ასეთი მოვლენა შევახსენოთ და საკაშვილის „ეპოქის მატიანესთანაც“ ვალმოხდილები ვიქნებით.

თავდაპირველად, ოპოზიციის სამთვიანი ჯახირით შეღონებული პარლამენტის ფაქტიური დირექტორის პავლე კუბლაშვილის თავკაცობით შემუშავებული სამარცხვინო და ფაშისტური, შეკრებებისა და მანიფესტაციების ამკრძალავი კანონის მიღებაზე გვინდა ვთქვათ. სიმართლე გითხრათ, ამის ქმნას „რევოლუციონერებისგან“ ხელისუფლების მიტაცებისთანავე ველოდებოდით. მაგრამ, ქვეყნისა და ხალხის ძარცვა-გლეჯითა და ყველაფრის პირქვე დამხობით დაკავებულებმა, დღემდე ვერ მოიცალეს საამისოდ. თუმცა, ხალხის უნიათობისა და დაჩლუნგების, ოპოზიციის უძალო ფაფხურის შემყურენი, საკუთარი მდგომარეობის შერყევის ვერავითარ საშიშროებას ვერ გრძნობდნენ და ამიტომაც არ ჩქარობდნენ. მხოლოდ, სამთვიანმა გაწელილმა აქციებმა აიძულეს ამისი გაკეთება და ხელდახელ გამომცხვარ-მიღებული კანონით, მიტინგებისა თუ აქციების მოწყობ,. აუხდენელი ოცნება და სანატრელი გახდა.

შარშანდელ ომში „გამარჯვების“ წლისთავი ნაციონალებმა, „მთავარსარდლის“ ექსცენტრული სტილისაგან განსხვავებულად, ერთობ მოკრძალებულად აღნიშნეს გორში და თუ მართლა მოგებულები არიან, მაშინ მთელი მსოფლიო რატომღა გვთვლის დამარცხებულად? განა ამის გამო არ გვიწევენ ჰუმანიტარულსა და ფინანსურ შემწეობას, ომით მიწასთან გასწორებული სოფლებიდან დევნილების დასახმარებლად? ისინი კი გზავნიან, მაგრამ წეროვანის გეტოსა და სხვა ადგილებში მოწყობილ სადგომებში გამოკეტილ დაზარალებულებამდე, მხოლოდ ნამცეცები აღწევს და ისიც იშვიათად.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ კარგახანია ძალზედ საპასუხისმგებლო საქმიანობას შეუდგნენ ახალი კონსტიტუციის შემმუშავებელი და ახალი საარჩევნო კოდექსის შესაქმნელი, უმაღლეს ხელფასებდანიშნული მრავალწევრიანი კომისიები. პირველს, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავჯდომარე და ვინ იცის როგორი შეცდომებისა თუ ცოდვების ჩამდენი, დღეს უზომოდ გადიდგულებული ავთანდილ დემეტრაშვილი თავკაცობს.,მეორეს კი, ყველანაირი უკანონო არჩევნების დანაშაულებრივად გამყალბებელი დამნაშავე ლევან თარხნიშვილი უძღვება. ცხადია, ორივე კომისიას ერთი საერთო ბრძანებისა და დავალების შესრულება აქვს დაკისრებული - ახალი კონსტიტუციაცა და საარჩევნო კოდექსიც, ისევ სააკაშვილზე მორგებული და მოსაწონი იყოს. დარწმუნებული ვართ, ვალდებულებაღებულები პირს არ გაიტეხავენ და შეკვეთილ ორივე დოკუმენტს მალე ჩააბარებენ დამკვეთ მიხეილს.

ისტორიული უწოდა მიხეილ სააკაშვილმა, მისგან შემოთავაზებულ „დემოკრატიის ახალი ტალღის“ პროგრამა-პროექტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას - „სახალხო დიალოგის“ გამართვას. ამ მიზნით მთელს საქართველოში მოწყობილი გასეირნებების მონაწილე მაღალჩინოსნებსა და პარლამენტარებს შორის, რამდენიმე ყოფილი გუბერნატორიც იყო, მანამდე რომ ფულის კეთების გარდა, ყოფილ სამფლობელოებში, თითი არაფერზე დააკარეს, მხოლოდ დავალებამიღებულებმა, უყრადღებოდ მიტოვებულ ნაცნობ მოსახლეობასთან „დიალოგის დროს შეიტყეს“ მათს გასაჭირ-სატკივარზე. უამრავ მოსაგვარებელზე. ამიტომაც, „ყველაფერი გულისყურით მოისმინეს, ყველაფერს გულდაგულ გაეცნეს და ჩაიწერეს“. მერე, ხვავიანად გაშლილ მაგიდებთან გემოზე მოილხინეს და დედაქალაქში დაბრუნებულებმა, „შენიშვნებითა და წინადადება-მოსაზრებებით შევსებული მოზრდილი უბის წიგნაკები, „სამუშაო“ მაგიდების იშვიათად გამოსაწევ უჯრებს მიაბარეს...

„ისტორიული“ გახლდათ მიხეილ სააკაშვილის ანაკლიაში ჩასვლა და მისი ყველანაირი პოლიტიკის დამანგრევლად და უგუნურად წარმართული, ქართველთა შემაძრწუნებელ-შეურაცხმყოფელი, აფხაზეთიდან გამომყოფ-გამოსაცალკევებელი ყრუ კედლის დანახვა. სულის შემძვრელ და გულსაკლავ კედელს მიახლოებული „გამარჯვებული მთავარსარდალი“, ჩვეული უტიფრობითა და ტყუილით შეეცადა, ჩვენსკენ სინათლისა და სითბოს სამეფოს არსებობის, კედელს გადაღმეთში კი სიბნელისა და ყინულის საბრძანებლის „დაჯერებას“ და იქ შეკრებილებს, არნახული „წალკოტის მოწყობა“ აღუთქვა. ანაკლიასთან ერთად მიხეილი განმუხურსაც ესტუმრა. პატრიოტთა ბანაკშიც მივიდა, კარგად იმხიარულა და მერე ხალხთან „დიალოგისთვის გამზადებულს, შიგ შუბლში მოხვდა ერთ-ერთი მამაკაცისგან ნასროლი კალოში თუ ფეხსაცმელი. იქ მომხდარი ეს „ისტორიული“ მოვლენა, რატომღაც არცერთმა ტელეარხმა არ აჩვენა. თუმცა, მომხდარზე მალევე შევიტყვეთ აქაც და უცხოეთშიც.

თბილისში მობრუნებულმა, კიდევ ერთი „ისტორიული მოვლენით გაგვაოცა ჩვენც და მთელი

გაგრძელება მე-13 გვ.

დასაწყისი გვ. 12

კაცობრიობაც“. რუსთაველზე, ფრიად „ორიგინალური“ სანახაობა - „ხალხთან დიალოგის“ ერთგვარი პატაკი - „ანგარიში ხალხს!“ გამართა. იქ განლაგებულ, მრავალფეროვანი თემატიკითა თუ მექანიზმ-დანადგარებითა და ტექნიკით აღჭურვილ ყველა სამინისტროს პავილიონებში, მნახველებს ოპერატიულად შეეძლოთ საჭირო ინფორმაციის მიღება და რაც მთავარია, ადამიანებს საშუალება მიეცათ, პირადად გასაუბრებოდნენ ორიოდე წუთით გამოჩენილ მინისტრებს, მათს მოადგილეებს, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს. მოკლედ ეს იყო მსოფლიოში პირველი სამთავრობო, სამარცხვინოდ პრიმიტიულ-იაფფასიანი ღონისძიება ანუ მრავალგზის გაცურებულ-მოტყუებული ადამიანებისთვის, ნაციონალური ნაცრის კიდევ ერთხელ თვალებში ურცხვად შეყრა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს იყო სადღაც გამქრალი საბჭოური „ვედეენხას“ მინიატურული დამახინჯებული ასლი და ჩვენი თბილისობანას გენერალური რეპეტიცია.

„ისტორიული“ მოვლენები გახლდნენ, ქვეყნის რომელიღაცა წლის ბიუჯეტის სულ რაღაც 0,17 პროცენტის ფულით აგებული, ლამის მილიარდ დოლარდახარჯულ რეზიდენციაში, შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის დახვედრა და ელჩის გაცილება. ორდენებიც უმაღლესი ხარისხისა ჩამოჰკიდა მიხეილმა ბატონ ბაიდენსა და ვინ იცის რანაირ საქმეთა მკეთებელს, ქართველებისთვის მიუღებელსა და არასასურველ ბატონ ტეფტს. შეიძლება, თბილისის რომელიმე ქუჩისთვის მისი სახელის დარქმევაც დაჰპირდა. და საერთოდ, ქართველებო! როდემდე ვიყუჩოთ ასე გაუმართლებლად, სამარცხვინოდ თავჩაქინდრულებმა და ყველაფერზე ლაჩრულად დათანხმებულებმა? როდემდე უნდა გვქონდეს თვით ამერიკელებისგან ყველა დროის უღირს და უვიც პრეზიდენტად აღიარებული ბუშის ქუჩა თბილისში? თუ იმას ველოდებით, როდის მოგვიძღვნის სააკაშვილი მამა ბუშის, სოროსის, ჩეინის, ფრიდის, ბრაიზას, მაილსის, მაკკეინის და სხვათა სახელდარქმეულ ქუჩებს? რას ველოდებით? ჩვენი მშველელი და გადამრჩენი, საკუთარი თავის გარდა, სხვა რომ არავინ არის, რით ვერ გავიგეთ!..

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მომხდარმა მიწისძვრამ საკმაოდ დაანგრია რაჭა-იმერეთის მოზრდილი ნაწილი, მოსახლეობის დიდი რაოდენობა ღია ცის ქვეშ დარჩა. ახალბედა დამოუკიდებელი ქვეყნის ხელისუფლებამ, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, რამდენიმე თვეში შეასრულა ხალხისთვის მიცემული პირობა და უსახლკაროდ შთენილნი, მკვიდრად ნაგებ კაპიტალურ სახლებში შეასახლა.

ცხრამეტი წლის შემდეგ, ისევ ძლიერად იძრა მიწა უმშვენიერეს რაჭაში. ისევ ბევრი სახლი დაინგრა და ბევრი ადამიანი დარჩა უსახლკაროდ. ქართველთა თავს დამტყდარ კატასტროფაზე, პირველებმა, უცხოურმა ტელეკომპანიებმა და რადიოსადგურებმა შეგვატყობინეს. ქართულმა საინფორმაციო საშუალებებმა მხოლოდ მოგვიანებით ისურვეს ხმის გაღება. შუადღემდე არაფერი ისმოდა ავლაბრის რეზიდენციიდან. იმ დროის საინფორმაციო გადაცემებში, მიხეილი ანაკლიაში გამოჩნდა. კატერით მოსრიალე, რამდენიმე დღით ადრე იქაურებთან შეხვედრისას, ამ ადგილის „ზღაპრულ წალკოტად გადაქცევის პირობის აღსრულების ისტორიულ მისსიას ასრულებდა“. ესპანელ არქიტექტორებს, ინგლისურად, „ფანტასტიკური დასვენების ზონის“ ასაშენებელ „მითითებებს“ აძლევდა... მხოლოდ მეორე დღეს გაიხსენა დანგრეულ-დაზარალებული რაჭა და მთავრობის წევრებს იქ ჩასვლა უბრძანა.

ბათუმის ახალი სანაპირო ბულვარის გახსნითა და ანაკლიის „წალკოტად გადაქცევის საქმეებს გადაგებულმა“ მიხეილმა, „ვერა და ვერ მოიცალა“, ძვირადღირებული საკუთარი ვერტმფრენით რამდენიმე წუთში, გულისმომკვლელად იავარქმნილ ზემო რაჭაში ჩასაფრენად. არაფრად არ ისურვა უსახლკაროდ დარჩენილი რაჭველებისთვის ნუგეშისცემა და გამხნევება. უპირველეს მოვალეობად არ მიიჩნია ყველანაირად ხელმოცარული ხალხის დახმარება და ხელის გამართვა. ასეთი ზურგშექცევისა და ტუჩის აბზუების მიზეზი შესაძლებელია ის იყოს, რომ ღვთივკურთხეულ კუთხეში, რაჭველებს, არც დისკოთეკები, არც კაზინოები და ბარები, არც ბუნგალოები და ნაირგვარი ატრაქციონ-საქანელები არა აქვთ გახსნილი და არც წნორელ ჯანგირასნაირი „ვირტუოზი კლარნეტისტი“ ყავთ ვინმე.

მაშინ, როცა საგრძნობლად აციებულ რაჭაში უამრავ სახლდანგრეულ ადამიანს კარავში თავშეფარების საშუალება არა ჰქონდა, პარლამენტში, ერთ-ერთი კომიტეტის სხდომაზე, საქმიანი მსჯელობა ჰქონდათ გაჩაღებული კაზინოების მშენებლობის გადაუდებელი პრობლემების გადასაჭრელად. ბატონი სააკაშვილიც დაკავებული გახლდათ - დევნილ ბავშვებთან ერთად, ბადრი პატარკაციშვილისთვის წართმეულ მთაწმინდის პარკში გულიანად ილხენდა.

მიწისძვრიდან ორ თვეზე მეტის გასვლის შემდეგ, დანგრეულ რაჭაში დღემდე არაფერი გაკეთებულა!

მაშინ, როცა მიხეილი ატრაქციონებით ერთობოდა, ჩვენთვის ერთობ შემაშფოთებელი ისტორიული მოვლენა მოხდა. აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის სავაჭრო პალატა, პარიზში მდებარე სავაჭრო პალატების საერთაშორისო საბჭოს სრულუფლებიანი წევრი გახდა. ამ დამაფიქრებელ, ერთობ შენიღბულსა და მზაკვრულ პოლიტიკურ სვლას, არავინ გამოეხმაურა. ალბათ, საჭიროდ არ ჩათვალეს „უძალო და არავითარი საშიშროებისა თუ ზიანის მომტანი“, სინამდვილეში დიდი საფრთხის შემქმნელი საბუთის გაჩენა. რამდენიმე დღის შემდეგ, ჩვენთვის კიდევ ერთი სახიფათო ისტორიული მოვლენა გახმიანდა - მოსკოვში, რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და სეპარატისტული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის შესაბამის უწყებებს შორის, ურთიერთ თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. საქართველოსთვის უდიდესი ზიანისა და საფრთხის შემქმნელ ამ დოკუმენტით, აგრესორ ქვეყანას ოფიციალური ნებართვა მიეცა, ე.წ. ორ დამოუკიდებელ ქვეყანაში სამხედრო ბაზების ასაშენებლად. არც ამ უდიდესი საშიშროების შემცველმა ქმედებამ გამოაფხიზლა საქართველოს ხელისუფლება.

სამაგიეროდ, არნახული გამოხმაურება მოჰყვა ნიუიორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბევრი

წევრი ქვეყნებისგან, ქართველი დევნილების საკუთარ სახლებში დაბრუნებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის კიდევ ერთხელ აღიარების, ვინ იცის უკვე მერამდენე რეზოლუციის მიღებას. მიხეილ სააკაშვილმა, მომხდარს, ტრადიციულად ისტორიული და ქართული დიპლომატიის არნახული გამარჯვება უწოდა. სინამდვილეში, ასეთი უძალო რეზოლუციებიან უამრავ ფარატინა ფურცელს, დიდი ხანია მტვრის სქელი ფენა ფარავს გაეროს არქივში გამოკეტილ მსგავს სხვა საქმეებთან ერთად.

არანაკლებ „ისტორიულსა და დიპლომატურ წარმატებას მიაღწია“ იმ დღეებში პარიზში ჩასულმა აკუს (მინაშვილის), გაკუს (გ. გაბაშვილის) და ჩიორასა თუ ბახალას (თაქთაქიშვილის) ტრიუმვირატმა. რუსებთან „უშეღავათო პაექრობაში“ ჩაბმულებმა, მოწინააღმდეგეს „გამანადგურებელი დარტყმა აგემეს“. ქართველებისგან „ხაფანგში გაბმულ“ ოკუპანტებს, სხდომის მონაწილე ქვეყნების დელეგაციებმა, სარკოზი-მედვედევის შეთანხმებით დაკისრებული მოვალეობების უპირობოდ შესრულება მოსთხოვეს. საპასუხოდ, „კედელთან მიყენებულმა“ დამპყრობლებმა, ჩვეული სალდაფონური უტიფრობით უარი თქვეს წაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და ყველა პუნქტი შესრულებულად გამოაცხადეს! ჩანს აკუმ, გაკუმ და ჩიორა-ბახალამ ზუსტად ისე „გაიმარჯვეს“, როგორც მათმა კაპიტულაცია გამოცხადებულმა „მთავარსარდალმა“, რუსეთთან წაგებულ შარშანდელ ომში!

მიხეილ სააკაშვილის წლევანდელი „ისტორიული“ მოვლენების ცვენიდან, ერთი უმნიშვნელოვანესი, ტალიავინის კომისიის დასკვნის გამოქვეყნება გახდა. ვიტყვით, რომ საღად მოაზროვნე ქართული და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებისთვის მანამდეც ცნობილი იყო რუსეთ-საქართველოს ომის გამომწვევი და დამარცხების ყველა მიზეზი. უბრალოდ, დასახელებული კომისია ყველაფერს ოფიციალურად განიხილავდა, შეისწავლიდა და მიუკერძოებელ დასკვნას დადებდა. კომისიის მრავალთვიანი მუშაობის შემდეგ გამოქვეყნებულ დასკვნაში მართლაც ის ამოვიკითხეთ, რომ სააკაშვილისგან წამოწყებული ორდღიანი ომი, რუსი დამპყრობლების გადამეტებული ძალის გამოყენებით, ქართველების სამარცხინო და სავალალო დამარცხებით - უამრავი დაღუპული ადამიანით, ათეულ ათასობით დევნილით, მიწასთან გასწორებული სოფლებითა და ახალი ოკუპირებული ტერიტორიების წარმოქმნით დასრულდა.

არ არის დასამალი, რომ სამთვიანი უშედეგო აქციებით ვერაფრის გამკეთებელი ოპოზიცია, ვერ დამარცხებული სააკაშვილისთვის ანგარიშის გასწორებასა და დასჯას, სწორედ დასახელებული დასკვნითა და საერთაშორისო სასამართლოებით აპირებდა.

თავისმხრივ, დასკვნის გამოქვეყნებამდე, ომის დაწყების ბრძანების გაცემის დამადასტურებელმა და რაღაცა ორი რაიონის დამკარგავმა, კაპიტულაციის გამომცხადებელმა; გორში მაღალჩინოსანი სტუმრის არაკაცურად მიმტოვებელმა; თვითმფრინავის ჩრდილით დამფრთხალმა და მიწაზე გაგორებულმა სააკაშვილმა, დასკვნაში საკუთარი პიროვნების დამადანაშაულებელი სხვა „არაფერი“ ამოიკითხა და გახარებულმა, საბოლოოდ დაამტკიცა რუსებზე „გამარჯვება“.

რუსეთმაც არაფრად ჩათვალა მისგან გადამეტებული ძალის გამოყენებაში დადანაშაულება, სხვამხრივ ყველაფერი მისაღებად და სასარგებლოდ დაიგულა და მთავარ დამნაშავედ საქართველო გამოაცხადა.

ასე მინავლდა ტალიავინის კომისიის დასკვნასთან დაკავშირებული, მისით დამნაშავეთა დასჯის იმედიანი და მუქარიანი მოლოდინი. დასკვნის გამოქვეყნებას თანმოყოლილი მსჯელობებიცა და ხმაურიც თანდათან მიყუჩდა და დღეს მისი გაცნობა, ინტერნეტით ყველას შეუძლია.

ყველანაირი პასუხისმგებლობისგან თავდაძვრენილმა მიხეილმა კი ძველებურად გააგრძელა აღმა-დაღმა ქრიალი. მანამდე თანამდგომი ქვეყნების თავკაცებისგან ზურგშექცეულმა, არაბულ სამყაროს მიაპყრო მზერა და არავისგან მიპატიჟებულმა, მრავალრიცხოვანი ამალით ჩასულმა, იქაურ მდიდარ მმართველებს, მათთვის უცნობ საქართველოში შემორჩენილი სიმდიდრის ჩალისფასად შესყიდვა ანუ ჩუქება აღუთქვა...

ყველაფრის სათავისოდ მომგვარებელმა, საქართველოსა და ქართველებისთვის უამრავ უბედურებათა თავზე დამამხობელმა და ყველაფრის ხახვივით შერჩენილმა მიხეილმა, კიდევ ერთი „ისტორიული“ მოვლენის მოკვარახჭინება მოისურვა. ქართველთა ძარცვით შეკოწიწებული ბიუჯეტიდან წაგლეჯილი ორმოცდაათი მილიონი დოლარით (ამბობენ, სინამდვილეში გაცილებით მეტი მოუტაცია), ჰოლივუდელ რეჟისორს, რუსებთან „გამარჯვების“ მაუწყებელი ფილმის შექმნა შესთავაზა. ამერიკელებისთვის სარფიანი გარიგება ელვისებურად გაფორმდა და ფილმის დიდი ნაწილიც უკვე გადაღებულია. დამარცხებული „ტრიუმფატორი მთავარსარდლის“ განმასახიერებელმა სახელგანთქმულმა ენდი გარსიამ, სააკაშვილის ექსცენტრული ქცევა-მანერების ორიოდე საათში ათვისებაში, ვინ იცის რამდენი სასიკვდილოდ განწირული დასნეულებული ქართველის სამკურნალოდ და სიცოცხლის შესანარჩუნებლად, რამდენი ოჯახის გადასარჩენად, რამდენი ადამიანის დასასაქმებელი სამუშაო ადგილის შესაქმნელი საკმარისი მილიონები ჩაიჯიბა და ნაშოვნით კმაყოფილი გაემგზავრა.

საინტერესოა, როგორ გაითამაშა ბატონმა გარსიამ, გორში, თვითმფრინავის ხმის გაგონებით დამფრთხალ-შეძრწუნებული სააკაშვილისგან უცხოელი მინისტრის არაკაცურად მიტოვების, მიწაზე გორაობისა და ჰალსტუხის ღეჭვა-ლოღნის კადრები? ხომ ითქვა, რომ ფილმში ყველაფერი ქრონოლოგიური სიზუსტითა და თანმიმდევრობით იქნება აღნუსხული?..

ამჯერად, სააკაშვილისგან „ისტორიულად“ გამოცხადებულ რამდენიმე მოვლენაზე ვთქვით და უეჭველია, მისი შლეგური ფანტაზიებიდაგნ გამომდინარე, კვლავაც ბევრის მომსწრენი გავხდებით, ეკონომიკური კოლაფსის მორევში ჩაძირული ქვეყნის გაღატაკებულ-გამათხოვრებული ადამიანები.

და ჩვენ, ამდენი „ისტორიული“ მოვლენების შემსწრენი, სამარცხვინოდ გულხელდაკრეფილები, გაუთავებელი წუწუნითა და დანაშაულებრივი უმოქმედობით, საკუთარი ნებით ხელს ვუწყობთ მოძალადეებს, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის დაქცევასა და ნგრევაში, ქართული ჯიშისა და მოდგმის გაქრობაში.

სულ ახლახანს, სააკაშვილმა ასსამოცდათი ქართველი ვაჟკაცი, საზარბაზნე ხორცად გადაისროლა ავღანეთში. მალე რვაასამდე აპირებს მათი რაოდენობის გაზრდას.

რატომ დავივიწყეთ საბჭოეთის დროს, ავღანეთში „მშვიდობის“დასამყარებლად გაგზავნილი უამრავი ქართველი ჯარისკაცისა და მათი ოჯახების თავს დამტყდარი მაშინდელი ტრაგედიები? ისტორია ხომ მეორდება?..

ვინ იცის, დღეის ამას იქით, მსოფლიოს შვიდი ცნობილი ფსიქიატრიული კლინიკის მიერ შემაშფოთებელი დიაგნოზდასმული მიხეილისგან კიდევ რას არ მოვისმენთ, მისგან ჩადენილს რას არ დავინახავთ. და ყველაფერი „ისტორიული“ იქნება, სააკაშვილის ავადსახსენებელი პერიოდის კუპრივით შავ მატიანეში ჩაწერილი.

რა ვქნათ ქართველებო?..

გელა ჯიღაური

დისიდენტური მოძრაობის ჰეროიკული რაინდები

ნუგზარ მგალობლიშვილი

საქართველოს ზოგადსაკაცობრიო ისტორიული მისიის ორი უბრწყინვალესი წარმომადგენლის, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრების გზა, სწორუპოვარი ნიმუშია ქართული რაინდულ-გმირული სულის გაცოცხლება-აღორძინებისა, რომელიც ნაკარნახევი იყო ქართველი კაცის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარდუვალობით; სინათლით, სიკეთით, ღვთისა და კაცის სიყვარულით აღსავსე ეს ორი რაინდი პატრიოტული მისიით ერთდროულად მოევლინენ ჩვენს სამშობლოს რუსეთის ორსაუკუნოვანი მონობის კვირაძალზე, რომელიც კონკრეტულად ქართველი ერის ბედს წყვეტდა. უთვალავ განსაცდელთან უდრეკად და შეუპოვრად მდგარმა ორმა განუყრელმა მეგობარმა, არწივის გაფრენის ტოლი ოცნება მიზნად აქციეს, მიზანი კი საქმედ.

თავიანთი საუკეთესო ადამიანური თვისებები: სამშობლოსადმი სიყვარული, სიმამაცე, თავისუფლებისმოყვარეობა, სიბრძნე, ქედუხრელობა, შემწყალებლობა, კონცენტრაციის, შრომისა და სიძნელეთა გადალახვის უნარი, ორგანიზებულობა, დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის, ამავე დროს სხვათა უფლებებისადმი პატივისცემის გრძნობა ქართველთათვის მისაბაძი გახადეს და ქედუხრელი ხარებივით ყმაწვილკაცობიდან იობის მოთმინებით შეუდგნენ მათ აღსრულებას.

მხოლოდ ღვთის მიერ რჩეულ პიროვნებებს თუ ძალუძთ სარწმუნოების მეობის, კულტურის, სახელმწიფოებრიობისა და არსებობის შესანარჩუნებლად ბრძოლის გზაზე ღირსებით სიარული, პარალელურად მშობელ ხალხზე და ქვეყნის მოქალაქეებზე ხანგრძლივად და ინტენსიურად ზემოქმედების უნარის შენარჩუნება. ასეთი ადამიანები, სამწუხაროდ, თითო-ოროლაა მსოფლიოს მეთაურ ერთა მცირერიცხოვან ნუსხაშიც კი!

ეს ორი პიროვნება ერთ მთლიანს წარმოადგენდა; მათი ყოველდღიური კატორღული ჯაფით იქნა შესაძლებელი ილია ჭავჭავაძის გზის გაგრძელება და მარად უკვდავი ეროვნული კონცეფციის რეალური განხორციელება.

თითოეული მათგანის ოცნების სფეროში დაბადებული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეის რეალიზაცია მეოცე საუკუნის დამლევს ზვიად გამსახურდიას ტიტანური ძალისხმევის შედეგად გახდა შესაძლებელი. რაც მერე მოხდა და დღეს რაც ხდება, დასნეულებული, განსაკურნავი ერის შიზოიდური წარმოსახვების, პრობლემების მთლიანი ჯაჭვის, ჯერ კიდევ, სულიერი ბორკილების გამოვლინებაა. ქართველ ხალხს არ ეშველება მანამ, სანამ ის არ დაადგება ილიას მთლიანობის გზას, არ ეშველება, თუ ვიწრო პარტიკულარული ნაჭუჭი არ მოიშორა და არ გამთლიანდა ეროვნული ცნობიერებითა და საქართველოსთვის თავგანწირვის სულისკვეთებით, რასაც „საზეო საქმედ“ მიიჩნევდნენ ილიაც და მისი XX საუკუნის მიმდევრებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ტოტალიტარიზმის, მატერიალიზმის და ათეიზმის ხანაში რელიგიის, ხელოვნების, მეცნიერებისა და პოლიტიკის სიღრმეებში შეღწევა, საფუძვლიანად შესწავლა და აქედან გამომდინარე, საღი და სინდისიერი აზრის გამოტანა-გამოთქმა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, სწორედ „კოლხური კოშკის“ კულტურულ წიაღში აღზრდილი, დიდოსტატ კონსტანტინეს მიერ გატკეპნილ, ღრმა შემეცნების გზაზე მავალი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ვაჟკაცები ჭეშმარიტებისა და სიმართლის ძიებისას ვერ იკმაყოფილებდნენ სამართლიანობის სურვილს, ქვეყანაში გაბატონებულ სიყალბეზე აგებულ ფსევდოჰუმანისტურ სახელმწიფო იდეოლოგიას ასკდებოდნენ, რამაც საფუძველი დაუდო მათ დისიდენტობას. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში ამ დროისთვის მყოფი დისიდენტური მოძრაობა ცდილობდა ე.წ. „ხრუშჩოვის“ „оттепель“-ის წყალობით გაჩენილი შესაძლებლობის გამოყენებასა და საზოგადოებისათვის მეტნაკლებად თავისუფალი აზრის მიწოდებას, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ ჩარჩოებში, რომელიც ხელს აძლევდა ხრუშჩოვის წრეს გარდაცვლილი სტალინის წინააღმდეგ საბრძოლველად. ნებადართული „სიტყვის თავისუფლება“ კი, ფაქტობრივად, არ სცილდებოდა „გულაგს“ და მხოლოდ მასზე საუბრით ისაზღვრებოდა. ესეც მალე დამთავრდა, რადგანაც ჭეშმარიტი დისიდენტები აშკარად ამხელდნენ და პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ სსრკ-ში არსებულ ბოროტებას კომუნისტურმა სისტემამ ჩაუყარა საფუძველი ისევე, როგორც პიროვნების კულტის შექმნას; ამიტომ დისიდენტები ძალიან საშიშ მტრებად გამოცხადდნენ ხელისუფლებისათვის.

შემდგომ, როცა ხრუშჩოვის „დათბობის“ პოლიტიკის მოწინააღმდეგე ფრთამ შიდა გადატრიალების შედეგად ძალაუფლება იგდო ხელთ, სასტიკი რეპრესიები დაიწყო. დააპატიმრეს მრავალი დისიდენტი, მრავალი მათგანი კი ფსიქიატრიულ კლინიკაში აღმოჩნდა... მთელმა მსოფლიომ შეიტყო განსხვავებულად მოაზროვნე მწერლების სინიავსკისა და დანიელის სასამართლო პროცესების შესახებ, ბევრი ქვეყნიდანაც გააძევეს. განსაკუთრებულად ძლიერ, უდრეკ პიროვნებებს კატორღებში წამების შედეგად თავიდან იშორებდნენ, ასე მოიშორეს დისიდენტთა შორის გამორჩეული პიროვნება ანატოლი მარჩენკო ჩისტოპოლის ციხეში მრავალწლიანი პატიმრობის შემდეგ, (ეს საპყრობილე გამოირჩეოდა ენით უთქმელი სასტიკი რეჟიმით!), არც ემიგრაციაში მყოფნი ავიწყდებოდა საბჭოთა კაგებეს: ქვეყნიდან გაძევებული, ჟენევის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირის ბრალმდებლად მიმავალი ანდრეი ამალრიკი ავტოკატასტროფაში იღუპება (ასეთი მაგალითი არაერთი გახლდათ). მიუხედავად იმისა, რომ რუსი დისიდენტებისათვის „ენა, მამული, სარწმუნოება“ არ წარმოადგენდა მიზანს და მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვით ისაზღვრებოდა მათი მოღვაწეობა ერთიან საბჭოთა სახელმწიფოს სივრცეში, რაც ფაქტობრივად მომავალ „პერესტროიკას“ უყრიდა საფუძველს, სამართლიანობა მაინც მოითხოვს აღინიშნოს ამ ადამიანების განსაკუთრებული პიროვნული სიძლიერე და სიმართლისათვის თავგანწირვის უნარი, რომელიც თუ პირდაპირ არა, ირიბად მაინც უწყობდა ხელს საბჭოთა იმპერიის ნგრევას, რისთვისაც მათ დიდ პატივს სცემდნენ და მაღალ ზნეობის მატარებელ ადამიანებად თვლიდნენ ზვიადიცა და მერაბიც. ეს სიმპათიები არ იყო ცალმხრივი, საბჭოთა დისიდენტები ზვიადთან და მერაბთან ურთიერთობითა და მეგობრობით ამაყობდნენ კიდევაც, რადგანაც ზვიადისა და მერაბის წვლილი განუსაზღვრელია ყოფილ საბჭოთა კავშირში დისიდენტური მოძრაობის ჩამოყალიბების თუ საზოგადოებრივ ცნობიერებაში თავისუფლების იდეის გაღრმავებისა და გამოცოცხლების საქმეში.

მათივე ძალისხმევით, თავისუფლების აღკვეთის, ქვეყნიდან გაძევების, ხშირ შემთხვევაში ფიზიკური განადგურების რისკის ფასად ეყრება საფუძველი საქართველოში აკრძალული ლიტერატურის, კომუნისტური რეჟიმის ვითარებაში საბჭოთა სისტემის დანაშაულებრივი პოლიტიკის მამხილებელი მასალების თვითგამოცემებით ბეჭდვასა და გავრცელებას. საზოგადოებას მიეწოდებოდა ინფორმაცია ადამიანის უფლებათა დაცვის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის, ეკლესიის, ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ; თბილისში იბეჭდებოდა რუსეთში მოღვაწე დისიდენტების ლიტერატურულ-პოლიტიკური ხასიათის ნაწარმოებები და სტატიები, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას თავდაუზოგავმა მოღვაწეობამ გაზარდა ქართული დისიდენტური მოძრაობის საერთაშორისო ავტორიტეტი.

1975 წლიდან რუსეთის დისიდენტები ქმნიან „საერთაშორისო ამნისტიის“ მოსკოვის ჯგუფს, რომლის საქართველოს წარმომადგენლად ზვიად გამსახურდიას ირჩევენ. 1976 წელს კი იგი მოსკოვის „ჰელსინკის ჯგუფის“ ანალოგიურ ჯგუფს აყალიბებს საქართველოში, რომლის საქმიანობაშიც, მოსკოვის ჯგუფისგან განსხვავებით, პრიორიტეტი ენიჭებოდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას საზოგადოებაში, ძირითადი და არსებითი კი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის განხორციელებისთვის ბრძოლა იყო გამოცხადებული, რაც სცილდება მხოლოდ პოლიტიკის ჩარჩოებს და ზნეობრივი იმპერატივის მნიშვნელობას იძენს.

ამგვარად, ქართველ დისიდენტთა მოღვაწეობა, რუსეთის დისიდენტებისგან განსხვავებით, განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნიდა რეპრესიებით შეკოწიწებულ საბჭოთა იმპერიის ერთიანობას. ზვიადისა და მერაბის არსებობა საშიშროებას ზრდიდა კავკასიელ ხალხში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და რუსეთის იმპერიისაგან თავის დაღწევის იდეის გავრცელების თვალსაზრისით.

ქრისტესმიერი ძმები უშიშრად აგრძელებდნენ არჩეულ გზას და საკუთარი ქვეყნის გოლგოლთის მთისკენ უდრტვინველად მიჰქონდათ მძიმე ჯვარი, რომელსაც საქართველოს იმპერიის უღლისგან გათავისუფლება უნდა მოეტანა.

საქართველოში აღზევებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმასვლას მძიმედ განიცდიდნენ კრემლში, სსრკ-ის დღეგრძელობისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს საქართველოში ხედავდნენ და ეროვნული თვითშეგნების ჩასაკლავად აფხაზეთის გამოყენებას ცდილობდნენ. ჯერ სკკპ XX ყრილობაზე იწყებენ ე.წ. „ლაკობელების“ („Лакобовцев“) (1953 წ. სტალინის კულტის გამჟღავნების შემდეგ) რეაბილიტაციით (1956 წ.), შემდეგ აგრძელებენ 1957 წელს, აფხაზეთიდან იგზავნება წერილი კრემლში, რომელშიც მოითხოვენ აფხაზეთის ასსრ-ის რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში გადაყვანას. 1967 წელს სკკპ ცკ-ი ე.წ. „აფხაზეთის საზოგადოების მიმართვას“ ღებულობს უფრო რადიკალური სახით - აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გამოყვანის მოთხოვნით. მიუხედავად ყველაფრისა, ამ პროვოკაციულმა მაქინაციებმა კრემლს სასურველი შედეგი მაინც ვერ მოუტანა. 1978 წელს რუსეთი ცდილობს ისევ დაძაბოს მდგომარეობა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სსრკ ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით ისევ წამოიწია „აფხაზეთის რუსეთის ფედერაციაში „გადასვლისა“ და „საქართველოს სსრ შემადენლობიდან გამოსვლის“ საკითხი; ამ დროისთვის აფხაზეთში ზ. გამსახურდიასთან შეხვედრის შემდეგ, 1975 წლიდან იატაკქვეშეთში არსებულმა ჯგუფმა, (ვ. ვეკუა, ნ. მგალობლიშვილი, თ. ლორთქიფანიძე, ა. მარკოზია და დ. ლატარია), მიტინგის მოწყობა გადაწყვიტა და 1978 წელს, სოხუმში სახელმწიფო თეატრის წინ საპროტესტო აქცია მოაწყო. ეს მიტინგი, სამწუხაროდ, მონაწილეთა სიმრავლით არ გამოირჩეოდა, თბილისიდან ჩამოსული პატრიოტები სჭარბობდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. მიტინგის მონაწილეები მოითხოვდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის შეწყვეტას და ზ. გამსახურდიას და მ.კოსტავას პატიმრობიდან განთავისუფლებას, რაც სრულიად აისახა მიტინგის რეზოლუციაში. ამ მიტინგმა დაგვანახა, რომ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა იყო ჩასატარებელი საზოგადოებასთან, შესაქმნელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელისშემწყობი საზოგადოებრივი ჯგუფები აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, რომელიც კრემლის ვერაგული ზრახვების და ხელოვნურად გამწვავებული ვითარების დაძლევასა და მოსახლეობის დაპირისპირებას აგვაცილებდა. მდგომარეობას ართულებდა ზვიადისა და მერაბის პატიმრობა - მათი ავტორიტეტი და გამოცდილება ძალიან გვაკლდა ეროვნული მოძრაობის აფხაზურ ბირთვს. მართლაც, ზვიადის განთავისუფლებამ კვლავ გამოაცოცხლა ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და 80-იანი წლების დასაწყისში ფაქტობრივად აფხაზეთის ყველა რაიონსა და ქალაქში უკვე არსებობდა მოძრაობის მხარდამჭერი ორგანიზებული ჯგუფები. ზვიად გამსახურდია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა აფხაზეთში ეროვნული მოძრაობის გაძლიერებას, რადგან ყველაზე დიდი საფრთხე რესპუბლიკის გამანთავისუფლებელ ბრძოლას სწორედ აქედან ემუქრებოდა. ამიტომ მოუხშირა ჩვენთან სტუმრობას, გვაწვდიდა თვითგამოცემულ ჟურნალებს, რომელშიც იბეჭდებოდა, როგორც პოლიტიკური ისე ისტორიული და საღვთისმეტყველო ლიტერატურა. ხვდებოდა მოსახლეობას და სხვა. ყოველივე ამის შედეგი იყო, რომ ეროვნული მოძრაობის მხარდამჭერნი აფხაზეთის საზოგადოების ყველა ფენაში გაჩნდა. მახსენდება ასეთი შემთხვევა, ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს, ზვიადს ედიშერ გიორგაძე და გუძა აფაქიძე ახლდნენ, მათ მანქანას თბილისიდან ოთხი მანქანით სუკ-ის თანამშრომლები გამოჰყოლოდნენ. ეზოში ამოსულებმა (დავხვდით მე და ვოვა ვეკუა), გვითხრეს, რომ „სტუმრები“ ბლომად ჩამოგიყვანეთო, (ჩემი სახლი ამაღლებულ

გაგრძელება მე-15 გვ.

დასაწყისი გვ. 14

ადგილზე იდგა და ქუჩა მთლიანად ჩანდა) და დაგვანახეს, როგორ განლაგდნენ მანქანები ქუჩის თავიდან ბოლომდე. ამ დღეს ზვიადს ჩვენი მხარდამჭერები ელოდნენ გუდაუთსა და გაგრაში, მათ ხელისუფლების სამხილი და ქართველი მოსახლეობის დევნის ფაქტების ამსახველი მრავალი დოკუმენტი და პეტიცია ჰქონდათ მომზადებული ზვიადისთვის გადასაცემად. ჩვენი გუდაუთსა და გაგრაში ჩასვლაც და უკან მობრუნებაც სუკ-ისათვის უცნობი უნდა ყოფილიყო, რადგან არსებობდა საშიშროება გადმოცემული მასალის ჩამორთმევისა, რამაც რა თქმა უნდა, დაგვაღონა. „ჯერ ვისადილოთ და იქნებ რაიმე მოვიფიქროთ, - ვუთხარი ზვიადს, - მურთაზი თუ დაგვეხმარება“, (მურთაზ ჩხიკვაძე გულრიფშის რაიონის ავტოინსპექციის უფროსი იყო). მურთაზს მეზობლის ტელეფონით დავუკავშირდი, რადგან ჩემი ისმინებოდა, ავუხსენი მდგომარეობა და შევუთანხმდი, სად უნდა დაეხვედრებინა მანქანა. ერთ საათში ეზოს უკან გამავალი საცალფეხო ბილიკით, რომელსაც „კუდები“ ვერ აკონტროლებდნენ, ქალაქის სულ სხვა რაიონში („გორიისკაიაზე“) გამოვედით, სადაც ავტომობილი უკვე გველოდა. გავუდექით გზას. გზაში ინსპექტორები სარგადაყლაპულებივით გაჭიმულები, მხედრულად გვესალმებოდნენ. გაღიმებულმა ზვიადმა მკითხა: „რა ხდება, ჩვენ გვესალმებიან ასე?“ არა, რესპუბლიკის ავტოინსპექციის უფროსს, ბატონ ჟორა გაგუას ესალმებიან, რომლის ავტომანქანაშიც ასე ვნებივროთ-მეთქი“ - ვუპასუხე ზვიადს.

ყველაფერმა გეგმის მიხედვით ჩაიარა. იგივე ბილიკით დავბრუნდით შინ ისე, რომ „კუდებს“ ჩვენი სოხუმიდან, არც გასვლა და არც შემოსვლა არ შეუნიშნავთ. ჩვენი სტუმრების თბილისში გამგზავრების შემდეგ, რამდენიმე საათში, ჩემთან ამოსული მურთაზ ჩხიკვაძე აღელვებას ვერ მალავდა: თურმე სუკ-ის ხელმძღვანელობას მისთვის დაუვალებია ტექნიკური გაუმართაობის საბაბით ჩემი სტუმრების მანქანის დაკავება, რა უნდა ექნა მურთაზს:

მაჭარკის პოსტზე, გაუჩერებია ჩემი სტუმრები და მძღოლის საბუთების შემოწმების შემდეგ,მანქანის ეკიპაჟის წევრთა არაერთი საპროტესტო და არასასიამოვნო გამონათქვამების ფონზე, დიდხანს უჩხრეკია ეს ძველი „ჟიგული“, ბოლოს კი უთქვამს, „შეგიძლიათ გზა განაგრძოთო“. განრისხებულ „კაკებეშნიკებთან“ დაბრუნებულს კი, რომლებიც ორი-სამი მეტრიდან უთვალთვალებდნენ, თავი უმართლებია: „რა მექნა, ძველი მანქანა კი იყო, მაგრამ ტექნიკურად აბსოლუტურად გამართული და როგორ დამეკავებინაო“.

- ეგ რა მანქანით ჩამოვიდნენ, ჩემი ცოდვით სავსენი, - განაგრძობს მოყოლას აღელვებული მურთაზი. - ძრავის ნომერიც კი არ შეესაბამებოდა მანქანის პასპორტში მითითებულს. „კგბ“-მ გზაში კიდევ რომ გადაამოწმოს ის მანქანა, სამსახურის დაკარგვას ვინ ჩივის, „ვირის აბანოში“ ამომაყოფინებენ თავსაო!

იმავე საღამოს დავურეკე ზვიადს და შვებით ამოვისუნთქეთ, როცა შევიტყვეთ,

რომ უპრობლემოდ დაბრუნებულან თბილისში. რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში ჩასულმა ზვიადსა და ედიშერს რომ ვუამბე თუ რა მანქანით იყვნენ ჩამოსული სოხუმში და როგორ რისკზე წავიდა მურთაზი. ზვიადმა ხელი ხელზე შემოარტყა და სინანულით წარმოსთქვა: „რა უსამართლოდ გავლანძღეთ ეს ღვთისნიერი კაციო“ და მადლობა დამაბარა მურთაზსა და ჟორასთან.

მთელი საქართველო შეძრა აფხაზეთში 14-16 ივლისს მომხდარმა შემზარავმა ამბებმა - სეპარატისტულად მოაზროვნე ახალგაზრდებმა სასიკვდილოდ დაჭრეს და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა გულათნებული პატრიოტი და მამულიშვილი, ვოვა ვეკუა, რომელიც ცდილობდა სტუდენტებს შორის მომხდარი შეტაკებისთვის ხელი შეეშალა, რათა იგი სისხლისღვრაში არ გადაზრდილიყო. კონფლიქტი, რომელსაც წინ უსწრებდა 1989 წლის 1 აპრილის ქართველ მომიტინგეთა დარბევა.

აღსანიშნავია, რომ 1989 წლის მარტი-ივლისი მეტად მძიმე პოლიტიკური ვითარებით ხასიათდებოდა. ამავე წელს აფხაზეთის პარტნომენკლატურის მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით, მათივე ძალისხმევით (1988) შექმნილმა „აიდგილარამ“ სანქციონირებული 30 ათასიანი მიტინგი (ე.წ. „საყოველთაო შეკრება“) მოაწყო სოფელ ლიხნში, რომელზეც აფხაზი ხალხის სახელით გორბაჩოვისგან მოითხოვდნენ აფხაზეთისთვის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებასა და ცენტრის მიერ დროებითი „განსაკუთრებული მმართველობის“ შემოღებას, (ისევე, როგორც ყარაბახში), რამაც ქართველი ხალხის აღშფოთება გამოიწვია., საპროტესტო მიტინგებმა მოიცვა მთელი აფხაზეთი (სოხუმი, გაგრა, ლესელიძე, გალი), მიტინგები ვრცელდებოდა საქართველოს სხვა რეგიონებში, იზრდებოდა მონაწილეთა რაოდენობაც და ქართველთა მოთხოვნების სიმწვავეც. სწორედ, ლიხნის წერილი გახდა მიზეზი თბილისში, აპრილის პირველი დღეებიდან დაწყებული, მრავალდღიანი საპროტესტო მიტინგისა, რომელსაც თანდათან ემატებოდნენ სხვადასხვა პარტიები და მოძრაობები.

სიმსივნის დათრგუნვითა და მისი სტაგნაციამდე დაყვანით შესაძლებელია ავადმყოფობა მომაკვდინებელი არ გახდეს

(ინტერვიუ სახალხო მკურნალ ფიტოთერაპევტ ციცინო შერმადინთან)

- ქ-ნო ციცინო, თქვენ მკურნალობთ ისეთ უიმედო ავადმყოფებს, როგორებიც არიან ავთვისებიანი სიმსივნით, ეპილეფსიითა და C-ჰეპატიტით დაავადებულნი, რომელთა წინაშე, აგერ XXI საუკუნეშიც კი, უძლურია მედიცინა. რით აღწევთ წარმატებებს ასეთ უმძიმეს დაავადებებთან ბრძოლაში და რეალურად როგორია თქვენეული მკურნალობის შედეგები?

- უწინარესად მინდა გითხრათ, რომ ყოველ ადამიანს ნიჭი უნარი და შესაძლებლობაც ღმერთისგან ეძლევა, რისთვისაც დღენიადაგ უნდა ვმადლობდეთ ღმერთს და მისგან შეწევნაც არ მოგვაკლდება. რაც შეეხება ჩემეული მკურნალობის მეთოდებს, უხვად ვიყენებ ბუნებრივ სიმდიდრეებს - ბალახებს, თაფლს, წვენებს. ოღონდ ავადმყოფი უნდა მომყვეს და მკურნალობის, არც თუ ისე ხანმოკლე პროცესში სრულად დამემორჩილოს. ავადმყოფმა ჩემთან ერთად უნდა იბრძოლოს დაავადების დასამარცხებლად, დასათრგუნავად და ჯანმრთელი სიცოცხლისათვის.

- ქ-ნო ციცინო, გარდა ზემოჩამოთვლილი დაავადებებისა კიდევ რა დაავადებებთან გქონდათ შეხება და როგორია თქვენი მკურნალობის შედეგები?

- კოლიტის სხვადასხვა სახეობების, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, დისბაქტერიოზი, ენტეროკოლიტი, მოწამვლა და სხვ. გარდა ამისა ვმუშაობ ძვალ-სახსარზე, მარილების დაგროვებაზე, შარდ-სასქესო ორგანოებიდან და ღვიძლიდან კენჭების გამოდევნაზე. ერთი ავადმყოფი ქალბატონი, რომელიც ოთახშიც კი დამოუკიდებლად ვერ მოძრაობდა, ჩემთან მკურნალობიდან ორი თვის შემდგომ საკუთარ ბაღჩაში მუშაობა დაიწყო., ასევე იყორ ციროზის შემთხვევა თერჯოლაში, ქალი იყო მწოლიარე. მუცელში ჰქონდა 15 ლიტრამდე წყალი, ჩემთან 6 თვიანი მკურნალობის შემდეგ იგი შრომისუნარიანი გახდა და დაუბრუნდა სიცოცხლის ხალისი, როცა იგი ექოსკოპიაზე გავატარეთ და გამოიკვლეს ღვიძლის ფუნქცია, მას ღვიძლი უკვე აბსოლუტურად ჯანმრთელი ჰქონდა.

- სახელ და გვარს ხომ არ გვეტყვით მისას?

- რატომაც არა, ნონა მაკარიძე, თერჯოლელი. ციროზი წყალმანკით, ასევე ჰეპატიტები, მათ შორის C-ექვემდებარება მკურნალობას, ოღონდ ავადმყოფმა, განსაკუთრებით მამაკაცებმა, მკურნალობის პროცესში არ უნდა დალიონ არანაირი ალკოჰოლური სასმელები და არ უნდა მოსწიონ სიგარეტი, ხოლო ნარკოტიკებზე სამუდამოდ უარი უნდა თქვან. ასეთ შემთხვევაში ციროზის დაავადება, ჩემეული მკურნალობის მეთოდით, უკვალოდ ქრება, ჰეპატიტები სრულად იდევნება ორგანიზმიდან., ყველა ჰეპატიტი განკურნებადია!

- ქ-ნო ციცო, რამდენადაც ვიცით, თქვენ, აგრეთვე წარმატებით მკურნალობთ ონკოლოგიურ ავადმყოფებსაც, რომელთა რიცხვი სამწუხაროდ, არანაკლებია C-ჰეპატიტით დაავადებულებზე.

- ამთავითვე მინდა გითხრათ, რომ ონკოლოგიურ დაავადებათა განკურნებაზე, პრეტენზიას ნამდვილად არ ვაცხადებ, მაგრამ ავთვისებიანი სიმსივნის მეორე სტადიაზე, ასევე ნაოპერაციებზე, ნამდვილად კარგი შედეგები მაქვს.

- და ეს უფრო ბევრად საიმედოა, ვიდრე ტრადიციული მედიცინის შედეგები?

- მოდით ჯერ ეს ვთქვათ, რომ ფიტოთერაპია და ხალხური მედიცინა უფრო ძველი და ტრადიციულია, ვიდრე ტექნიკურ პროგრესზე აღმოცენებული მეცნიერული მედიცინა. ონკოლოგიური დაავადების შემთხვევაში, მე ორმოცდაათამდე დასახელების ბალახეულს ვიყენებ, რომელსაც შერეული სახით ვატან ავადმყოფს შინ მისი ახალ-ახალი ნაყენის დასამზადებლად. აგრეთვე - სპირტზე და თაფლზე დამზადებულ მზა ნაყენსაც. ონკოლოგიური ავადმყოფი ჩემთან მკურნალობის ერთი - ერთთვიანი კურსის შემდეგაც კი მნიშვნელოვნად უკეთესად გრძნობს თავს, რაც აძლევს სტიმულს გააგრძელოს მკურნალობა.

- და რა ხდება ამ პროცესში დაავადებულის ორგანიზმში, ავთვისებიანი სიმსივნის პროგრესირება წყდება?

- პირველ ეტაპზე პროგრესირება ნელდება, ჩერდება და ბოლოს ითრგუნება. ეფექტური მკურნალობის შედეგად მას განვითარების საშუალება არ ეძლევა, ხდება დაავადების სტაგნაციამდე მიყვანა და ეს მდგომარეობა, ინტენსიური მკურნალობის შედეგად უნდა შენარჩუნდეს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას და ამ მხრივ მეცნიერულ მედიცინაზე ბევრად მეტი და უკეთესი შედეგები გვაქვს. ასევე წარმატებით ვმკურნალობ ეპილეფსიასა და სხვა დაავადებებს. შემთხვევაში სრული წარმატებები გვაქვს, თუმცა მკურნალობის ხანგრძლივობა აქაც დაავადების სიმძიმეზეა დამოკიდებული.

- იყენებთ, თუ არა წვენებს?

- დიახ, ონკოლოგიური დაავადების დასათრგუნვად ძალიან ძლიერი ზემოქმედების ძალა აქვს სტაფილო-ისპანახის წვენებს. მე ვურჩევდი ონკოლოგიურ ავადმყოფებს, რა სტადიაშიც არ უნდა იყვნენ ისინი, მინიმუმამდე შეამცირონ ჩვეულებრივი კვება და გადავიდნენ წვენებით კვებაზე - ხილის, უფრო მეტად კი მიიღონ სტაფილო-ისპანახის წვენები. ეს გაზრდის მათ სიცოცხლისუნარიანობას და გააუმჯობესებს მათ ჯანმრთელობას. ძალიან ეფექტურია ღამით მაწონის მიღებაც, რომელიც სრულად წმინდავს ნაწლავებს საკვები ნარჩენებისა და შხამებისაგან. ასი გრამი სტაფილოს და 60 გრამი ისპანახის წვენი პირდაპირ შთანთქავს ონკოლოგიურ უჯრედებს.

- ცოცხალი თუ მოხარშული წვენი?

- ცოცხალი, ყველა წვენი მხოლოდ ცოცხალი... მანქანაში გატარებულს ვწურავთ და პირდაპირ კომბინირებული სახით ვსვამთ. ერთი ძირი ისპანახი, თავის ღეროიან ფოთლებიანად იძლევა 60 გრ. წვენს, ხოლო 200 გრ. სტაფილო 100 გრ. წვენს.

- ქ-ნო ციცინო თქვენ როგორც ქველმოქმედი მკურნალი კიდევ რამდენიმე დაავადების რეცეპტს ხომ არ გაიცხადებდით საჯაროდ ხელმოკლე პაციენტებისათვის?

სიამოვნებით.

რეცეპტი № 1

ძლიერი ხველების დროს ძალიან კარგია ნიახურის ჩაი თაფლით, ერთი მუჭა

დაჭრილი ნიახური ჩავყაროთ 1,5 ლიტრ წყალში, მოვადუღოთ მივიღოთ თითო ჩაის ჭიქა დღეში 4-5-ჯერ თაფლით.

რეცეპტი № 2

გაღიზიანებული ნაღვლის ბუშტის დროს, ასევე როცა ქოლეცისტიტია - ნაღვლის ბუშტის ანთება, ავიღოთ 5-6 ცალი ზაფრანა (ყვითელი ყვავილი), ჩავყაროთ 300 გრამ წყალში დანაწევრებული მოვადუღოთ და ცივად ვსვათ 50-50 გრამი დღეში 4-5-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

რეცეპტი № 3

ცისტიტის დროს, 1 სუფრის კოვზი დათვის კენკრა (იყიდება აფთიაქებში) მოვხარშოთ 500 გრამ წყალში. მივიღოთ 100-100 გრამი თბილ-თბილი, 4-ჯერ დღეში.

რეცეპტი № 4

ბუასილის დროს ძალიან კარგია 1 კონა რეჰანი მოვხარშოთ 1 ლიტრ წყალში მივიღოთ თითო ჭიქა ჭამამდე 30 წუთით ადრე.

ინტერვიუ აიღო
ირმა ფირცხალავამ

დაინტერესებულ პაციენტებს სახალხო მკურნალ ციცინო შერმადინს შეუძლიათ მიაკითხონ უზნაძის ქ. 78, ჰიგიენისა და პარაზიტოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი, მე-3 სართული, ტელ. 899 60 30 52.

ეკლესიის ჯოჯოხეთი

იძულებული ვართ კვლავაც გავაგრძელოთ წერა ისეთ საჩოთირო საკითხებზე, როგორიცაა ეკლესიის პრობლემები, ვინაიდან მიჩუმათებითა და მოიმედოობით, რომ მღვდელმთავართა სათნოებით ეკლესიაში დაიწყებოდა თვითგანწმენდის ნებელობითი პროცესი, მის ნაცვლად, ამბიონებიდან გვესმის მხოლოდღა გულისწყრომის ხმა, რომ ებრძვიან ეკლესიას.

თუმცა, არც უამისობაა; ე. წ. თავისუფლების ინსტიტუტი, გარეშე თუ შინაური მტერი, მართლაც ებრძვის და ესხმის ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, რათა მოგვიშალონ სულიერი, ზნეობრივი და სახელწიფოებრივი ბალავარი.

ჩვენ კატეგორიულად ვემიჯნებით და ვგმობთ „თავისუფლების ინსტიტუტელთა“ (თეა თუთბერიძე - ლევან რამიშვილი) თავხედურ-მკრეხულურ ინტერნეტ - მანიპულაციებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის წინააღმდეგ, განხორციელებულს მიმდინარე წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში, რაც ცუდად დაემთხვა, ოქტომბრის დასაწყისში უკვე გამოსულ ჩვენი გაზეთის პუბლიკაციებს (იხ. გაზ. „განმათავისუფლებელი“. №22, გვ. 7).

აღნიშნული ფაქტი, სრულიად შესაძლებელი იყო აღგვექვა ჩვენს მიერ წამოწეული პრობლემის გადაფარვის თუ გატრივაზების მცდელობად, რომ არა ამ ანტიმართლმადიდებლურ-ანტიეკლესიური ტანდემის (თუთბერიძე-რამიშვილი) საზოგადო ცნობადობა.

იყო თუ არა ჩვენთა დიდ მამათა (ერისკაცთა) საზრუნავი და საფიქრალი ეკლესია და სამღვდელოება, უადრეს ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავასი, ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ ციტატას ილ. ჭავჭავაძის „აჩრდილიდან“:

„აგერა მღვდელნიც - ერთა მამანი -
რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ
ამა ერისა სულის აღზრდანი,
რა-რიგ გულ-ხელი დაუკრებიათ!
სად არის სიტყვა დიდის სწავლისა,
სიყვარულის და სამართალისა,
რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარებს
და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?“

ახლა აკაკი წერეთელსაც მოვუსმინოთ, რომელიც ასე მოუხიბლავს მის თანამედროვე არხი - დიაკონს ჯანელიძეს: „იმ დროში მისთანა არხი - დიაკონი საქართველოში არსად მოიპოებოდა: მისი ბრძმედში გატარებული მგმინავი ხმა და მწარ-ტკბილი კილო სახარების კითხვის დროს ყველას ერთნაირად ჰხიბლავდა... ერთხელ კიდევ დავესწარი ფეხთაბანას, მაგრამ ყოლიფერი მესხვაფერა, გალობა მეუცხოვა: ყურს ესმოდა, მაგრამ გულამდი კი ვერ ხვდებოდა. სახარების მკითხველი უცხოგვარად ბობღინობდა და კილოც სხვაგვარი ჰქონდა. მიმოვიხედე და რა შევნიშნე? ხალხი, თითქოს, იძულებული გრძნობით იყო გატაცებული და არა სასოებით გამსჭვალული... გლეხობაში დღეს ბევრი მოიპოება, რომ ცოლთან ჯვარდაუწერლად, იძულებითა ცხოვრობდეს, რადგანაც ვერ უყიდია საიდუმლო და ვერ შეუჯერებია მოძღვრის გული. ჭირისუფლები იმოდენად თავის მკვდრებს არა სტირიან, რამდენადაც ვალში და ვახჩში ჩავარდნით ოჯახის დაქცევას, რადგანაც მკვდრის დამარხვისა და წესის აგების უფლება მამასისხლად უნდა იყიდოს. წინანდელი სამღვდელოება, მისი ხარისხის საკადრისად და შესაფერად იყო მომზადებული და რაღა თქმა უნდა, რომ კეთილი გავლენაც ექნებოდა ხალხზე“. (აკ. წერეთლის წერილები: „ფეხთაბანისა და სამღვდელოების შესახებ“).

ჩვენში საზოგადოდ გავრცელებულია აზრი, რომ, თითქოსდა საერო პირს, არა აქვს უფლება ამხილოს საეკლესიო პირი.

აი, როგორია მართლმადიდებელი მოძღვრის გიორგი მსხილაძის პასუხი ამ საკითხზე:

„სჯულისკანონში“ ნათქვამია, რომ სასულიერო პირზე მხოლოდ სარწმუნოებრივ საკითხებში ბრალდება არ მიიღება ერეტიკოსისაგან, რადგან იგულისხმება, რომ მწვალებელმა თვითონ არ იცის რწმენის საკითხები სწორად და როგორ გაარჩევს ამაში, ვინ ცდება და ვინ არა (ასევე, ერეტიკოსები ეკლესიაში არევ-დარევის შეტანისა და მისი ლაფში ამოსვრის მიზნით ხშირად მიმართავდნენ ცილისწამებას!)... ჩვენში, ძირითადად უზნეო და ურწმუნო სასულიერო პირთაგან მიზანდასახულადაა გავრცელებული ცრუ აზრი, რომ სამღვდელო პირთა მხილება, არათუ სარწმუნოებრივ, არამედ ხორციელ საქმეშიც კი არ შეიძლება. ამით ისინი საკუთარი უწმინდური კვალის დაფარვას ცდილობენ... წმინდა მამებმა კი ეს საკითხი, ბუნებრივია განიხილეს და საეკლესიო სამართლის ძირითად კოდექსში შეიტანეს, კიდეც („თავი IX: ეპისკოპოსთა და სხვა სასულიერო პირთა ცოდვებისა და მსჯავრის შესახებ...“, ქვეთავი 33: სამღვდელო დასის წარმომადგენელთა ცოდვა, თუ იცის ვინმემ და არ განაცხადოს“) და პასუხიც იქვე მიუთითეს, კერძოდ, წმ. ბასილი დიდის 71-ე კანონი: „ვინც მოწმე იყოს ყველა ზემოჩამოთვლილი ცოდვისა და თვითონ კი არ აღიაროს, არამედ სხვამ ამხილოს, რომ იცის ცოდვის შესახებ, - იმდენ ხანს იყოს დასჯილი ისიც, რამდენ ხანსაც განკანონებულ იქნება თვითონ ცოდვის ჩამდენი“ („დიდი სჯულის კანონი“, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1975 წ. ძველქართულად. ახალქართულად - „საქართველოს ეკლესიის კალენდარი“, 1987 წ.).

ქვემოთ ვბეჭდავთ სამღვდელო და საეკლესიო პირთა КГБ აგენტობის დამადასტურებელ იმ კართოტეკებს, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა 1992 წელს გამომავალ არალეგალურ გაზეთ „ქართულ აზრში“. მათგან ჩვენ შეგნებულად შევიკავეთ თავი უმაღლესი საეკლესიო იერარქიული პირების კართოტეკების გამოქვეყნებაზე.



	Псевдоним "ДАВИД"
1. Фам. ЛАПЕРАШВИЛИ	№ 16226 №
2. Имя АРЧИЛ	(лич дела) (архива)
3. Отч. ГЕОРГИЕВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1940 5. Место рожд	Когда завербовали 01.12.1961
село ? Каспского р-на	
	Кем завербовали Татишвили
6. Адресс г. Тбилиси	" 5 " отдел " 3 " отделение
ул Какабети 5-а	орган КГБ ГССР
7. Место работы и долж. Свяще-	Оформить личное дело и
нослужитель "св.Давида"	взять на учет
8. Партийность Б/П	_ зам Нач 5 отдела КГБ ГССР
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись
11. Образование среднее	фамилия Кварцхава

	Псевдоним "ГИВИ"
1. Фам. ЧКАДУА	№ 13848 №
2. Имя ГРИГОРИ	(лич дела) (архива)
3. Отч. ИВАНОВИЧ	Категория АГЕНТ
4 Год рожд. 1926 5. Место рожд	Когда завербовали 20 .7.1972
г Тбилиси	
	Кем завербовали Алексишвили
6. Адресс г Тбилиси	" 5 " отдел " 3 " отделение
Абастуманская 8 кв 57	орган КГБ
7. Место работы и должность	Оформить личное дело и
Сионская церковь Д'якон	взять на учет
8. Партийность Б/П	_И.О Нач отдела КГБ ГССР
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись
11. Образование высшее	фамилия Титбинидзе



	Псевдоним " КАХЕЛИ
1. Фам. ШИОШВИЛИ	№ 18311 №
2. Имя ШОТА	(лич дела) (архива)
3. Отч. ГЕОРГИЕВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1928 5. Место рожд Тбилиси	Когда завербовали 2 1984
	Кем завербовали ЕРКВАНИЯ
6. Адресс Московский просп	" 5 " отдел " 3 " отделение
квар 4 кор 1 кв 124	орган КГБ ГССР
7. Место работы и должность	Оформить личное дело и
Ректор ? дух семинарии	взять на учет
8. Партийность Б/П	_ Нач 5 отдела КГБ ГССР
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись полковник
11. Образование в сшет	фамилия КВАРЦХАВА



	Псевдоним "ДАНИИЛ"
1. Фам. ХАРАЗИШВИЛИ	№ 16870 №
2. Имя ГЕОРГИИ	(лич дела) (архива)
3. Отч. ВАЛИКОЕВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1958. Место рожд Цнори	Когда завербовали 11.07.1983
	Кем завербовали Татишвили
6. Адресс Тбилиси	" 5 " отдел " 3 " отделение
Сион? надзе 6	орган КГБ ГССР
7. Место работы и должность	Оформить личное дело и
священослужипель	взять на учет
8. Партийность Б/П	_ за Нач 5 отдела КГБ ГССР
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись
11. Образ среднее	фамилия КВАРЦХАВА



	Псевдоним "ШИО"
1. Фам. СИРАДЗЕ	№ 14655 №
2. Имя ЗУРАБ	(лич дела) (архива)
3. Отч. ГИВИЕВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1953 5.Место рожд Цхалтубо ГССР	Когда завербовали 10.07.1980
	Кем завербовали ЕРКВАНИЯ
6. Адресс г. Тбилиси	" 5 " отдел " 3 " отделение
Кибальчича 6	орган КГБ ГССР
7. Место работы и долж. Д'якон	Оформить личное дело и
Грузинской церкви	взять на учет
8. Партийность Б/П	_ зам Нач 5 отдела КГБ ГССР
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись полковник
11. Образование ~~высшее~~	фамилия КВАРЦХАВА
ср техническое	



	Псевдоним "ИВЕРИА"
1. Фам. ТОРОНДЖАДЗЕ	№ 10753 №
2. Имя ТАИСА	(лич дела) (архива)
3. Отч. АРЧИЛОВНА	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1924 5. Место рожд г БАКУ	Когда завербовали 27 .08.1969
	Кем завербова Джангирашвил
6. Адресс г Тбилиси Орджони	5 о д КГБ ГССР
кидзевский р–н вакийскии пер 26	
7. Место раб и долж Преподавательница на духовных курсах	Оформить личное дело и взять на учет
8. Партийность Б/П	Нач 5 отд КГБ
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись подполковник
11. Образование высшее музык	фамилия ДВАЛИДАЗ

ყალბი ავტორიტეტების შექმნა, არც ღვთის სათნო საქმეა და არც ერის. ერსა და ღმერთსაც ჭეშმარიტი მღვდელმთავრები და საეკლესიო მსახურები სჭირდება.

ლეილა ცომაია

ყახელესი ისტორიის შავ-ბნელი ფურცელი

1992 წლის 22 დეკემბერს, რუსეთის იმპერიიდან მართულ-დაფინანსებულმა ხუნტამ (თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი, გია ყარყარაშვილი, ვაჟა ადამია) შეიარაღებული იერიში მიიტანა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტისა და მისი უზენაესი საბჭოს შენობაზე. ხუნტას იდეოლოგიურად ზურგს უმაგრებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (გია ჭანტურია, შეიარაღებული იყო), დამოუკიდებლობის პარტია (ირაკლი წერეთელი), მწვანეთა პარტია (ზურაბ ჟვანია, შეიარაღებული იყო), სახალხო ფრონტი (ნოდარ ნათაძე, შეიარაღებული ფორმირება „იმედი“ ჰყავდა. მოგვიანებით მოინანია და პრეზიდენტ გამსახურდიას დადებითი შემფასებელი გახდა), ილია ჭავჭავაძის საზოგადოება (თამარ ჩხეიძე), დემოგრაფიული საზოგადოება (მიხეილ ქურდიანი, ილია ბეგიაშვილი), რუსთაველის საზოგადოება (აკაკი ბაქრაძე, ლევან ღვინჯილია, იხილეთ ამ უკანასკნელის კართოტეკა), კომუნისტური პარტია ავთანდილ მარგიანის მეთაურობით, რომლის თანამზრახველი «წითელი დისიდენტი» გურამ მამულია იყო (ვაქვეყნებთ მის კბგ-ს აგენტობის დამადასტურებელ კართოტეკას).

ყველა ზემოჩამოთვლილი ორგანიზაცია, თუმცა მცირერიცხოვანი გახლდათ (გარდა კომუნისტურისა), მაგრამ ისინი ერთად მეტროპოლიის მნიშვნელოვან იდეოლოგიურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ.

საერთაშორისო არენაზე მძლავრ საინფორმაციო ომს ეწოდა პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი (იხილეთ მისი ვინაობისა თუ რაობის დამადასტურებელი კართოტეკაც).

ორკვირიანი თავდაცვითი ბრძოლების შემდეგ პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, ძმათაკვლის შეწყვეტის მიზნით მიიღო საქართველოს დატოვების იძულებითი გადაწყვეტილება **(რედ.).**



СОВ. СЕКРЕТНО

	Псевдоним "САПАДЗЕ"
1. Фам. МАМУЛИЯ	№ 7386 № 29355
2. Имя ГУРАМ	(лич дела) (архива)
3. Отч. САМСОНОВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1925. Место рожд	Когда завербовали 9.05.1962
г. ТБИЛИСИ	Кем завербовали ХОДЖАВА
6. Адресс г. Тбилиси	" 2 " отдел " 1с" отделение
ул. Ираклия 2, дом 13	орган КГБ ГССР
7. Место работы и должность	Оформить личное дело и
сотрудник института истории этнографии и археологии	взять на учет
8. Партийность член КПСС	Нач 2 отдела КГБ ГССР
9. Нац грузин10.Гражд СССР	подпись
11. Образование высшее	фамилия ДЖОРБЕНАДЗЕ



СОВ. СЕКРЕТНС

	Псевдоним "ОДИШАРИ"
1. Фам. ГВИНДЖИЛИЯ	№ 20749 №
2. Имя ЛЕОН	(лич дела) (архива)
3. Отч. СИЛИБИСТРОЕВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1950 5. Место рожд с. Ахали Хибула	Когда завербовали 1974 февр ль
Хобского р-н ГССР	Кем завербовали ШАНИДЗЕ
6. Адресс г. Тбилиси	" 5 " отдел " 1 " отделение
ул Шевченко 3	орган КГБ ГССР
7. Место работы и долж. инстит	Оформить личное дело и
ут языкознания АН ГССР ст. науч.сотрудник	взять на учет
8. Партийность член КПСС	Нач 5 отдела КГБ ГССР
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись Полковник
11. Образование высшее	КВАРЦХАВА



СОВ. СЕКРЕТНО

	Псевдоним САША
1. Фам. КЛИМИАШВИЛИ	№ 11678 № 28240
2. Имя РАМАЗ	(лич дела) (архива)
3. Отч. СОПРОМОВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. - 5. Место рожд	Когда завербовали –
	Кем завербовали –
6. Адресс –	" 5 " отдел " " отделение
	орган КГБ
7. Место работы и должность	Оформить личное дело и
–	взять на учет
8. Партийность –	Нач отдела КГБ ГССР
9. Нац - 10.Гражд -	
.1. Образование -	фамилия

გამოსათხოვარი

წავიდა ჩვენგან ყოვლად კეთილშობილი, პატრიოტი ქალბატონი თამარ სიჭინავა. რამდენ ღირსებასა და სიყვარულს, ამაღლებულ იდეალსა და თავგანწირვას იტევდა მისი პატრიოტული გული. რომ არაფერი ვთქვათ მის უმშვენიერე სგარეგნობაზე. მაღალი, მოსხლეტილი ტანითა და საოცრად ლამაზად წყობილი, ეშხიანი სახით იგი იპყრობდა ყურადღებას, მაგრამ მისი შინაგანი სამყაროს მომხიბვლელობა აშკარად აჭარბებდა მის ლამაზ სხეულს.

სამშობლოზე შეყვარებული პატრიოტი მთელი ცხოვრება თავგანწირვით იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისათვის. ასე მიიქცია ეროვნული ლიდერების ყურადღება; ზვიადი და მერაბი უდიდეს პატივს სცემდნენ ამ თავმდაბალ, მოკრძალებულ, მაგრამ ძლიერი რწმენისა და დიდი ნებისყოფის მტკიცე პიროვნებას, რომელიც მზად იყო სიცოცხლეც კი გაეწირა სამშობლოსათვის.

თამრიკო სიჭინავამ რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა ხანგრძლივ საპროტესტო შიმშილობებში, დაწყებული 9 აპრილიდან, რის შემდეგაც საავადმყოფოშიც უხდებოდა მკურნალობა; მაგრამ როგორც კი გამომჯობინდებოდა, კვლავ მამაცურად ეკვეთებოდა უსამართლობას. ასე გახდა იგი ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ფლაგმანის, - ილია მართლის საზოგადოების აქტიური და საიმედო წევრი. თამრიკო ხომ მთელი არსებით ეთაყვანებოდა ილია ჭავჭავაძის განმათავისუფლებელ იდეალებს, მის უშრეტ გენიას. მან ზეპირად იცოდა არა მარტო დიდი ილიას პატრიოტული ლირიკა, არამედ მთელი ქართული კლასიკური პოეზიის რჩეული შედევრები.

ხშირად გვიკვირდა, სპეციალობით ეკონომისტი, როგორ იყო სრულად გაჟღენთილი პოეტურობით. არც გვჯეროდა, რომ იგი ლექსებს არ წერდა, რადგან მის ყოველ მოქმედებასა და განცდაში იმდენი პოეზია იგრძნობოდა, ზოგ კომუნისტ პოეტს სიზმრადაც, რომ არ მოელანდებოდა. ალბათ, ამიტომ თუ ხდებოდა იგი ასე ხშირად პოეტების შთაგონების წყარო. მას არა მარტო ლექსებს, პოემებსაც კი უძღვნიდნენ.

მახსენდება, როგორი აღტაცებით ჩაიკრა გულში ჩემგან მიძღვნილი უბრალო ლექსი. ამ წამის გახსენებით ვნუგეშობ ხოლმე, როცა თავს ვყვედრი, რადგან მე თავად ჯანმრთელობაშერყეულმა სათანადოდ ვერ მოვუარე ავადმყოფობისას. არადა, მან ხომ მეგობრობაც არაჩვეულებრივად ერთგული იცოდა; ყურადღებიანი და თანამგრძნობი, იგი დიდი სითბოთი გვანებივრებდა. რამდენი ქარიშხლიანი დღეები გამოვიარეთ ერთად!

მძიმედ განიცადა თამრიკომ 1991-92 წლების სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა, მერაბისა და ზვიადის ვერაგული მკვლელობები, შევარდნაძის ფაშისტური რეჟიმი და რეპრესიები, მაგრამ მაინც უტეხად სჯეროდა საქართველოს გაბრწყინებისა.

უკიდურესად დაძაბულმა და გაუსაძლისმა ყოფამ, მართალია სულიერად ვერ გატეხა, მაგრამ ფიზიკურად მძიმე დაღი დაასვა მის ჯანმრთელობას. მისი მეუღლე, უნიჭიერესი ექიმი-თერაპევტი ლუდვიგ სიჭინავა თავს არ ზოგავდა, რომ ცოლი, როგორმე ფეხზე წამოეყენებინა, მაგრამ ვერ შეძლო. ნერვიულობისა და სტრესებისაგან თავად ბატონმა ლუდვიგმა ინფარქტი მიიღო და გარდაიცვალა. ლოგიანად ჩავარდნილ თამრიკოს თავისი ვაჟიშვილი (ისიც ექიმი) გოჩა მონდომებით უვლიდა, მაგრამ დედა ვერაფრით გადაარჩინა. ზრუნვას არ აკლებდა თამრიკოს მისი გათხოვილი ქალიშვილი მანანა (სპეციალობით მუსიკოსი). ორი მცირეწლოვანი შვილის დედა, როგორც კი დროს მოიხელთებდა, მძიმედ დაავადებული დედისაკენ გარბოდა... მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. სნეულებამ იძალა...

თამრიკო და ლუდვიგ სიჭინავების ოჯახი მუდამ სამშობლოს სიყვარულით სუნთქავდა. ეს მადლი დაანათლეს კიდეც მათ სანუკვარ შვილებს, გოჩას და მანანას.

ძვირფასო თამრიკო, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ასე საყვარელი ქართული მიწა! ბედნიერი ხარ, რომ იმქვეყნიურში ეგოდენ პირნათელი და უღალატო. წარუდგები ჩვენს ხატსაფიცარ ერისკაცებს, ზვიადს და მერაბს, რასაც ბევრი ვერ დაიკვეხნის.

ეროვნული მოძრაობის სახელით –
ჯულიეტა მილდიანი
დალი მონასელიძე

კოლხების რძალო

ვუძღვნი თამრიკო სიჭინავას

ალალი იყოს შენთვის სახელი, -
შვიდმნათობიერ თამარს რომ ერქვა;
მზადა ხარ მამულს შესწირო თავი
და ქალი მისთვის გადიქცე ძელქვად.

სამშობლოსა და ლექსის ტრფიალი, -
როგორ არ უნდა მიყვარდე, დაო?!
საქართველოსთვის სულს რომ ღაფავდა,
ხომ კარგად გახსოვს თბილისის ცაო?!

ხარ დედა კარგი ვაჟის და ქალის,
თავს სწირავ, გზები რომ გაუკვალო;
გაძნელდა ბრძოლა, მაინც არ ცხრები,
მრავალტანჯული კოლხების რძალო!

გიტარებია მრავალი დარდი,
და ბეწვის ხიდზეც ბევრჯერ გივლია.
მით მეტადა გრძნობ, თავგანწირვაში
იდუმალების ვითარ ხიბლია!

ილიასა და ზვიადის სახით,
ნათლის სვეტად გიჩნს მამულზე ფიქრი.
მძიმე ფლოქვებით დანატორები,
ეს სისხლიანი დღეებიც მიჰქრის...

პაწია ნინო გიჭირავს ხელში,
ვით უნაზესი ყვავილი მინდვრის;
და დგახარ მაინც სადარაჯოზე,
თუმცა, საჩვენოდ წამიც არ იძვრის...

...და მაინც იბრძვი! ვით არ გვიყვარდე,
ქალი მტკიცე და გაუტეხელი.
ამიტომ ვამბობ, ალალი იყოს
შენზედ ლამაზი თამარ სახელი!

ჯულიეტა მილდიანი
2003 წელი

ვეძიებ

30 კვ. მ. ფართს საწყობისთვის 150 ლარად. პარლამენტის უკან, ინგოროყვას ქ. №19-ში. შემოსასვლელი ზუბალაშვილების ქ. № 4-დან.

ტელეფონი: 93-68-77. მობ. 8. 57018844. მედეა.

სამძიმარი

ზვიად განმათავისუფლებლის პარტია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო და ერთგული წევრის

თამარ სიჭინავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

მანანა ძოძუაშვილის მხატვრობა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატი.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრი მანანა ძოძუაშვილი ხატავს 2001 წლიდან, პირველი პერსონალური გამოფენა ქალაქ თბილისში 2002 წელს გალერეა „შარდენში“ მოაწყო.

2003 წელს პერსონალური გამოფენა ჰქონდა ქალაქ მოსკოვში. ამავე წელს იქვე გახდა საერთაშორისო სამხატვრო ფონდის და რუსეთის მხატვართა კავშირის წევრი.

2006 წელს - მესამე პერსონალური გამოფენა ქ. თბილისში გალერეა „ვერნისაჟში“.

2007 წელს - საშობაო გამოფენა გალერეა „კოპალაში“.

2007 წელს - გამოფენა გალერეა „ვერნისაჟში“ - ჯგუფური.

ნამუშევრები გაყიდულია ქ. თბილისში, მოსკოვში, კიევში, პარიზში, ვარშავაში, დრეზდენში.

გამოცემული აქვს ლექსების კრებული 2002 წელს. რუსულ ენაზე თარგმნილი და გამოქვეყნებული აქვს ანა კალანდაძის ლექსები.



რედაქტორი ლეილა ცომაია

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55
ვებგვერდი: *http://ganmatavisuflebeli.webs.com*
ელ.ფოსტა: *ganmatavisuflebeli@yahoo.com*